პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. [illegible]0 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 11 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 56 (1811)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღიური

- სიმფეროპოლში დაიწყო თეთრგვარდიელ პროვოკატორ სორიმის გასამართლება.
- კოლორადოს (ჩრდილოეთ ამერიკა) მემაღაროეთა სკოლამ ერთი სტიპენდია დააწესა საბჭ. კავშირის მემაღაროეთათვის.
- პოლიტიკურ პატიმრების საყოველთაო სიმშილობა ბულგარეთში.
- საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი ჩავიდა პარიზში.
- ვარშავაში გაიმართა უმუშევართა ფართო დემონსტრაცია.
- ტოკიოში მემარცხენე პარტიებმა და პროფკავშირებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ.

ძირითადი ამოცანა

საკავშირო კომპარტიის ცეკას თებერვლის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ფასების პრობლემაში ინასკვება საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები". აქედან თავისთავად იგულისხმება, რამდენად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ფასების დაკლების კამპანიას ჩვენს სინამდვილეში.

კამპანია ამ ამოცანის გასატარებლად მხოლოდ ეხლა არ დაწყებულა. ფასების დაკლების საკითხი თითქმის ერთი წელიწადია, რაც საბჭოთა საზოგადოებრიობის უაღრესი მნიშვნელობის საკითხადაა მიჩნეული. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ჯერ კიდევ წარსული წლის ივლისის პირველ რიცხვებში გამოიტანა კატეგორიული დადგენილება, რომ ფასების დაკლება ამავე წლის აგვისტომდე უნდა მომხდარიყო 10 პროცენტით. ეს კატეგორიული დადგენილება ეხლაც არაა სისრულეში მოყვანილი. ასე მაგალითად თბილისში ფასების დაკლება მოხდა მხოლოდ 2 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველ მარტისათვის კი ეს დაკლება აღწევს 4 პროცენტამდე, ისიც უმთავრესად კოოპერაციაში. უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების სხვა კუთხეებში.

ცეკას თებერვლის პლენუმმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და გარკვევით აღნიშნა, რომ „პარტიის მიერ წარსულ წელს წამოყენებული ერთი ძირითადი საკითხთაგანი შეუსრულებელი დარჩა".

ამნაირი მდგომარეობა დიდ ხანს ვეღარ გასტანს. **პარტია განმეორებით და მთელი თავისი სიმტკიცით აყენებს დღის წესრიგში ფასების დაკლების საკითხს.** აქეთკენ უნდა იქნას მიქცეული ჩვენი პარტიული, პროფესიული და საბჭოთა ორგანოების მთავარი ყურადღება და შესაძლებლობანი. თბილისის კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება, ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, პარტიის დირექტივა შეეხება ჩვენს სამეურნეო ორგანოებს. ესენია მწარმოებელი და სავაჭრო ერთეულები. ფასების დაკლების ერთი მთავარი შესაძლებლობა სწორედ ამ ორგანოების მუშაობათა შემოწმება-გამარტივებაში უნდა ვეძიოთ. მიუხედავათ არა ერთი დირექტივისა, მიუხედავათ იმისა, რომ ფასების დაკლების კამპანია საკმაო გაცხოველებით სწარმოებდა საბჭოთა პრესაში, ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანოები, ბევრ შემთხვევაში მაინც გულგრილი დარჩენ ფასების დაკლების სათანადო სიმტკიცით გატარების საქმეში.

ამიერიდან ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოუღოთ. თბილისის კომიტეტის პლენუმმა უკვე გამოიტანა კატეგორიული და დაკვრითი ხასიათის დადგენილება, რომლის თანახმად მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე უნდა გატარებულ იქნას ცხოვრებაში ცეკას თებერვლის პლენუმის დირექტივა, ჩვენმა სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოებმა უნდა დაუკლონ ფასებს არა უმცირეს 10 პროცენტისა.

რა აფერხებს საქონლის გაიაფების პრობლემის მოწესრიგებას. ერთი მხრივ ჩვენი სავაჭრო აპარატის მოუქნელობა, მისი საჭიროებაზე მეტი სიდიდე და სირთულე და ამასთანავე თავშეუკავებელი ლტოლვა დიდი მოგებისაკენ, რასაც ასე ხშირად შეხვდებით ჩვენს კოოპერატივებში და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებში.

ამ ნაკლის წინააღმდეგ თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუციაში დასახულია კონკრეტიული ღონისძიება. აქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ შემცირებულ უნდა იქნას სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები არა ნაკლებ 15 პროცენტისა. ეს შემცირება უნდა გატარდეს უახლოეს სამი თვის განმავლობაში და ის უნდა შეეხოს ამ ორგანოთა სამმართველო აპარატს.

ამასთან ერთად საჭიროა მოგების ნორმის განსაზღვრა. მართალია, ეს ახალი ზომა არაა. საზღვრითი მოგების შესახებ განსაკუთრებით მას შემდეგ დაისვა საკითხი, რაც ფასების დაკლების საქმე დიდი მნიშვნელობის ამოცანათ იქნა აღიარებული. მაგრამ დღემდი ამ ვალდებულებას ჩვენი სავაჭრო ორგანოები, სათანადო სიმტკიცით არ ატარებდენ. ან ზერელე შეხედულებას საზღვრითი მოგებაზე ადგილი აღარ უნდა დაურჩეს საბჭოთა ვაჭრობის შემდეგ პრაქტიკაში. ამ მიზნით თბილისის კომიტეტის პლენუმმა დაავალა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომ მან დააწესოს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებისათვის მოგების საზღვრითი პროცენტი. აქ ჩვენი სავაჭრო ორგანოები იძულებული იქნებიან შეამცირონ მოგების ვადა, ვინაიდან დაწესებულ საზღვრითი ნორმების დამრღვევნი დაისჯებიან არა მარტო ეკონომიურათ (კრედიტის შემცირება ან სრულიად შეწყვეტა, საქონლის მიწოდება და სხვა), არამედ ამავე დროს სისხლის სამართლის წესითაც.

სხვანაირათ არც შეიძლება. ბრძოლა ფასების დაკლებისათვის არის ჩვენი ცენტრალური ამოცანა, რომლის გატარების დროსაც სრულიად დაუშვებელია ყოველგვარი ლიბერალიზმი და რბილკანიანობა. ამ ამოცანის განხორციელების საქმეში უნდა გამოყენებულ იქნას მთელი ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიული აპარატი.

ამავე დროს ჩვენთვის აშკარაა მეორე გარემოებაც. ფასების დაკლების ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს საქონლის თვითღირებულების გაიაფება. აქ ერთხელ კიდევ ისმება ჩვენს წინაშე მთელი თავისი მნიშვნელობით შრომის ნაყოფიერების ზრდისა, წარმოების რაციონალიზაციის, პროდუქციის თვისობრივ გაუმჯობესების და სხვა ეკონომიური ხასიათის საკითხები. ამ საკითხების მოგვარება არ არის ერთი და ორი დღის საქმე. მაგრამ არც ფასების დაკლების ამოცანაა მხოლოდ სადღეისო ამოცანა. არსებითად ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი გეზი იქითკენ არის და იქნება მიმართული, რომ გავაიაფოთ სოციალისტურ მეურნეობის პროდუქცია, რათა ამით გავაუმჯობესოთ მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობა და ამასთან ერთად მაგრათ გადაუარაზოთ კარი კაპიტალისტურ მეურნეობის კონკურენციას.

ამ მხრივ ფასების დაკლების კამპანია ჩვენ უნდა გავიგოთ არა მარტო როგორც დაკვრითი და წარმავალი ხასიათის ამოცანა, არამედ როგორც ხანგრძლივი და სერიოზული საქმე.

თბილისი უკვე შეუდგა გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღებას ფასების დაკლების დარგში. ჯერი ეხლა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებზე.

ჟენევის გარშემო

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, როგორც ჩვეულებრივ სჩვევია მას, გახდა ხელსაყრელ საბაბად ყოველგვარ საიდუმლო დიპლომატიურ მახინაციებისათვის. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული პრესა უფრო დაწვრილებით გაცნობილი აღმოჩნდა იმ „კერძო ხასიათის" მოლაპარაკებებთან, რომლებსაც ჟენევაში აწარმოებდენ საგარეო საქმეთა მინისტრები. გაზეთებში მოთავსებული ცნობები ერთისა და იგივეს აღნიშნავენ და თითქმის წვრილმანებშიაც კი ეთანხმებიან ერთი მეორეს. როგორც ცნობილია, მისტერ ჩემბერლენმა დიდი ხანი არაა, რაც განაცხადა, რომ ინგლისის მიმართ წაყენებული ბრალდება, თითქოს ის სცდილობდეს ანტი-საბჭოთა კოალიციის შედგენას, რა მიმართულებითაც ის აწარმოებს დაჟინებით მუშაობას, წარმოადგენს ჩვენი „ნერვიულობის" ნაყოფს.

ეხლა, ჟენევის თათბირის შემდეგ, რჩება ორში ერთი: ან უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე ნერვიულობა, გამოურკვეველი მიზეზების გამო, მოედო მთელი ევროპის პრესას, ან და რომ აქ ნერვები არაფერ შუაშია და კონსერვატიული მთავრობის მიერ განზრახული ფართე ანტი-საბჭოთა პოლიტიკა — არის ჭეშმარიტი სინამდვილე.

რაზე ლაპარაკობენ საგაზეთო ცნობები? ჯერ ერთი იმაზე, რომ ჩემბერლენი სცდილობდა ბრიანის დაყაბულებას კოლექტიური ნოტით გამოსვლაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომ მარჯაფად ჰქონდათ უფრო რადიკალური წინადადება ჩვენთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. ჯერ-ჯერობით ჩაიფუშა ევროპის „დაწყნარების" ეს გეგმა, რადგან ბრიანს, როგორც სჩანს, დიდ ხალისს არ ჰგვრის გახურებული ტაფიდან დახალული წაბლის მირთმევა თავის კოლეგისათვის. მაგრამ, ყოველ იმისთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა საფრანგეთის მემარჯვენე პრესის გამოძახილს ჩემბერლენის უკანასკნელ ნოტაზე და ჩვენს პასუხს, ცხადი გახდება, რომ მეტად მოხერხებულად და ენერგიულად სწარმოებდა ფრანგი ობივატელის გარდაქმნა, სათანადო მიმართულებით.

განზრახული კომბინაციის მეორე მონაწილედ უნდა გამხდარიყო გერმანია. [illegible] ზეგავლენის მოხდენა საბჭოთა კავშირზე ძნელია იმ დრომდე, სანამ გერმანია იცავს ნეიტრალიტეტს და სანამ მისი ურთიერთობა პოლონეთთან ატარებს მტრულ ხასიათს. აქედან გამომდინარეობა ცდა, რომ, რათაც არ უნდა დაჯდეს, მოარიგონ გერმანია და პოლონეთი. ამ პოლიტიკის მამოძრავებელ მოტივების გარშემო გულახდილად ლაპარაკობს საფრანგეთის მემარცხენე— ბურჟუაზიული გაზეთი „კოტიდიენი" ადასტურებს რა, რომ ამჟამად არა მარტო საფრანგეთი, არამედ ინგლისიც სცდილობს აღმოსავლეთ ლოკარნოს განხორციელებას, გაზეთი დასძენს: „ამ მიზნის განსახორციელებლად პირველი ხელმძღვანელობს პაციფისტური მოსაზრებებით, ხოლო მეორე —პოლიტიკური მოსაზრებებით".

ჩვენ განზე ვსტოვებთ საფრანგეთის, პუანკარეს და ბრიანის პაციფიზმს, მაგრამ, ცხადია, რომ ბურჟუაზიული გაზეთიც კი ვერ ბედავს ამ შემთხვევაში მშვიდობიანი ზრახვები მიაწეროს ინგლისის დიპლომატიას.

ჩემბერლენის გეგმები გერმანიის მიმართ სრულიადაც არ განისაზღვრება სურვილით პოლონეთის მდგომარეობის განმტკიცებისა დასავლეთით და ამით შეძლების დაგვარად, მისთვის ხელების გახსნისა აღმოსავლეთით. ჟენევის მოლაპარაკებებს მიზნად აქვთ მიაღწიონ გერმანიის პირდაპირ აქტიურ მონაწილეობას ანტი-საბჭოთა კოალიციაში. მაგრამ ეს საქმე ვერ მოჭახრაკდა იმის გამო, რომ ინგლისის დიპლომატია შეეცადა სხვისი ჯიბით ხარჯის გასტუმრებას; იმის გამო, რომ რეინის ოლქის ვადამდე ადრე ევაკუაციის საკითხი ბევრად არის დამოკიდებული საფრანგეთისაგან, ხოლო საფრანგეთის დიპლომატიამ, როგორც სჩანს, მაინც და მაინც არ ისურვა, რომ გერმანიის ჩათრევა ანტისაბჭოთა ბლოკში განეხილა როგორც საჭირო კომპენსაცია რეინის დაცლისთვის. ხოლო გერმანიის პრესის გამოძახილით თუ ვიმსჯელებთ, გერმანიის მთავრობას თავის მხრივ არა აქვს სურვილი დასწვას აღმოსავლეთთან შემაერთებელი ხიდები და საბოლოოდ შეებას ბრიტანეთის დიპლომატიის უღელში.

ამიტომ გეგმა ვერ გატარდა მთლიანად; მაგრამ ის საბოლოოდ არ არის მოხსნილი, ის მხოლოდ გადადებულია. ერთა ლიგის საბჭოს ივნისის სესიამ საბაბი მისცა დაწყებულ ინტრიგების გაგრძელებას. ჯერ - ჯერობით გერმანიას გაკვრით აგრძნობინეს, რომ რეინის ევაკუაციის საკითხი მაშინ იქნება განხილული, თუ გერმანია უახლოესი თვეების განმავლობაში უარს განაცხადებს საბჭოთა კავშირისათვის სესხისა და კრედიტების მიცემაზე. ეს ნიშნავს ჩვენი კავშირის ფინანსიური ბოიკოტის მოწესრიგების ცდას. ეს—ბრიტანეთის დიპლომატის „სამშვიდობო პოლიტიკის" და ბრიტანეთის დიპლომატიის მიერ „ევროპის ეკონომიური აღდგენისათვის" ხმარებულ მეთოდების ზედმეტი ილუსტრაციაა.

ასეთ პირობებში გასაკვირი და მოულოდნელი არ არის ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიამ დაამტკიცა ბესარაბიის ჩამოშორების აქტი, რის შესახებ იტალიის მთავრობამ უკვე ოფიციალურად აცნობა საბჭოთა კავშირის ელჩს რომში. ჯერ კიდევ იტალიაში ჩერჩილის ყოფნის შემდეგ, იტალია - რუმინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ცხადი იყო, რომ ფაშისტურმა მთავრობამ, მიუხედავათ ჩვენი დარწმუნებისა თავის მეგობრულ გრძნობებში საბჭოთა კავშირის მიმართ, თავისი პოლიტიკა მჭიდროდ დაუკავშირა ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკას.

იტალიელ გენერლის ბადოლიოს მიერ რუმინეთში ყოფნის დროს თქმული სიტყვები, მთლიანად სამარი სულით გაჟღენთილი სიტყვები ასევე სათანადოთ უნდა შეეფასებია ჩვენს პრესას. დაბოლოს, იტალია - რუმინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს იტალიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ის მაშინ დაადასტურებს ბესარაბიის აქტს, „როდესაც ამას მოითხოვენ იტალიის ინტერესები". ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად ანელებს იმ სიურპრიზის შთაბეჭდილებას, რომლითაც მუსოლინმა თავის მხრივ გადასწყვიტა დაემშვენებია ჟენევის ასსამბლეა.

ასეა თუ ისე, მუსოლინთან ჩერჩილის ვიზიტის შედეგები ამოტივტივდენ ზევით იტალიის მიერ ბესარაბიის აქტის რატიფიკაციის სახით. ამით, როგორც სჩანს, უნდოდათ ჩვენი ჩხვლეტა იმათ, ვინც დაამტკიცა ბესარაბიის აქტი, და იმათაც, ვინც შთაუნერგა იტალიას ამ აქტის რატიფიკაციის აზრი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ ისინი, რომ იოტის ოდნადაც ვერ შეგვაშინებს ჩვენ ასეთნაირი ჩხვლეტა. ჩვენ სრულიადაც არ გვაინტერესებს იტალიის აზრი ბესარაბიის საკითხზე. ჩვენთვის აბსოლიუტურად სავალდებულო არ არის ეს დიპლომატიური ჩახვა, რატიფიკაციად წოდებული. დაე, ამით ბეღურები გაართონ. ჩვენ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რატიფიკაცია სწორედ იმ მომენტში გახდა ხელსაყრელი იტალიის ინტერესებისათვის, როდესაც ჟენევაში აამოქმედეს ყველა ზამბარაკები სულ მცირეოდენი ანტი-საბჭოთა ეფექტის მოსახდენად მაინც.

ასეთია ევროპის პატენტიან, პრემიებით დაჯილდოვებულ მშვიდობიანობის მესვეურთა საიდუმლო მუშაობის წინასწარი შედეგები. შედეგები დიდი არ არის, მაგრამ მან არ უნდა შეასუსტოს ჩვენი სიფხიზლე. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მტრები განაგრძობენ ცდებს ჩვენი მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ზრდის შესაფერხებლად. ჩვენი ამოცანაა — ვაჩვენოთ მთელს მსოფლიოს და, პირველ რიგში, ევროპის მუშათა კლასს ის ხელი, რომელიც ამზადებს ახალ გართულებებს საერთაშორისო მდგომარეობაში.

მოსკოვი, 10 მარტი.

საბჭოთა კავშირის გარემოცვის ცდები მარცხდება

საფრანგეთი და გერმანია ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ

გერმანია-პოლონეთ შორის მოლაპარაკება განახლდა

საგარანტიო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის

ერთა ლიგის სესია

ინგლისის პოლიტიკა მარცხდება

ჩემბერლენი უკან იხევს

ბერლინი, 9 მარტი. ჩემბერლენის იმ განცხადებებში, რომელიც მან პრესის წარმომადგენლებს მისცა, ხედავენ იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის ცდამ ჟენევაში დადებითი შედეგი ვერ გამოიღო და ჩემბერლენმა საჭიროდ სცნო უკან დახევა. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი არა სერიოზულად სთვლის ჩემბერლენის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ის არ ცდილობს შექმნას სახელმწიფოთა ბლოკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს განცხადებები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო პრესის ცნობებს იმის შესახებ, რომ ჩემბერლენი ცდილობს ჟენევის მოლაპარაკება გამოიყენოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნისათვის. ამის შესახებ განსაკუთრებით საფუძვლიანი ცნობები გამოაქვეყნა გერმანიის პრესამ და საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობამ. ეს ცნობები განმეორებულ იქნა ჩემბერლენის გამოსვლების შემდეგაც.

„ფოსიშე ცეიტუნგ" იუწყება, რომ შტრეზემან-ჩემბერლენის გუშინდელი საუბარი ეხებოდა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობას და ინგლისის პოლიტიკას ჩინეთში.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩემბერლენს არ გაუფრთხილებია შტრეზემანი იმის შესახებ, რომ მას გადაწყვეტილი აქვს შეეხოს ამ საკითხებს; ამიტომ, იმაში, რომ მათ დაიწყეს ლაპარაკი ამ საკითხებზე, უნდა ვხედავდეთ ინგლისის ცდას „მიაღწიოს გერმანიის მთავრობის მიერ ბერლინის ხელშეკრულების ნაწილობრივ უარყოფას".

„დასაშვებია—სწერს გაზეთი—დავსვათ თეორეტიული კითხვა—რა უნდა შესთავაზოს ინგლისმა გერმანიას ეხლახან ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სისტემის ასეთ ძირითად შეცვლის სამაგიეროდ? ეს კითხვა უადგილო არ არის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინგლის-გერმანიის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენდა გერმანიისათვის ახალშენების დაბრუნების საკითხი".

ბრიანი განზე სდგას

პარიზი, 9 მარტი. ჟენევიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ბრიანი განზე სდგას ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებაში. იუწყებიან, რომ ბრიანმა გრიპით დაავადმყოფების გამო არ მიიღო მონაწილეობა შტრეზემანის მიერ გამართულ სადილზე.

ბრიანის დიპლომატიური ავადმყოფობა

ბერლინი, 9 მარტი. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ 7 მარტის შემდეგ ბრიანს აღარ ჰქონია საუბარი შტრეზემანთან და მან უარიც კი განაცხადა ერთა ლიგის საბჭოს მორიგ თავმჯდომარის შტრეზემანის მიერ გამართულ სადილში მონაწილეობის მიღებაზე. თუმცა ოფიციალურად ბრიანის საქციელს ავადმყოფობით ხსნიან, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი წრეები ამას უკავშირებენ ბრიანის სურვილს, რათა საფრანგეთ-გერმანიის სადაო საკითხები, განსაკუთრებით, საკითხი რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ, განხილულ იქნეს არა ჟენევაში, არამედ უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებს შორის წარმოებულ მოლაპარაკების დროს.

საფრანგეთი შეშინებულია

პარიზი, 9 მარტი. ბურჟუაზიული პრესის პირფერული განცხადებები იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება ჟენევაში არ ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას, შესცვალა შიშმა—ანტისაბჭოთა ფრონტს ინგლისი საფრანგეთის ხარჯზე ხომ არ აწყობს? განსაკუთრებით, შეშფოთებულია მემარჯვენე პრესა. მილერანის ორგანო „ავენირ" სათაურით: „თვითმკვლელობის მანია"—სწერს:

„ჩემბერლენი, რომელიც ცდილობს შექმნას ანტისაბჭოთა ფრონტი და გადაიყვანოს თავის მხარეზე გერმანია, დაითანხმოს საფრანგეთი რეინის ოლქის ევაკუაციაზე, ხოლო პოლონეთი დანციგის კორიდორის გერმანიისათვის დათმობაზე, არსებითად განაგრძობს ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკას. როცა გერმანია მიიღებს დანციგის კორიდორს, რეინის და საარის ოლქს და შემოიერთებს ავსტრიას, მაშინ ევროპის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუწევს მას წინააღმდეგობას. ეს იქნება არა მარტო საფრანგეთის, არამედ იტალიის და ინგლისის დამოუკიდებლობის აღსასრულიც".

დასასრულ გაზეთი სწერს:

„რევოლიუციონური მოძრაობა მხოლოდ მოჩვენებითად გამომდინარეობს მოსკოვიდან; მის ძირითად წყაროს წარმოადგენს გერმანია.

„გოლუას აზრით, გერმანიის ჩაბმით ანტისაბჭოთა ფრონტში საფრანგეთი ბევრს დაჰკარგავს. თუ გერმანია დასთანხმდება ამაზე, შედეგი მძიმე ტვირთად დააწვება მხოლოდ საფრანგეთს და პოლონეთს. გაზეთი აუცილებლად სთვლის რეინის ოლქის ევაკუაციას და დანციგის კორიდორის დაბრუნებას. თუ გერმანია უარს იტყვის ანტისაბჭოთა კავშირში შესვლაზე, ეს კიდევ უფრო განამტკიცებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

გარემოცვა მოუხერხებელია

ბერლინი, 9 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, საბჭოთა კავშირის გარემოცვის გეგმების (ინგლისის მიერ წამოყენებულ) განხილვამ ევროპიულ პრესაში დაამტკიცა, რომ გერმანიის და საფრანგეთის პოლიტიკური და საქმიანი წრეები კარგი თვალით არ უყურებენ ამ გეგმებს. ალბად, ჩემბერლენმა გააკეთა აქედან დასკვნა, რომ „ჯერ არ მომწიფებულა მდგომარეობა" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტით შეტევისათვის. ამან აიძულა ჩემბერლენი აუცილებლად სრული სახით არ წამოეყენებია ანტისაბჭოთა გეგმები, რომელნიც გულისხმობენ ყველა სახელმწიფოთა მთლიან ფრონტს, და ყურადღება მიექცია ყველაზე [illegible] პრობლემებზე. ასეთ პრობლემების რიცხვს ეკუთვნის ბესარაბიის აქტის რატიფიკაცია იტალიის მიერ. [illegible] ახებაც შეთანხმება იყო მიღწეული ჯერ კიდევ ლივორნოში ჩემბერლენის მუსოლინთან შეხვედრის დროს, და პოლონეთ-გერმანიის შეთანხმების განხორციელება, რომელიც საფუძველს წარმოადგენს გერმანიის ჩაბმისათვის ანტისაბჭოთა ფრონტში. გარდა ამისა, კამპანია სწარმოებდა საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის წინააღმდეგ. ამ კამპანიას უმთავრესად გერმანია ჰქონდა მხედველობაში. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის საგარანტიო

„წონასწორობის კუფსი"

ბერლინი, 9 მარტი. შტრეზემანთან დაახლოებული ორგანო „ტეგლიხე რანდშაუ" აღნიშნავს, რომ პარიზის პრესა ჟენევის მოლაპარაკებას აღმოსავლეთ საზღვრების შესახებ იყენებს ინტრიგებისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის წინააღმდეგ.

„შეიძლება დაუშვათ—სწერს გაზეთი,—რომ ჩემბერლენი დაინტერესებულია პოლონეთ-გერმანიის შეთანხმებით, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს პოლონეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ინგლისის ანტისაბჭოთა კამპანიაში. სავსებით შესაძლოა, რომ ინგლისი ურჩევს ზალესკის შექმნას წინასწარი პირობები იმისათვის, რომ გერმანია დასთანხმდეს ეკონომიური მოლაპარაკების განახლებაზე. მაგრამ ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ჩემბერლენი ფიქრობდეს, თითქოს გერმანია ამის სამაგიეროთ შესცვლის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. გერმანიის საგარეო პოლიტიკა ემყარება ორ ძირითად ფაქტორს: ლოკარნოს და ბერლინის ხელშეკრულებას. ჩვენ ვცდილობთ შეუთანხმდეთ დასავლეთს, მაგრამ ასევე დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ კარგ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და არავის ნებას არ მივსცემთ შეგვაცვლევინოს კურსი წონასწორობისა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს მშვენივრად იცის ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა. ამიტომ, ის ჟენევაში არ უნდა შეეცადოს ჩაითრიოს გერმანია საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მთლიან ფრონტში".

ჩემბერლენის დაპირება

პარიზი, 9 მარტი. „ეკო დე პარი" იუწყება, რომ ჟენევაში შტრეზემანთან საუბარში ჩემბერლენმა გერმანიას აღუთქვა კოლონიალური კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ ის მხარს დაუჭერს ინგლისს.

გერმანია-პოლონეთის დამოკიდებულება

ვაჭრობა ჟენევაში

პარიზი, 9 მარტი. „ენფორმასიონ" ეყრდნობა რა ზალესკისა და შტრეზემანს შორის დაწყებულ მოლაპარაკებას, აცხადებს, რომ, როგორც სჩანს გერმანიას არ უარუყვია ინგლისის წინადადებები.

„ამას—სწერს გაზეთი—მოწმობს ის გარემოება, რომ ახლო მომავალში განახლებულ იქნება პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება საერთო ხელშეკრულების დადების შესახებ. ეკონომიურ უთანხმოების მოსპობა შესაძლოდ ხდის ტერიტორიალურ საზღვრების რამოდენიმედ შეცვლას ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ამიერიდან საბჭოთა კავშირის დასავლეთით მოსაზღვრე ყველა სახელმწიფოები, გარდა ლიტვისა, მზად არიან შეერთებული მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირის გამოსვლის შემთხვევაში. საფრანგეთი თავს იკავებს ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობისაგან. შტრეზემანი უარს ამბობს საფრანგეთთან თანამშრომლობაზე, სანამ გრძელდება რეინლანდის ოკუპაცია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისმა კონკრეტულ შედეგებს მიაღწია გერმანიისა და პოლონეთის მიმართ, ის წინადადებას მისცემს საფრანგეთს შეუერთდეს ევროპის სახელმწიფოთა შეთანხმებას".

პირველხარისხოვანი საკითხი

ბერლინი, 9 მარტი. 8 მარტს გრძელდებოდა არაოფიციალური მოლაპარაკება გარეშე საქმეთა მინისტრებს შორის. შტრეზემანმა რიგრიგობით მიიღო ვანდერველდე და ჩემბერლენი, რომელმაც საათ ნახევარი დაჰყო მასთან.

ვანდერველდეს და ჩემბერლენის შუამავლობა დამთავრდა იმით, რომ შტრეზემანმა და ზალესკიმ პირობა დასდეს შეხვედრის შესახებ. ზალესკიმ ისარგებლა გერმანიის ელჩის (ვარშავაში) რაუშერის ჩამოსვლით და შეუთანხმდა მას შეხვედრის შესახებ.

ნახევრად ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად, საკითხი პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ ჟენევაში წამოყენებულია პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ ჩემბერლენი ცდილობს მიაფუჩეჩოს ეს ფაქტი თავისი განცხადებით, თითქოს დღის წესრიგის მთავარ საკითხად ის სთვლის რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტს. პოლონეთის შეურიგებელი პოზიციის გამო ჯერ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა შედეგი მოჰყვება შტრეზემანისა და ზალესკის მოლაპარაკებას. ყოველ შემთხვევაში, საეჭვოა, რომ ჟენევაში მიღწეულ იქნეს საბოლოო შეთანხმება, ვინაიდან პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის პრობლემა მეტად რთულია. ჯერ ჯერობით უნდა მოველოდეთ მხოლოდ შეწყვეტილ მოლაპარაკების განახლებას.

პოლონეთ-გერმანიის შეთანხმება

ვარშავა, 10 მარტი. „ვარშავიანკა" იტყობინება, რომ შესდგა შტრეზემანის, გერმანიის ვარშაველ ელჩის რაუშერის და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ზალესკის თათბირი, რომელზედაც მიიღეს შემდეგი შეთანხმება: სავაჭრო მოლაპარაკება განახლებულ იქნება, პოლონეთის მთავრობა უფლებას იტოვებს გააძევოს პოლონეთის საზღვრებიდან ის გერმანელი მოქალაქე, რომლის მოღვაწეობაც მიუღებელი აღმოჩნდება პოლონეთის მთავრობისათვის. (ადს).

შტრეზემანის შეხვედრა ზალესკისთან

ბერლინი, 9 მარტი. 9 მარტს ჟენევაში შესდგა შტრეზემანის შეხვედრა ზალესკისთან. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე გერმანიის ელჩმა ვარშავაში რაუშერმა. გერმანიის დელეგაციის მიერ ამის შესახებ გამოქვეყნებული ცნობა ამბობს, რომ შეხვედრის დროს უმთავრესად განხილული იყო პოლონეთ-გერმანიის ეკონომიური ურთიერთობა. ცნობაში ნათქვამია, რომ ამ მოლაპარაკებათა მიხედვით ორთავე მინისტრი თავის მთავრობას მიმართავს წინადადებით, რომელთა მიღებ[illegible], მინისტრების აზრით, გადალახულ იქნება ამჟამად არსებულ დაბრკოლებები. ზალესკი შემდეგ შტრეზემანს ეწვია ბრიანი. 9 მარტს დილით ბრიანსა და ჩემბერლენს შორის იყო ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროს, როგორც გადმოგვცემენ, დაწვრილებით იყო განხილული პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა. (ადს).

ბესარაბიის საკითხი

ვის ხარჯზე?

პარიზი, 9 მარტი. „ეკო დე-პარი" სწერს: „ბესარაბიის ანექსიის რატიფიკაცია იტალიის მიერ თავის თავად მოსაწონია. მაგრამ რა დაჯდა ეს? სულ რამოდენიმე დღის წინ თვით საქმესთან გაცნობილ რუმინეთის ელჩსაც არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა მზადდებოდა".

სოციალისტების ორგანო „პოპიულერ" სწერს: „ბესარაბიის ანექსია დაამტკიცა კრებამ, რომელიც ნაციონალური კრების პაროდიას წარმოადგენს. ცარიზმის დროს ბესარაბიელებს უნდოდათ რუმინეთთან შეერთება, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ ისინი შენატრიან რუს გლეხებს, რომლებმაც მიწები მიიღეს. იტალიამ [illegible] გადაწყვეტილება გამოიტანა ინგლისის ზეგავლენით, რომელსაც სურს გარიყოს რუსეთის ხალხი, რომელმაც დააშაკა მხოლოდ ის, რომ რევოლიუცია მოახდინა. ცინიკურ პარადოქსს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეს განცხადება, რომელიც [illegible] ზიზღია, ხალხთა თვით გამორკვევის უფლებისადმი, დაკავშირებულია ერთა ლიგის საბჭოს სესიასთან". ადს).

ჩემბერლენის განცხადების რეალური შინაარსი

ბერლინი. 9 მარტი. ნაციონალისტური „დერ ტაგ" ჩემბერლენის განცხადებების რეალურ შინაარსს შემდეგ რეზიუმეს უკეთებს: ჩემბერლენი არ უარყოფდა ინგლისის შუამავლობას ლიტვასა და პოლონეთს შორის. კითხვაზე—მუსოლინთან შეხვედრის დროს ლივორნოში მიღწეულ იქნა თუ არა შეთანხმება იტალიის მიერ ბესარაბიის აქტის რატიფიკაციის შესახებ, ჩემბერლენმა პირველად უარყოფითად უპასუხა, ხოლო შემდეგ პირობითი ფორმით უპასუხა დადებითად, ე. ი. დაადასტურა ინგლისის მუშაობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კითხვაზე—ინგლისის ურთიერთობის შესახებ, საბჭოთა მთავრობასთან, ჩემბერლენმა უპასუხა სიტყვით „ცუდია".

„თუ ჯამს გაუკეთებთ ამ განცხადებებს—სწერს გაზეთი—და შევადარებთ მათ ჟენევაში არსებულ განწყობილებას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ყოველგვარი დათმობა პოლონეთის მიმართ გერმანიისათვის იქნება შემდგომი ნაბიჯი თავისი აღმოსავლეთ საზღვრების გადათვალიერებაზე უარის თქმისაკენ".

პილსუდსკის რესპუბლიკაში

წიგნის გამომცემლობა „კსენჟკას" საქმე

ვარშავა, 9 მარტი. ვარშავის საოლქო სასამართლომ წიგნის გამომცემლობა „კსენჟკას" გამგე ოსტროვსკის „სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის" მიუსაჯა ერთი წლის ციხე. ოსტროვსკისათვის წაყენებულ ბრალდების ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად მოჰყავდათ გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი ბროშურა „სამიწათმოქმედო კომუნები საბჭოთა კავშირში", რომელსაც მეცნიერულ-საინფორმაციო ხასიათი აქვს. (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია

ვარშავა, 9 მარტი. ვარშავაში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია. პოლიციამ გარეკა დემონსტრაცია. დაპატიმრებულია რამოდენიმე კაცი. (ადს).

პოლიტპატიმართა სიმშილი ბულგარეთში

რემედასის მოწოდება

მოსკოვი, 10 მარტი. რემედასმა მიმართა ყველა მშრომელთ მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია: „ბულგარეთში დაიწყო პოლიტპატიმართა საყოველთაო სიმშილობა. სიმშილობს 22 ციხე. 1500 მეტ კაცმა თავი გადასდო სიკვდილისთვის. ეს—კლასიური ბრძოლის ისტორიაში კაპიტალის ტყვეთა გმირობისა და თავგანწირულობის გაუგონარი განხორციელებაა. სასტიკმა ბრძოლამ სისხლიდან დაცლილ ბულგარეთის ხალხსა და მის დამმონებელთა ხროვის შორის უკვე ჰპოვა ფართე გამოძახილი მთელს მსოფლიოში. ყველა ქვეყნის პროლეტარებმა და გლეხებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ და ყველა პატიოსანმა და გულშემატკივარ პირებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა და მწერლებმა აღიმაღლეს თავისი პროტესტისა და აღშფოთების ხმა და ზიზღს უცხადებენ ბულგარეთის მშრომელი ხალხის ჯალათებს. ჩვენ მოგიწოდებთ ბრძოლის გაძლიერებისაკენ და სიკვდილის კლანჭებიდან ბულგარეთის პოლიტპატიმართა ათასი განწირული სიცოცხლის გადარჩენისაკენ". (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულება

რიგა, 9 მარტი. დღეს ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა და საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა არალოვმა ინიციალებით ხელი მოაწერეს საგარანტიო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის.

მოლაპარაკებას ხელშეკრულების დამატებების შესახებ არალოვის გამგზავრების გამო, განაგრძობს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ლორენსი. (ადს).

რიგა, 10 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა:

„გუშინ მე და არალოვმა ინიციალებით ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომელთა გარშემო უთანხმოება არ არსებობს. შეთანხმება არ არის მიღწეული ხელშეკრულების ცალკე მუხლებში, კერძოდ იმ საკითხში, რომელიც შეეხება ლატვიის უფლება-მოვალეობას ერთა ლიგისადმი, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით". ლატვია და საბჭოთა კავშირი—განაცხადა მინისტრმა—მოწადინებული არიან, რომ ბალტიის ზღვის განაპირად სუფევდეს მშვიდობიანობა არა ქაღალდზე, არამედ სინამდვილეში. (ადს).

პოლონეთის პრესა თავდაუსხმელობის ხელშეკრულების შესახებ

ვარშავა, 9 მარტი. „პრავიცა ნაროდოვის" ორგანო „ძენ პოლსკი" ანალიზს უკეთებს ცნობას ლატვია-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულების დადების გარშემო და ფიქრობს, რომ რამდენადაც ეს ხელშეკრულება ფაქტი გახდება, იმდენათ მოისპობა დაბრკოლება პოლონეთ-საბჭოთა კავშირ შორის ცალკე შეთანხმების მიღწევისათვის.

გაზეთი ფიქრობს, რომ მოსკოვში მყოფ პოლონეთის ელჩის, პატეკის ვარშავაში დაბრუნების შემდეგ უნდა ველოდეთ მოლაპარაკების დაწყებას პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების მიზნით. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

მდგომარეობა შანხაიში

შანხაი, 9 მარტი. სამხედრო მდგომარეობა უცვლელია. შანდუნის ჯარების კონცენტრაცია პროვინცია ცზიანსუს სამხრეთით გრძელდება. შანხაიში ჩავიდა ჯავშნოსანი მატარებელი რუსი თეთრგვარდიელების რაზმით. პრესის ცნობით, შანხაი-ნანკინის რკინის გზა შანდუნელების ხელშია, რომლებმაც მიიღეს ზომები, რათა ეროვნული ჯარები უცაბედათ არ დაესხან თავს სუჩ-ჩეოუს, ვუზის და სამხრეთ ნაწილის ტაიხუს ტბიდან. უცხოეთის საკონსულო წრეებში ფიქრობენ, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანს საკმაო ძალები ჰყავს შანხაის რაიონის შესანარჩუნებლად და ეროვნულ ჯარებთან საბრძოლველად. მდგომარეობა პროვინცია ანხოიში ალბად ხელსაყრელია ეროვნულ ჯარებისათვის. უკანასკნელი ცნობებით, ვეხუს (მდებარეობს იან-ცზიციანზე, პროვინცია ანხოის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში) მტკიცედ იცავენ ეროვნული ანხოის ჯარები, რომელნიც ეროვნულ მთავრობის მხარეზე გადავიდენ. (ადს).

შანხაის რკინისგზელთა გაფიცვა

შანხაი, 9 მარტი. შანხაის რკინის გზაზე გაფიცულია ათასზე მეტი რკინის გზელი, უმთავრესად სახელოსნოების მუშები. პრესა ამტკიცებს, რომ გაფიცვას წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს.—მისი მიზანია შეაჩეროს შანდუნის ჯარების მოძრაობა. ფორმალურად კი გაფიცვა რის ეკონომიური, ვინაიდან წამოყენებულია მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნილებათა. ყველა სადგურებში იმყოფებიან სამხედრო მცველი რაზმები, რომელნიც აიძულებენ მუშებს არ შესწყვიტონ მუშაობა. ორთქლმავალებიც სამხედრო მცველი რაზმის მფარველობით დადიან. ხმების მიხედვით, აღმოჩენილ იქნა ვითომდა ხიდების და რკინის გზის ხაზის აფეთქების რამოდენიმე ცდა. (ადს).

ინგლისის ახალი ჯარები შანხაიში

შანხაი, 9 მარტი. შანხაიში ჩავიდა ინგლისის ახალი ფეხოსანი ჯარი და აგრეთვე 8 ჯავშნოსანი ავტომობილი (ადს).

უთანხმოება მილიტარისტებს შორის

პეკინი, 9 მარტი. როგორც იუწყებიან, ჩან-ძო-ლინმა მუკდენელებს უბრძანა დაიწყონ საერთო შეტევა ჩინ-იუნაოს (გენერალი, რომელიც წინედ უ-პეიფუს ემორჩილებოდა და ეხლა მუკდენის ჯარებს ხენანში უშლის ხელს წაიწიოს წინ) ჯარების წინააღმდეგ და 10 მარტისათვის აიღოს ჩან-ჩჟოუ. მუკდენის მძიმე არტილერიის კორპუსის ოთხი ბატარეა გაიგზავნა ხენანში. მიუხედავად მუკდენელების ცდისა აიღონ ჩან-ჩჟოუ, იგი მაინც ჩინ-იუ-ნაოს ხელშია. (ადს).

ჩინელი „პოტიომკინელები"

შანხაი, 9 მარტი. ნავთსადგურ ვუზუნში ჩინეთის აჯანყებულმა კანონერკებმა, (რომლებიც წინად სუნ-ჩუანფანს ემორჩილებოდენ) განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ კანტონის ნაციონალურ მთავრობას. აჯანყებულ კანონერკების კომანდების მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ არსენალისათვის ყუმბარების დაშენა 22 თებერვალს მოწყობილი იყო პროტესტის ნიშნად სუნ-ჩუან-ფანისა და მკვლელობის პოლიტიკის წინააღმდეგ. „ეხლ,—ნათქვამია მოწოდებაში,—იმის შემდეგ, რაც გასროლილ იქნა პირველ ყუმბარა მილიტარიზმის წინააღმდეგ, ჩვენ უფრო მეტი ენერგიით და ხალისით ვიბრძოლებთ. ძირს მილიტარიზმი და იმპერიალიზმი. გაუმარჯოს ნაციონალურ მთავრობას". (ადს).

კანტონელების წინსვლა

პეკინი, 9 მარტი. გაზეთების შეუმოწმებელი ცნობებით, ნაციონლურმა ჯარებმა, ვუ-ცზინთან ბრძოლის შემდეგ (ვუ-ცზიანი მდებარეობს ტბა ტაიხუს აღმოსავლეთით) აიღეს. ვუ-ცზიანი და, როგორც ამტკიცებენ, თითქოს სუ-ჩჟოუც. იმავე ცნობებით შანდუნელების მთავარი შტაბი შანხაიდან გადატანილია ჩუან-ჩჟოუში, რომელიც მდებარეობს 80 კილომეტრის მოშორებით სუ-ჩჟოუს ჩრდილოეთ-დასავლეთით შანხაი-ნანკინის რკინის გზის ხაზზე. (ადს).

გლეხთა კონფერენცია

ხანკოუ, 10 მარტი. ნანჩინში მოხდა პროვინცია ცზიანსის გლეხთა პირველი კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა შეუერთდეს გლეხთა ინტერნაციონალს, მოახდინოს კონტრ-რევოლიუციონერების ქონების კონფისკაცია განაიარაღონ მემამულენი, შეიარაღოს გლეხობა და დაეხმაროს ეროვნულ მთავრობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. (ადს).

ხუბეის პროვინციის გლეხთა კონფერენცია

ხანკოუ, 10 მარტი. უჩანში გაიხსნა პროვინცია ხუბეის გლეხთა კონფერენცია. კონფერენციის გახსნის აღსანიშნავად მოხდა 200.000 მუშისა და გლეხის დემონსტრაცია. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს 160 დელეგატი, რომელნიც 800.000 გლეხის წარმომადგენელნი არიან. კონფერენცია განიხილავს შემდეგ საკითხებს: მიწის რენტის შემცირება, კონტრ-რევოლიუციონერთა ქონების კონფისკაცია, მემამულეთა განიარაღება და გლეხთა შეიარაღება.

მუშათა მასების მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში

სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობის საქმეში მუშათა მასების მონაწილეობის საუკეთესო ფორმა არის საწარმოო და ეკონომიური თათბირები. მათი საშუალებით მუშათა მასები ხდებიან წარმოების შეგნებულ მონაწილეთ, მზადდებიან მუშათა კადრებიდან ახალი სამეურნეო მუშაკები, და კოლექტიური ძალით ხდება სახელმწიფო წარმოების მუშაობის გაუმჯობესება.

როგორ მუშაობენ საწარმოო და ეკონომიური თათბირები საქართველოში? მათი ორგანიზაციის პირველი პერიოდის გასვლის შემდეგ მუშაობა ცოტათი შესუსტდა. გასულ წლის მეორე ნახევარში კი თათბირების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა და გაძლიერდა. ამ ჟამად საწარმოო და ეკონომიური თათბირები მუშაობენ 200-ზე მეტ წარმოება-დაწესებულებაში.

გასულ 26 წლის განმავლობაში თათბირებზე მონაწილე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი მიღლათ საქართველოში დაახლოვებით უდრიდა 23 ათასს, ერთი წლის განმავლობაში ყველა თათბირის მიერ გარჩეული იყო დაახლოვებით 2.500 საკითხი. ეს ცნობები საუკეთესო მაჩვენებელი არის იმის, თუ როგორ მონაწილეობას იღებს მუშების ფართო მასა სამეურნეო მუშაობაში. ორი ათას ხუთასი საწარმოო და ეკონომიური საკითხის გარჩევა 23 ათას მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობით—ეს ბევრს რამეს ამბობს. რომ ამ გარჩევას კიდევ რომ წარმოებისათვის არავითარი ნაყოფი არ გამოელო, თავის-თავად მარტო გარჩევის პროცესს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მუშების საწარმოო აღზრდა, მათი სამეურნეო ჰორიზონტის გაფართოვება, ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის დაახლოვება მუშების მასებთან გამოცდილების ურთიერთ გაზიარების საფუძველზე—აი ის შედეგები, რომლებიც უეჭველათ მოგვცა თათბირებზე საკითხების გარჩევამ.

მარტო ზევით მოყვანილ შედეგებით არ ამოიწურება თათბირების მუშაობა. თათბირებზე საკითხების გარჩევა იძლევა არა მარტო აღმზრდელობით შედეგებს, არამედ ის ხელს უწყობს წარმოების რაციონალურათ დაყენებას და დეფექტების გამოსწორებას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ღირსშესანიშნავი მიღწევები. შეუძლებელია ამ მიღწევების საგაზეთო წერილში მოყვანა, ვინაიდან ყველგან არ ხერხდება ამ მიღწევების ფულად რაოდენობაში გამოხატვა.

მარტო თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში საწარმოო თათბირების წინადადებების ცხოვრებაში გატარება კავშირის ცნობით იძლევა 80 ათას მანეთს ერთი წლის განმავლობაში. სხვა დარგებშიაც თათბირების დადგენილებათა გატარება არა ნაკლებ შედეგებს იძლევიან. აი, მაგალითად, თამბაქოს ქარხნებში საწარმოო თათბირების მიერ გამომუშავებულ ზომებით ნაწარმოების ხარისხი გაუმჯობესდა, შემცირდა ნაწარმოების წახდენა (ბრაკი), თუთუნის დამტენ მანქანებს გაუკეთდა ავტომატიური მოწყობილება, რამაც 10-12 ათასი მანეთის სარგებლობა მოიტანა, შეამცირა საჭირო მუშა ხელი და მინიმუმამდე დაიყვანა მტვერის გამოდენა, რაც ზიანს აყენებდა მუშების ჯანმრთელობას; გამოყენებულ იქნა ძველი ეტიკეტები, წამხდარი ქაღალდი და სხ. ლითონტრესტის წარმოებებში, თუმცა თათბირები სუსტათ მუშაობდენ, მაგრამ მაინც საგრძნობი მიღწევები არის—მაგალითად, 26 კომუნარის ქარხანაში რკინის ლოგინების თვითღირებულების შემცირება მუშის წინადადებით; მასალების ერთი საამქროდან მეორე საამქროში გადატანის ხარჯების შემცირება და სხვ. დიდ მიღწევებს ვხედავთ სხვა დარგებშიც. საფეიქრო მრეწველობაში ბამბის დამუშავების გაუმჯობესება, ხარჯების შემცირება მუშაობაში ელექტრო ენერგიის გამოყენებით, ეკონომიის მიღება მანქანების შეკეთებით, ცუდი სალებავის შეცვლა და კარგი ხარისხის მატყლის ყიდვა (ქუთაისის მაუდის ქარხანაში). ქიმიურ მრეწველობაში—მთელი რიგი მიღწევები ბორჯომის მინის ქარხანაში. როგორც, მაგალითად, გლაუბერის მარილის გაშრობის გაუმჯობესება, საამქროდან საამქროში მასალების გადატანის ხარჯების შემცირება, დამხმარე სახელოსნოების კონცენტრაცია, ბოთლების მტვრევის შემცირება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და სხვ.; საპნის ქარხნებში—წყლის მექანიკური მიწოდება, დარჩენილი მასალების გამოყენება, თვითღირებულების შემცირება მტკვრიდან უფასო წყლის გადაქაჩვის მოწყობით და სხვ. ხე-ტყის დამუშავების მრეწველობაში—ძველი ხერხების და ნახმარ ქლიბების გადაკეთება და გამოყენება, სინათლის და წყლის ეკონომია, მსხვილი ზომების და წუნდადებული მასალათა გადახერხვა (აქამდი ეს მასალა სათბობ მასალათ იყიდებოდა. ამ ზომამ თბილისის ხე-ტყის № 1 ქარხანას ერთდროულათ მისცა 2500 მანეთი), სახერხ მანქანების გაჩერების შემცირება; ნედლეულობის ისეთი ასორტიმენტათ დახერხვა, რომელზედაც მოთხოვნილება არსებობს; ფარდულების გაკეთება მასალის გაფუჭებისაგან დასაცავათ; გაჩერებული მანქანების გასწორება და ამუშავება; მუშაობის შეჩერების შემცირება ინსტრუმენტების საჭირო რიცხვის მომარაგებით; მასალების საწყობიდან გამოტანის გამარტივება, ლოკომობილის მუშაობის ინტენსივობის გადიდება და სხვ.; ტყავის ქარხნებში—ტყავის თმების მოცილების პროცესის დაჩქარება (აქამდი ხდებოდა 3 დღე, ახლა 8 საათი), წუნდებულ (ბრაკის) ნაწარმოების შემცირება, მანქანის გადაკეთება, რამაც წარმოებას მისცა თვეში 114 ფუთი ზედმეტი პროდუქცია და სხვ.; სახელმწიფო სასოფლო მამულებში—ხარჯის შემცირება საორთქლო მილების შეცვლით, ღერწამის გაფუჭების შემცირება შენახვის წესის შეცვლით, გახარებულ ნერგის რაოდენობის მომატება ნიადაგის შეცვლით, მუშა-ხელის შემცირება ვენახის თოხნის მაგიერ წყობრების დახვნის შემოღებით.

ზევით ჩამოთვლილი მიღწევებით არ ამოიწურება ის, რაც ჩვენ მოგვცა საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობამ. რაც აქ მოვიყვანეთ, მიღწევების ერთ მესაედასც არ შეადგენს.

ს. ზ.

უკანასკნელი ცნობები

ალლისონს მიუსაჯეს 18 თვის ციხე

ლონდონი, 9 მარტი. ინგლისის ყოფილ წარმომადგენელს პროფინტერნში ამხ. ალლისონს, რომელიც ამას წინად დაპატიმრებულ იქნა ბომბეიაში, მიუსაჯეს 18 თვის ციხე. ალლისონს ბრალდება ყალბი პასპორტის დამზადება. (ადს).

თეთრგვარდიელი მრჩეველი

შანხაი, 10 მარტი. 9 მარტს შანხაიში ჩამოვიდა ჩჟან-ცზუნ-ჩჟანის თეთრგვარდიელი მრჩეველი მერკულოვი, რომელმაც თან ჩამოიყვანა თეთრგვარდიელთა ერთი რაზმი რამოდენიმე ასეული კაცის რაოდენობით. ახლო დღეებში შანხაიში მოელიან თეთრგვარდიელთა ახალ რაზმს.

იტყობინებიან, რომ მერკულოვი კრებს რაზმს წართმეულ გემის „ლენინის ხსოვნას"-ათვის, რომელიც შემდეგ ნახარგებლევი იქნება შანდუნის და მუკდენის ჯარების გადასაყვანათ. (ადს).

როდის ილაპარაკა კამენევმა

ლონდონი, 10 მარტი. რეიტერი იტყობინება, რომ სუსანა ლოურენსმა, მუშათა პარტიის წევრმა, შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც ჩემბერლენის ადგილი ეჭირა, მისცა შეკითხვა—შეუძლია თუ არა მას აღნიშნოს თარიღი, როდის წარმოსთქვა სიტყვა კამენევმა და აგრეთვე ეს დაამტკიცოს. რომელიმე რუსულ გაზეთზე მითითებით. ლოკერ ლემპსონმა, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, განაცხადა, რომ სიტყვის წარმოთქმის ზუსტი თარიღი გამოურკვეველია, მაგრამ ამ სიტყვის კომენტარიები მოთავსებული იყო როგორც „ტაიმს"-ში, ისე უცხოეთის პრესაში. კენვორტიმ, მუშათა პარტიის წევრმა, დასვა კითხვა. შეიძლება თუ არა ეს ისე გავიგოთ, რომ [illegible] მნიშვნელოვანი ნოტა ნაწილობრივ ემყარებოდა უცხოეთის გაზეთების ცნობებს. ლოკერ-ლემპსონმა უპასუხა, რომ კამენევის სიტყვა გადმოცემული იყო პრესაში არა მარტო ინგლისში, არამედ აგრეთვე მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. (ადს).

სოციალისტურ მუშათა პარტიის ახალი ცეკა

ვენა, 9 მარტი. უნგრეთის პრესის ცნობით, უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, ვაგის და სხვების დაპატიმრების გამო, აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. (ადს).

ამერიკის სესხი

ვარშავა, 9 მარტი. ებრაელთა ბურჟუაზიულ გაზეთის „ნაშ პშეგლონდის" ცნობით, ამერიკის საბანკო კონსორციუმი აძლევს პოლონეთს ორ სესხს: ერთს 60—90 მილიონ ზლოტის რაოდენობით, პოლონეთის ვალიუტის განსამტკიცებლად და მეორეს—50—70 მილიონ ზლოტის რაოდენობით, პოლონეთის სახალხო მეურტას რაოდენობით. პოლონეთის სახალხო მეურნეობაში დასაბანდებლად. (ადს).

კომუნისტების „მოკვლა დასაშვებია"

ვენა, 9 მარტი. უნგრეთის ოხრანკის უფროსის მოადგილე შვეინიცერ სანტოს, ვაგის და სხვ. დაპატიმრებულთა დამცველებთან საუბარში იძულებული გახდა დაედასტურებია პატიმართა წამების ფაქტები. იგი დაემყარა ბულგარეთის, რუმინეთის და სუმატრის მაგალითებს, „სადაც კომუნისტებს ჟლეტენ კიდეცა".

სანტო და ვაგი, როგორც ირკვევა ძლიერ ნაცემი ყოფილან. დაპატიმრებულ ქალებს სცემენ და ისე ამახინჯებენ, რომ მათი ცნობა არ შეიძლება. (ადს).

მოლაპარაკება განიარაღებაზე

ლონდონი, 9 მარტი. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, მოლაპარაკება ლონდონსა, ვაშინგტონსა და ტოკიოს შორის იაპონია-ინგლის-ამერიკის საზღვაო განიარაღების კონფერენციის შესახებ წარმატებით მიმდინარეობს. (ადს).

ესტონეთის პოზიცია

ვარშავა, 9 მარტი. გაზ. „კურიერ პოლსკის" კორესპონდენტის ცნობით, ერთა ლიგაში ესტონეთის წარმომადგენელ გენ. ლაიდნერთან მდგარ ახლო წრეებში ამტკიცებენ, რომ ესტონეთი არ დასდებს საბჭოთა კავშირთან ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც მიმართული იქნება ერთა ლიგის წინააღმდეგ. (ადს).

გემი „ლენინის ხსოვნას" ჯერ არ დაუბრუნებიათ

ლონდონი, 10 მარტი. რეიტერის სააგენტო იტყობინება შანხაიდან, რომ გემი „ლენინის ხსოვნას", რომელიც 1-ლ მარტს ხელთ ჩაიგდეს რუსეთის თეთრგვარდიელებმა, გამოყენებულია როგორც სატრანსპორტო საშუალება ჩრდილოეთელი ჯარებისათვის. (ადს).

საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს

ნავთის ამოღებაში

ნიუ-იორკი, 10 მარტი. სამთო-მადნო ინჟენერთა კრებაზე ამერიკის ინსტიტუტში ნავთის კომპანიის წარმომადგენელმა დეგერტი გორფიასმა განაცხადა, რომ მეორე ადგილი ნავთის ამოღებაში, რომელიც ეკუთვნოდა მექსიკას, შეიძლება საბჭოთა კავშირმა დაიჭიროს 1927 წელში. ნავთის მსოფლიო ამოღება 1926 წ შეადგენდა 1.096 მილ. კასრს. ამ რაოდენობიდან 62 მილ. კასრი საბჭოთა კავშირში იქნა ამოღებული, სადაც ნავთის ამოღება განუწყვეტლივ იზრდება, მექსიკაში ნავთის ამოღება ეცემა და წარსულ წელს შეადგენდა 90 მილ. კასრს. (ადს).

ბოროტმოქმედებანი ჰელსინგფორსის პოლიციაში

ჰელსინგფორსი, 9 მარტი. ფინეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს სენსაციურ გამოცხადებებს იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჰილსენგფორსის პოლიციაში, საქმე გამოამჟღავნა ვინმე მატელამ. რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული ყალბი ჩეკების და საღერბო მარკების დამზადებისათვის. მატელა ამტკიცებს, რომ ჰელგსინფორსის პოლიციას და კერძოთ საძიებელი განყოფილების უფროსს ვირტაიენს ჰქონდათ ცნობები მისი მუშაობის შესახებ. მატელა ამბობს, რომ შემდეგში ის გამოამჟღავნებს კიდევ რამდენიმე ფაქტს, რომელიც სახელს უტეხს პოლიციას.

ამასთან დაკავშირებით დაწყებულ იქნა გამოძიება ჰელსინგფორსის პროკურორის ხელმძღვანელობით. პროკურორმა უკვე გადააყენა ჰელსინგფორსის პოლიცმეისტერი ხანკაიენი. იუსტიციის სამინისტრომ ხანკაიენი და ვირტაენი პასუხისგებაში მისცა. (ადს).

ამხ. რაკოვსკი პარიზში

პარიზი, 9 მარტი. 9 მარტს პარიზში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი.

სიკვდილით დასჯა

კომუნისტობისთვის

ვენა, 9 მარტი. ბუდაპეშტში უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით და იუსტიციის მინისტრის მონაწილეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის ზომები.

თათბირზე ირჩეოდა აგრეთვე საკითხი კომუნისტების წინააღმდეგ ისეთი საგანგებო კანონის გამოცემის შესახებ, რომლითაც კომუნისტური მუშაობისათვის დამნაშავე სიკვდილით დაისჯება. (ადს).

სტიპენდია კოლორადოს

მემაღაროეთა სკოლაში

მოსკოვი, 10 მარტი. განათლების სახალხო კომისარიატმა გადასცა სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას კოლორადოს (ჩრდილოეთ ამერიკა) [illegible] სკოლის პრეზიდენტის ცნობა ერთი ყოველწლიური სტიპენდიის დათმობის შესახებ პროფგანათლების მთავარ სამმართველოსათვის. კოლორადოს მემაღაროეთა სკოლა ითვლება საუკეთესო სკოლად მთელს მსოფლიოში. ნავთის სინდიკატის გამგეობამ გამოსთქვა თანხმობა ნავთის მრეწველობიდან სამი მუშაკის გაზავნაზე კოლორადოში. აზნავთიდან სინდიკატი გზავნის ორ კაცს (ადს).

ბელგია და საბჭ. კავშირი

პარიზი, 10 მარტი. ბელგიის დეპ. პალატის გარეშე საქმეთა კომისიის ზოგიერთმა წევრებმა ბელგიის სენატში მოითხოვეს მოლაპარაკების განახლება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. კომისიის უმრავლესობა ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდა იმ საბაბით, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი კომუნიზმის პროპაგანდას დაიწყებენ სამრეწველო რაიონებში.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის შესახებ კომუნისტებმა შეკითხვა შეიტანეს ვანდერველდესადმი (ადს).

ჯალათების საერთაშორისო ტრესტი

ვენა, 9 მრტი. უნგრეთის პოლიტიკური „ოხრანკის" უფროსმა სეტენიიმ გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ უნგრეთის პოლიციას უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში კავშირი აქვს გაბმული ვენის, პარიზის, რომის, ბერლინის და მიუნხენის პოლიციასთან „ბოლშევიზმის წინააღმდეგ გაერთიანებულია ბრძოლის მიზნით". (ადს).

პოლიტკატორღელთა

საზ—ბის საკავშირო პლენუმი

მოსკოვი, 9 მარტი. კლუბში „კატორღა და გადასახლება" გაიხსნა პოლიტკატორღელთა საზოგადოების სრულიად საკავშირო მესამე პლენუმი. პლენუმს ესწრება საზოგადოების 45 დიდი განყოფილების წარმომადგენელი. პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენების თანახმად, საზოგადოებაში ითვლება 46 ადგილობრივი ორგანიზაცია 2.145 წევრის შემადგენლობით (ადს).

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

უდიდესი წისქვილი მთელს საბჭოთა კავშირში„

ნიჟნი-ნოვგოროდი, 10 მარტი. ათი წლის უმოქმედობის შემდეგ ამუშავებულია „ხლებოპროდუკტი"-ს წისქვილი, უდიდესი მთელს საბჭოთა კავშირში. ეს წისქვილი თვეში დაფქვავს 1 მილიონ ფუთ ხორბალს. წელს წისქვილი დაფქვავს 7,5 მილ. ფუთ ხორბალს (ადს).

პურის ცხობის გაუმჯობესება

ლენინგრადი, 10 მარტი. ინჟ. ჯოროგოვმა გამოიგონა მექანიკური ღუმელი, რომელსაც, დღე-ღამეში ერთხელ გახურების შემდეგ, შეუძლია პურის ცხობა 18—20 საათის განმავლობაში. არსებულ ღუმელებთან შედარებით, ეს ღუმელი იძლევა საწვავი მასალის ეკონომიას 50 პროცენტით. ღუმელის ნაყოფიერება ერთიათამად სჭარბობს არსებულ ღუმელების ნაყოფიერებას (ადს).

საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩინეთში ციმბირის რკ.-გზის საშუალებით

სემიპალატინსკი, 10 მარტი. დასავლეთის ჩინეთის განსაკუთრებულ საქმეების რწმუნებულმა კიზიჩინმა განაცხადა, რომ პეკინში ის არკვევდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობის საკითხს დასავლეთ და ცენტრალურ ჩინეთის შორის ციმბირის რკინიგზის საშუალებით, უდაბნო გობოზე გამავალ რკინისგზის ნაცვლად. ასეთი მიმოსვლა გაცილებით იაფი ჯდება და თითქმის ერთი-ორად შემცირებს საქონლის გადაზიდვის დროს. საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და დასავლეთ ჩინეთის ხელისუფლებას შორის დაიწყება მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების გარშემო (ადს).

ა. ლ. კომკავშირის საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 10 მარტი. ა. ლ. კომკავშირის მეხუთე საკავშირო კონფერენცია დანიშნულია 23 მარტისათვის. საკავშირო ა. ლ. კომკავშირის ცეკას პლენუმი დანიშნულია 21 მარტისთვის.

საბაღოსნო სათესი მასალა

მოსკოვი, 10 მარტი. მიმდინარე წელს მოთხოვნილება საბაღოსნო სათესლე მასალაზე განისაზღვრება 6 მილ. ცალით. ახალ კოოპერატიულ სანამყენო სათბურების გაფართოვების მიზნით, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გრძელვადიან სესხის სახით გასცა 225.000 მან. იმ ანგარიშით, რომ 1926 წ. სრულიად იქნას დაკმაყოფილებული მოთხოვნილება საბაღოსნო სათეს მასალაზე. (ადს).

რემედასის კონფერენცია

მოსკოვი, 10 მარტი. 23 მარტს მოსკოვში იხსნება რემედასის მეორე საერთაშორისო კონფერენცია. მოელიან 80-დე დელეგატს სხვადასხვა ქვეყნიდან. მოხსენებას თეთრი ტერორის და ფაშიზმის შესახებ გააკეთებენ კლარა ცეტკინი, ბარბიუსი და ლეპეშინსკი. (ადს).

საკავშირო მთავრობის წევრები რესპუბლიკანურ ყრილობაზე

მოსკოვი, 10 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობაზე, რომელიც ახლო მომავალში იქნება მოწვეული, გაგზავნილ იქნენ საკავშირო მთავრობის წევრები: ამხ. პეტროვსკი—სრულიად რუსეთის ყრილობაზე, ამხ. ორჯონიკიძე—უკრაინის ყრილობაზე, ამხ. რუძუტაკი—ამიერ-კავკასიის, ამხ. ენუქიძე—ბელორუსიის, ამხ. სმიდოვიჩი და ამხ. ასვენდოროვი—თურქმენისტანის და უზბეკისტანის საბჭოთა ყრილობაზე. (ადს).

ამხ. მიქოიანი შვებულებაში

მოსკოვი, 10 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. მიქოიანი გაემგზავრა ერთი თვით შვებულებაში ავადმყოფობის გამო. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა ხელმძღვანელობა ამხ. მიქოიანის დაბრუნებამდე დაევალა მის მოადგილეს ამხ. მაქსიმოვს. (ადს).

საბჭოების სრულიად რუსეთის მე-13 ყრილობა

მოსკოვი, 10 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა საბჭოების სრულიად რუსეთის მე-13 ყრილობის დღის წესრიგში დამატებით შეიტანა საკითხი საკავშირო ცაკსა და ეროვნებათა საბჭოში რ. ს. ფ. რ.-დან წევრთა არჩევის შესახებ:

რ. ს. ფ. ს. რ:-ს: მთავრობის საანგარიშო მოხსენებით გამოვა ამხ: რიკოვი, მოხსენებით რ. ს. ფ. ს. რ:-ს: მრეწველობის მდგომარეობის შესახებ—ამხ. ლობოვი, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ—ამხ. მილიუტინი, სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ—ამხ. ლუნაჩარსკი, ფასების დაკლების შესახებ—ამხ. ეისმონტი (ადს).

მზადება ოქტომბრის 10 წლის თავისათვის

მოსკოვი, 10 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ, რომლის მიზანია ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის წინასწარი სამზადისის ჩატარება, გადასწყვიტა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ინიციატივის და თვითმოქმედების გაღვიძებას როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულ, პროფსიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, რათა მათ მსჯელობა იქონიონ პრესის საშუალებით მომავალი დღესასწაულის ჩატარების წესისა და ფორმის შესახებ.

კომისიამ დაადგინა, რომ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩატარებას პრინციპათ დაედოს რაც შეიძლება ნაკლები სახელმწიფოებრივი საშუალებების დახარჯვა. წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოთა ყოველგვარი ხარჯები უნდა მიიღონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და უწყებებმა თავიანთი ბიუჯეტებიდან, ხოლო საიუბილეო სამუშაოები გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმავე ორგანიზაციების წლიური მუშაობის გეგმაში.

ლიტერატურის შესახებ გამოტანილია დადგენილება, რომ დაცულ იქნეს დიდი ეკონომია, ლიტერატურა მისაწვდომი იყოს მუშათა და გლეხთა ფართო მასებისთვის და გაუმჯობესებულ იქნეს მისი ხარისხი. უწყებებს ეკრძალებათ კერძო „საიუბილეო" ლიტერატურის გამოცემა.

კომისიამ ამასთანავე მიმართა თხოვნით საკავშირო ცაკს დაუგზავნოს შესაფერი მითითებანი სახალხო კომისარიატებს და აღმასკომებს და შემოიღოს მტკიცე წესი ამ დადგენილების შესრულებაზე თვალყურის სადევნებლათ. კომისიაში მიღებულია ცნობები, რომ რესპუბლიკანური კომისიები უკვე მოეწყო უზბეკისტანში, უკრაინაში, თურქმენისტანში და ბელორუსიაში.

რ. ს. ფ. რ.-ს ცაკში განხილულ იქნა საკითხი რუსეთის ტერიტორიაზე რესპუბლიკანური კომისიის დაარსების შესახებ. რ. ს. ფ. ს. რ.-ს ცაკმა მიზანშეუწონლათ სცნო ცალკე კომისიის დაარსება და დაადგინა სთხოვოს საკავშირო ცაკს, რომ ეს ფუნქცია იკისროს საკავშირო ცაკთან არსებულმა კომისიამ, რომელშიაც შევა რ. ს. ფ. ს. რ.-ს ორი წარმომადგენელი. (ადს).

საფეიქრო მრეწველობა 1926-27 წელში

მოსკოვი, 10 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, ამხ. ავანესოვის მოხსენება საფეიქრო მრეწველობის 1926—27 საწარმოო პროგრამის შესახებ.

შრომის და თავდაცვის საბჭომ სცნო, რომ საფეიქრო მრეწველობას 1925 წლიდან 1927 წლამდე უხდებოდა მუშაობა მეტად მძიმე პირობებში, როცა შეიცვალა წარმოების განვითარების ტემპი და როცა საფეიქრო მრეწველობა საკმაო გეგმიანობას ვერ იჩენდა. საბჭომ დაამტკიცა ს. მ. უ. საბჭოს მიერ წარმოდგენილი საწარმოო გეგმა მიმდინარე სამეურნეო წლისათვის, რომლის თანახმად დამზადებული უნდა იქნეს ბამბეული ქსოვილები 2.328 მილ. მეტრის რაოდენობით, შალეულობა—81 მილ. მეტრის რაოდენობით და სხ.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა ს. მ. უ. ს. გადასინჯოს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ტრესტების პრეისკურანტები და დააწესოს ფასების ნორმალური შეფარდება დამუშავებულ ქსოვილების ხარისხთან. ამასთანავე ს. მ. უ. ს. დაევალა დაუკლოს ფასებს სელის, ბამბეულის, შალეულობის და მაუდის მრეწველობაში 5 პროცენტით; კამვოლის მრეწველობაში—8 პროცენტით; ტილოს მრეწველობაში—10 პროცენტით; აბრეშუმის—15 პროცენტი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და სახ. მეურნეობის უმ. საბჭო ვალდებული არიან პირველ მაისისათვის წარუდგინონ შრ. და თავდაც. საბჭოს მოხსენება, იმის შესახებ, თუ რამდენათაა შესრულებული ფასების თვითღირებულების შემდგომი დაკლება წრევანდელ ნაწარმოებზე და გაითვალისწინონ საფეიქრო მრეწველობის მოგების შემცირების შესაძლებლობა. კაპიტალურ მშენებლობისათვის, საფეიქრო მრეწველობაში დამტკიცებულ გეგმის თანახმად 1926—27 წლისათვის დამტკიცებულია—123.450.000 მანეთი. (ადს).

რიონის ჰიდროსადგური

მოსკოვი, 10 მარტი. „ელექტროპლანმა" წინადადება მისცა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ოთხი თვის ვადაში დამუშაოს ინჟ. მელიქფაშაევის მიერ წარმოდგენილი ტეხნიკური ვარიანტი მდ. რიონზე ჰიდროსადგურის აშენებისა. ეს ვარიანტი საშუალებას იძლევა სადგურის სიმძლავრე აყვანილ იქნას 42.000 კილოვატამდე. (ადს).

პროვოკატორი სორიმი

სიმფეროპოლი, 10 მარტი. დაიწყო თეთრგვარდიელ პროვოკატორის სორიმის გასამართლება. სორიმმა უღალატა საბჭოთა ხელისუფლებას, გადავიდა დენიკინელების მხარეზე და გასცა ყირიმის მთებში მიმალულ პარტიზანების კონტრადაზვერვა.

სორიმი შემთხვევით იქნა გამოცნობილი და დაპატიმრებული ყირიმში, სადაც ის ჩაცვდა [illegible] გამო. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ცეკას თებერვლის პლენ. დადგენილებათა გაშუქება

მოსკოვი, 10 მარტი. საკ. კ. პ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დაუგზავნა ადგილებს წერილი ცეკას თებერვლის პლენუმის დადგენილებათა დამუშავების შესახებ პარტიულ ორგანიზაციებსა და ფართო უპარტიო მასების მიერ.

წერილში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცალო და საბითუმო ფასების დაკლების საკითხს, რაც უნდა იქნეს გაშუქებული ხანგრძლივი და გაღრმავებული კამპანიის ჩატარებით, ფასების დაკლებისათვის წარმოებულ ფაქტიურ მუშაობასთან დაკავშირებით. საჭიროა აგრეთვე ცნობილი მოხდეს ცეკას პლენუმის დადგენილებათა პოპულიარიზაცია კაპიტალური ხარჯების გაწევის შესახებ მიმდინარე წლის განმავლობაში, როგორც ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის პრაქტიკულად გატარების დადასტურება. (ადს).

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღამოს ექვს საათზე აღმასკომის დარბაზში შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) საცალო ფასების დაკლების შესახებ და 2) საბინაო მშენებლობის შესახებ. პირველი საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ათაბეგოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საცალო ფასების დაკლების კამპანიამ გაიარა პირველი ეტაპი ცეკას ივნისის პლენუმის და შრ. და თავდაცვის საბჭოს დადგენილებების გამოქვეყნებიდან ა. წ. თებერვლამდე. ამ ეტაპის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში საგრძნობი მიღწევები ქონდა მხოლოდ ბაქოს კოოპერაციას, თბილისსა და დანარჩენ ადგილებში კამპანიას არ მოჰყოლია შესამჩნევი შედეგები.

მეორე ეტაპი დაიწყო ცეკას თებერვლის პლენუმიდან. პლენუმის დადგენილებით 1 იანვრისათვის ჩვენ უნდა მივაღწიოთ ფასების 10 პროც. დაკლებას სამრეწველო საქონლებზე. ამ კამპანიის ჩასატარებლად გამომუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვითაც ფასების დაკლება უნდა მოხდეს პირველ რიგში საქონლის ერთ ჯგუფზე (მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, ტყავი, რკინეული). ეს ჯგუფი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების საქონლის 60 პროცენტს შეადგენს. სამრეწველო ორგანოები თავის თავზე ღებულობენ ფასის დაკლების 50 პროცენტს (ე. ი. 1 იანვრისათვის საბითუმო ფასები დაიწევს 5 პროცენტით) დანარჩენი 50 პროც. უნდა იკისრონ საქონლის გამტარებელმა ორგანიზაციებმა.

10 მარტისათვის თბილისის ყველა კოოპერატივებში საცალო ფასების დაკლება საქონლის განსაზღვრულ ჯგუფებზე საშუალოდ უდრის 6 პროც. ზედნართი შემცირებულია 5,5 პროცენტით. ამ დაკლებამ გავლენა იქონია საბიუჯეტო ნაკრებზე, რომელიც კოოპერაციაში შემცირდა 3,4 პროცენტით, რაც შეეხება კერძო ვაჭრობას იქ საბიუჯეტო ნაკრები გადიდდა 1,6 პროცენტით.

ადგილობრივი სამრეწველო ორგანოები შეუდგენ ფასების დაკლებას თავის ნაწარმოებზე. მაგ. მაგალითად თამბაქოს ტრესტმა 8 მარტიდან პაპიროსების ფასი შეამცირა 5—7 პროცენტით, ტყავტრესტმა თავის ნაწარმოებზე—3 პროცენტით და სხ.

ფასების დაკლებისათვის კოოპერაციამ აუცილებლად უნდა შეამციროს ზედნადები ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში ფასების დაკლების გატარება მძიმე ტვირთად დააწვა მას. საჭიროა აგრეთვე მოგების საზღვრითი ნორმის დაწესება ყველა კოოპ. ორგანიზაციებისათვის.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირების, კოოპერატიული აქტივის და საერთოდ ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარებას და მონაწილეობას კამპანიაში—სთქვა დასასრულ ამხ. ათაბეგოვმა.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ბუკრეევმა, იოსელევიჩმა, ამირაღოვმა, გაზენმანმა, რადუშევმა, ერისთავმა, გოდაბრელიძემ, პრეობრაჟენსკიმ და აკიმოვმა.

ამხ. ათაბეგოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია მოხსენების გამო.

დღის წესრიგში დასმულ მეორე საკითხის განხილვა გადაეცა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმს.

ქ. ხურმუშელი.

საცალო ფასების დაკლებისათვის

რეზოლიუცია მიღებული თბილისის კომიტეტის პლენუმის მიერ

10 მარტს

საცალო ფასების შემცირება სამრეწველო საქონელზე წარმოადგენს ერთ უმთავრეს ამოცანას, რომელიც პარტიის წინაშე სდგას სამეურნეო აღმშენებლობის ეხლანდელ პერიოდში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმმა აღნიშნა, რომ „ფასების პრობლემაში თავს იყრის საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ძირითადი ეკონომიური, და მაშასადამე პოლიტიკური პრობლემებიც".

„პარტიისა და სახელმწიფოს ძირითადი კურსი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, კურსი სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის კვლავ ხელისშეწყობაზე, მისი სოციალისტური გზით გავნითარებაზე, სოციალისტური აღმშენებლობის აუცილებლობაზე", წინსვლა გლეხობის ძირითად მასასთან ერთად",—ყოველივე ეს ეხლანდელ სამეურნეო პერიოდში მთლიანად ებჯინება სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირების პრობლემას". (ცეკას პლენუმის რეზოლიუციიდან). მაგრამ ცეკას პლენუმმა აღნიშნა, რომ ეს „პარტიის მიერ წარსულ წელში დასახული ერთი ძირითადი ამოცანათაგანი შეუსრულებელი დარჩა". და „მოითხოვს მეტად აქტიურ მონაწილეობას ამის განხორციელებაში ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მხრივ".

თბილისის კომიტეტის მესამე პლენუმი, მოისმინა რა მან მოხსენება საცალო ფასების შემცირების შესახებ ქალაქ თბილისში, აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების (წარსული წლის 2 ივლისის თარიღით) შესრულება მეტად სუსტად ჩატარდა (შემცირება ათი პროცენტის მაგიერ ჩატარდა ორი პროცენტით), და მხოლოდ თებერვლიდან კოოპერაცია და სახვაჭრობა შეუდგენ ფასების შემცირებას. ფასების შემცირების მიღწეული დონე ქალაქ თბილისში 1-ლ მარტისათვის აღწევს 4 პროცენტამდე. უმთავრესად კოოპერაციაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი ქალაქ თბილისის ყველა საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციების და მშრომელთა მასსების ყურადღებას მიაქცევს საცალო ფასების შემცირების პრობლემაზე და აუცილებლად სცნობს შემდეგ კონკრეტიულ ღონისძიებათა გატარებას.

1) დაევალოს ყველა საფეხურის კოოპერატიულ და სახელმწიფო საქონლის გამტარებელ ორგანიზაციებს სავსებით შეასრულონ ა. წ. 1 ივნისისათვის ცეკას თებერვლის პლენუმის დირექტივა ფასების შემცირების შესახებ არა ნაკლებ ათი პროცენტით ა. წ. პირველი იანვრის ფასების დონესთან შედარებით.

2) წინადადება მიეცეს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომ 1927 წლის 1-ლ ივლისისათვის შეამცირონ სავაჭრო აპარატის ადმინისტრატიული-სამეურნეო ხარჯები არა ნაკლებ 15 პროცენტის რაოდენობით 1925-26 წელთან შედარებით და გაავრცელონ ეს შემცირება კოოპერაციის სამმართველო ორგანოებზედაც.

3) დაევალოს შინა-ვაჭრობის კომისარიატს, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობისათვის დააწესოს მოგების საზღვრითი პროცენტი და ეს პროცენტი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კოოპერაციისა და სახვაჭრობის შუამავალი და უმაღლეს საფეხურებისათვის.

4) წინადადება მიეცეს მუშკოოპის ფრაქციას, აგრეთვე თბილისის სავაჭრო კოოპერატიულ ძირითად ორგანიზაციას და მომხმარებელთა საზოგადოების და წითელი არმიის კოოპერაციის „მებრძოლის" გამგეობათა ფრაქციებს სასწრაფოდ გადასინჯონ ხარჯების, ზედნადების და მოგებათა ნორმა მათი შემდგომი შემცირების მიზნით.

5) დაევალოს შინა-ვაჭრობის კომისარიატს სპეციალურად გადასინჯონ ადგილობრივი ტრესტების და სამრეწველო გაერთიანებების სავაჭრო ხარჯები და ზედნადები და ჩაატაროს მათი შემცირება.

6) დაევალოს შინა-ვაჭრობის კომისარიატს და ცეკავშირის გამგეობის ფრაქციას შეიმუშაონ და ზემოხსენებული დირექტივების მიხედვით ჩაატარონ სათანადო ღონისძიებანი საცალო ფასების შემცირებისათვის სასოფლო კოოპერატიულ და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებში თბილისის მაზრაში.

რეგულიარულად გატარდეს კონტროლი დაბალი საფეხურის საქონლის გამტარებელი ქსელის მიერ ფასების შემცირების შესახებ დირექტივის გატარებაზე სოფლად. ამ მიზნით გამოყოფილ იქნას რამოდენიმე სავაჭრო პუნქტი თბილისის მაზრაში.

7) სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის მიერ ფასების შემცირებისათვის მიღებულ ღონისძიებებთან ერთად დაევალოს შინა-ვაჭრობის კომისარიატს იხელმძღვანელოს ცეკას ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მოახდინოს კერძო ვაჭრებთან იმ ხელშეკრულებების დადების ცდა რომელნიც გაითვალისწინებენ ფასებისა, ზედნართებს და კონვენციის პრაქტიკას გამოიყენებენ მთელ რიგ საქონელზე.

8) აღნიშნავს რა დაწესებულ ფასების დარღვევას ცალკე სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ და, აგრეთვე, სუსტ გატარებას დირექტივისა ფასების დაკლების შესახებ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებს დაევალოთ ცნობების მიწოდება შინავაჭრობის სახალხო კომისარიატისა და თბილისის კომიტეტისათვის დაწესებულ ფასებისა და ზედნადები ფასების დარღვევის შესახებ, ხოლო უკანასკნელთ—ეკონომიური ზეგავლენის სასტიკი ზომების (კრედიტი, საქონლის გაცემა) მიღება და დამნაშავეთა მიცემა დისციპლინარულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

9. წინადადება მიეცეს თბილისის აღმასკომის ფრაქციას უშუალო მონაწილეობის მიზნით ვაჭრობის მოწესრიგებაში და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ღონისძიებათა გასატარებლად ქ. თბილისსა და მის მაზრაში. აღმასკომთან მოაწყოს შინავაჭრობის კომისია.

10. აპრილში ჩატარებულ იქნას ფასების დაკლების შესახებ დირექტივების გატარებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ დაწესებულ ფასების დაცვის მასიური შემოწმება.

11. აღიარებულ იქნას, რომ ფასების დაკლების მნიშვნელობა მოითხოვს ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების უდიდეს აქტიურ მონაწილეობას, მუშებისა და გლეხების მასების ფართო ჩაბმით.

12. მთელ მუშაობას მასების ჩაბმაზე მიეცეს კონკრეტული ხასიათი; ხოლო მაქსიმალური მიღწევების მისაღებათ ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის საჭიროა ამ მუშაობის წარმოება, კოოპერატიულ აქტივის ფარგლებს გარდა წარმოებებსა და დაწესებულებებშიც.

13. კოოპერატიული საზოგადოებრივობის ხაზით, საჭიროა ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის გამოცოცხლებულ იქნას სადუქნო კომისიების, რწმუნებულთა, რაიბიურის რწმუნებულთა, რწმუნებულთა კრებების სავაჭრო და საკონტროლო-სარევიზიო სექციების და სხვ. მუშაობის გამოცოცხლება.

14. წარმოებებსა და დაწესებულებებში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან მოეწყოს კოოპერატიული სექციები, ხოლო იქ, სადაც ისინი არსებობენ, გამოცოცხლდეს მათი მუშაობა. კომისიის ამოცანად დასახულ იქნას მუშა-მოსამსახურეთა აქტივის დარაზმვა კოოპერაციის გარშემო, მუშაობის ჩატარება მასების კოოპერატიულ დარაზმვაზე, მუშათა [illegible] გამორკვევა კოოპერაციის მუშაობისა და ფასების დაკლების დარგში, კოოპერაციის ღონისძიებათა პოპულიარიზაცია მასაში და სხ.

15. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშკოოპისა და სხვა კოოპერატიულ, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ანგარიშების ჩაბარებას მუშა-მოსამსახურეთა წინაშე წარმოებებსა და დაწესებულებებში.

16. სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოების უჯრედებს და ადგილკომებს მართებთ აღნიშნულ ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებების რეგულიარული მოსმენა, ფასების დაკლების, ზედნადებ ხარჯების შემცირების და სხ. საკითხებზე.

17. საბჭოთა-პარტიულ პრესაში საჭიროა უფრო ვრცლად იქნას დაყენებული ინფორმაცია მუშაობის შესახებ ფასების დაკლებაზე, როგორც მიღწევების, ისე უარყოფითი მომენტების, დირექტივების დამახინჯების, მათი დამრღვევის და სხ. გაშუქებით.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას და გაზეთების რედაქციებს დაევალოთ ზომების მიღება მუშგლეხკორთა უფრო მეტი ჩაბმისათვის ბრძოლაში ფასების დასაკლებად.

ლენინის რაიკომის პლენუმი

ლენრაიკომის გაფართოებულ პლენუმზე, უჯრედთა ბიუროს წევრებთან ერთად, მოსმენილ იქნა ამხ. კეკელიას მოხსენება ლენრაიონის ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ.

ვიდრე თვით მოხსენებას შეუდგებოდა, ამხ. კეკელიამ აღნიშნა, რომ დღევანდელი პლენუმის ამოცანას წარმოადგენს შემოწმება იმის, თუ რამდენად სწორად არის განხორციელებული წარსულ რაიპარტკონფერენციის გადაწყვეტილება ამ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ რაიკომს აღებული ჰქონდა კურსი დაზგის მუშათა პროცენტის გადიდებაზე, წარსული წლის ოქტომბრის თვეში, ჯერ კიდევ პარტაღწერის ჩატარებამდე, მუშათა პროცენტმა მაინც დაიკლო 1,7 პროცენტით, ე. ი. 78 პროცენტიდან დავიდა 76,3 პროცენტამდე. მუშათა პროცენტის დაცემა აიხსნება, ერთის მხრივ, რაიკომში შარშან მიღებულ და მხოლოდ ოქტომბერ-ნოემბერში დამტკიცებულ 34 მოსამსახურის და 6 გლეხის მომატებით, რამაც, უდავოა, იმოქმედა მუშების პროცენტზე. მეორე მხრივ, მუშათა პროცენტის დაკლებაზე თავისი გავლენა მოახდინა ორგანიზაციათა შორის გადაჯგუფებამ. წარსული წლის ოქტომბერ-ნოემბერ—დეკემბერში სხვა ორგანიზაციიდან გადმოვიდა 114 მუშა, ხოლო გადავიდა 212. ყველა ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ ორგანიზაცია შემცირდა 91 მუშით, ხოლო გადიდდა 7 გლეხით და 54 მოსამსახურით.

ყველა ამ გარემოებებს არ შეიძლებოდა, რომ გავლენა არ მოეხდინათ რაიკომის საერთო ხელმძღვანელობაზე ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების დროს, მიუხედავად იმისა, რომ რაიკომს აღებული ჰქონდა მტკიცე კურსი მუშების პროცენტის გადიდებაზე. ქვემო მოყვანილი ციფრები გვიმოწმებენ ამ გარემოებას:

რაიკომის მიერ კანდიდატად მიღებულ 46 კანდიდატიდან—36 მუშაა. გარდა ამისა მუშათა პროცენტმა 1,1-ით დაიკლო, აგრეთვე პარტაღწერის ჩატარების შემდეგ. მუშების ერთი ნაწილი ორგანიზაციის შემადგენლობის სოციალურ მდგომარეობის შემმოწმებელმა კომისიამ გადარიცხა მოსამსახურეთა რიცხვში. ამჟამად მუშების პროცენტი ჩვენს ორგანიზაციაში უდრის 75,2, ხოლო კონფერენციამდე ის უდრიდა 78 პროცენტს. ამნაირად ამ პერიოდში მუშების პროცენტმა დაიკლო 2,8-ით.

შემდეგ ამხ. კეკელიამ გააცნო პლენუმს მუშა მოსამსახურეთა პარტიულ დარაზმულობის ცალკე წარმოება დაწესებულებათა მიხედვით, და აღნიშნა, თუ რომელი უჯრედი როგორი ტემპით უნდა იზრდებოდეს. მაგალითად: ა. კ. რკ. გზ. მთ. სახელოსნ. კოლექტივმა პარტგავლენა 41 პროცენტიდან უნდა აიყვანოს 50 პროცენტამდე და აიღოს კურსი უფრო აქტიურ, უფრო გამოცდილ და პარტიასთან უფრო ახლო მდგომ მუშების ჩაბმაზე პარტიაში. დეპოს მხრივაც ასევე საჭიროა პარტიაში მიღების გაძლიერება. ვის ხარჯზე უნდა ვიზრდებოდეთ? საშუალო კვალიფიკაციის მუშების და არა შავ მუშების ხარჯზე, როგორც ამას ზოგიერთ უჯრედებში ჰქონდა ადგილი.

მოხსენების დასასრულ ამხ. კეკელიამ აღნიშნა, რომ ჩვენი ორგანიზაციის ნორმალური ზრდა და აგრეთვე ზრდის გაძლიერება მუშების ხარჯზე დაკავშირებულია მასიური მუშაობის გაძლიერებასთან ადგილებზე.

კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ ამხანაგებმა, პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ის წინადადებას აძლევს რაიკომის პრეზიდიუმს, რათა მან გადაჭრით აიღოს კურსი დაზგის მუშების პროცენტის გადიდებაზე.

ტ. პოპოვი.

მესამე რაიკომის გაფართოებული პლენუმი

9 მარტს შესდგა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის მესამე პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1) საბჭოების არჩევნების შედეგები რაიონში და

2) საპნის და ზეთის სახდელი ტრესტის დირექტორის საანგარიშო მოხსენება.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ტერ-ვართაკოვმა. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის პლენუმი, მოისმინა რა, მან მოხსენება საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ მესამე რაიონში, აღნიშნავს:

1) უჯრედებს და ქვედა საფეხურის პროფესიონალურ ორგანიზაციებს (ადგილკომები, ქარხკომები) საკმაოდ ვადა ქონდათ მიცემული მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად და ამრჩეველთა ფართო მასების ჩასაბმელად საარჩევნო კამპანიაში, რის გამო მიმდინარე წელს არჩევნები უფრო ორგანიზაციულად ჩატარდა.

2. საარჩევნო კამპანიამ გამოაშკარავა ამომრჩეველთა მასის, განსაკუთრებით მისი მუშური ნაწილის, აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. ამომრჩეველთა ორგანიზაციულად შეკავშირებული ნაწილის პროცენტი 81,7, საწარმოო მუშების მონაწილეობა 93.1 პროც.).

3. წარსულ წელთან შედარებით მნიშვნელოვანად გაიზარდა ამომრჩეველთა ორგანიზაციულად დაურაზმავი ნაწილის მონაწილეობა (მუშების და მოსამსახურეების ცოლები) მონაწილეობის პროცენტი აღწევს 61,2 პრ.

4. ადგილებზე პარტუჯრედებმა სწორი ხელმძღვანელობა გაუწიეს არჩევნებს (კანდიდატების წამოყენება, კანდიდატების შეთანხმება უპარტიო აქტივთან, კანდიდატების წამოყენება კომფრაქციის სახელით), რის შედეგად არჩევნების პარტიული ხელმძღვანელობა გაძლიერდა.

5. კომკავშირის ორგანიზაციამ საარჩევნო კამპანიაში ფართო მონაწილეობა მიიღო. არ ქონია ადგილი არა ორგანიზაციულ გამოსვლებს, რასაც ვხედავდით წინანდელ არჩევნების დროს.

6. საარჩევნო კამპანიის პროცესში არავითარ ანტისაბჭოთა გამოსვლებს არ ქონია ადგილი.

7. არჩევნების შედეგად მესამე რაიონში მივაღწიეთ მუშების პროცენტის გადიდება დეპუტატთა შემადგენლობაში, (75,2 პროც.) დეპუტატ ქალების საკმაო რიცხვი (19,6 პრ.), უპარტიო დეპუტატები 25,5 პრ., კომკავშირელები—13,5 პროც.

8. უკეთებს რა ჯამს საბჭოების არჩევნებს მესამე რაიონში, პლენუმი მუშათა მასების აქტივობის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად აღნიშნავს, პარტიულ ორგანიზაციის ავტორიტეტის და გავლენის ზრდას.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საანგარიშო მოხსენება საპნის და ზეთის სახდელი ტრესტის მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოყოფილ იქნა კომისია, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მასალები რაიკომის პრეზიდიუმში, დასამტკიცებლად.

ულ.

პარტიული ქრონიკა

— **ქუთაისის სამაზრკომში.** ქუთაისის სამაზრკომის აგიტკოლეგიის ერთ-ერთს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი თვითგანვითარების საქმის გაუმჯობესების შესახებ. უკანასკნელის მიზნით კოლეგიამ გამოჰყო ამხ. მინდაძის თავმჯდომარეობით სამაზრო კომისია, რომელსაც ევალება სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა თვითგანვითარების დარგში. მუდმივ მომუშავეთ ამ კომისიაში კოლეგიამ მიზანშეწონილათ სცნო ამხ. გიორგაძის მიმაგრება. უკანასკნელს დაეკისრა აგრეთვე კონსულტანტ-ინსტრუქტორის მოვალეობა. ამავე სხდომამ აუცილებლ საჭიროთ დაინახა აგიტპროპკაბინეტის მოწყობა განათლების მუშაკთა სახლის ბინაში კაბინეტის მოწყობისათვის საჭირო წყაროების გამოსანახავათ არჩეულ იქნა კომისია სამი ამხანაგისაგან.

შემდეგ კოლეგიამ განიხილა საკითხი ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის 8 მარტის კამპანიის ჩატარების შესახებ და დაავალა ამ მიზნისათვის გამოყოფილ განსაკუთრებულ კომისიას გამოიმუშაოს ცეკადან მიღებულ დირექტივების მიხედვით დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

როგორ დაიწყო რევოლიუცია

(როგორ დაამხეს თვითმპყრობელობა)

1917 წლის დასაწყისისათვის თვითმპყრობელური წყობილების გახრწნამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. სახალხო ქონების ქურდობა, განიავება, მექრთამეობა, ბოროტმოქმედებანი ეპიდემიათ გადაიქცა. სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. თუმცა სახელმწიფოში პურის მარაგი ერთ მილიარდ ფუთამდე აღწევდა, მაგრამ ქალაქებში ყველგან გრძელი რიგები იყო გამწკრივებული ფურნეებთან. მემამულეებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ პურზე ფასების გადიდებით, ხორბალი გადამალული ჰქონდათ. მთავრობა კი, რომელიც მემამულეებისაგან შესდგებოდა, მოსახლეობის უდიდესი გაჭირვების მომენტშიც არ იღებდა არავითარ ზომებს პურის გადამმალველთა წინააღმდეგ.

სურსათის ის მცირე მარაგიც, რომელიც ბაზარზე მოიძებნებოდა, საქმის მოუგვარებლობის წყალობით, მიდიოდა არა პირდაპირ მომხმარებელთან, არამედ ათასგვარ შუამავლებისა და სპეკულიანტების გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა. სასურსათო საქმეს, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად გადაიქცა უკვე ომის მეორე წლიდან, ერთბაშად განაგებდა რამდენიმე უწყება — მიწადმოქმედების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, გზათა მიმოსვლის სამინისტრო, განსაკუთრებული თათბირი სასურსათო საკითხებზე, მინისტრთა საბჭო და ათასგვარი სხვა კომისიები. ასეთი „ორგანიზაციის" წყალობით ისედაც თავისთავად არეულ სასურსათო საკითხში სრული ანარქია იყო გამეფებული,—სურსათის მარაგი ბაზარზე ილეოდა, მოსახლეობა იშიმშოდა.

ბურჟუაზია, რომელიც არ იყო დაინტერესებული მემამულეებისათვის მხარის დაჭერაში სასურსათო საკითხში, ცდილობდა მოეწესრიგებია ეს საკითხი, მაგრამ მთავრობა გაურბოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმას სასურსათო საკითხის მოგვარებაში.

შიმშილობის საფრთხემ დააფიქრა არა მარტო სამრეწველო ქალაქების პროლეტარიატი, არამედ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაც. ამ ფენებმა უკვე სულ სხვანაირი თვალით დაუწყეს ცქერა ომს, რომელიც მათი გაჭირვების, დამშევის და მდგომარეობის გაუარესების მთავარ მიზეზად გადაიქცა.

* *

მოძრაობა ომისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უმთავრესად ფეხმოკიდებული იყო. პეტერბურგში, სადაც სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი 1916 წლის დამლევისათვის 400.000 აღწევდა.

მოსკოვში უფრო ძლიერი იყო ბურჟუაზიულ სამრეწველო წრეების გავლენა. ამიტომ თებერვლის დღეების მთელი ბრძოლის სიმძიმე თავის ზურგზე გადაიტანა პიტერის პროლეტარიატმა.

1917 წ. დასაწყისში მოვლენათა განვითარებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ყველასათვის ცხადი შეიქნა რევოლიუციის მოახლოვება.

ამ რევოლიუციისათვის ემზადებოდა ყველა პარტიები. ბოლშევიკური პარტია ფიქრობდა, რომ მომავალი რევოლიუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება პროლეტარიატი და ნაცრისფერ ფარაჯაში გახვეული გლეხობა. მენშევიკები და ესერები კი, პირიქით, რევოლიუციის მთავარ მამოძრავებელ ძალათ თვლიდენ ბურჟუაზიას და ამისდა მიხედვით აწარმოებდენ სახელმწიფო სათათბიროს გარშემო „საზოგადოებრივი აზრის დარაზმვის" პოლიტიკას.

ვინაიდან მომავალი რევოლიუციის გამარჯვება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერდა სამხედრო ნაწილები, ბოლშევიკური პარტია ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შორის აწარმოებდა რევოლიუციონურ მუშაობას.

რ. ს.-დ. მ. (ბოლშევიკური) პარტიის პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტებმა გადასწყვიტეს თავისი ძალების შესამოწმებლად გამოეყენებიათ 9 იანვარი. ამ დღეს ჩვეულებრივ იმართებოდა მუშათა დემონსტრაციები და გაფიცვები.

9 იანვრის გაფიცვები არაჩვეულებრივი წარმატებით ჩატარდა. პეტროგრადში გაფიცულთა რიცხვი 300.000-მდე აღწევდა, მოსკოვში გაიფიცა მუშების ერთი მესამედი.

პეტერბურგში გაიმართა მუშების გრანდიოზული დემონსტრაციები. თუმცა ქალაქში თავმოყრილი იყო პოლიციელთა მრავალრიცხოვანი რაზმები, მაგრამ უკანასკნელნი მუშებთან შეტაკებას ერიდებოდენ.

მოსკოვში პოლიცია შედარებით გაბედულათ მოქმედებდა: შეკრებილ დემონსტრანტებს ხმლებით დაერია და გაჰფანტა.

9 იანვრის დემონსტრაციებმა წაახალისა და გაათამამა არა მარტო მოსკოვ-პეტერბურგის პროლეტარიატი, არამედ სხვა სამრეწველო ქალაქების მუშებიც.

* *

26 იანვარს (8 თებერვალს) შინაგან საქმეთა მინისტრის პროტოპოპოვის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა ცენტრალური სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფის ნაწილი: ჯგუფის თავმჯდომარე გვოზდევი, წევრები—ბროიდო, გუდკოვი, ემელიანოვი, კაჩალოვი, კუზმინი, იაკოვლევი, შილინი და ბოგდანოვი. ჯგუფის დაპატიმრებას მოჰყვა მოწოდებაც, რომელიც მიმართული იყო მუშებისადმი, სადაც მენშევიკებმა მასების ზეგავლენით მოკრძალებით წამოაყენეს ომის ლიკვიდაციის საკითხი.

ჯგუფის დაპატიმრებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებში. ცენტრ. ს.-სამრეწველო კომიტეტის 29 იანვრის (11 თებერვლის) სხდომაზე სახ. სათათბიროს პროგრესიულ ფრაქციებთან ერთად, მიღებულ იქნა დაპატიმრებული ჯგუფისადმი თანაგრძნობის რეზოლიუცია.

მთავრობის მიერ „მუშათა ჯგუფის" დაპატიმრების შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაზე, რომელიც შეიცავდა ბრალდებებს ჯგუფის წევრების მიმართ, ცენტრალურმა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა უპასუხა „განმარტებით", რომელშიაც უარყოფდა მთავრობის ბრალდებებს ჯგუფის მიმართ და აცხადებდა, რომ დაპატიმრებულებს არ-ფერი საერთო არა აქვთ „პორაჟენცებთან" (ე. ი. ბოლშევიკებთან), რომ ისინი ერთგულად ემსახურებოდენ ქვეყნის თავდაცვის საქმეს და სხვ. ბურჟუაზიამ მთელი თავისი ენერგიით დაიცვა თავისი მოკავშირეები—„ობორონცები" (სხვადასხვა ჯურის მენშევიკები და ესერები).

* *

14 (27) თებერვლისათვის განზრახული იყო სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა. ბურჟუაზიულმა და „ობორონცულმა" წრეებმა მიიღეს ზომები საზოგადოებრივი აზრის დასარაზმავად სათათბიროს გარშემო. მათი ლოზუნგი იყო, ყველა თავრიდის სასახლისაკენ!

წინააღმდეგ ამისა, ბოლშევიკურმა პარტიამ წამოაყენა ნევის პროსპექტზე წითელი დროშებით გამოსვლის ლოზუნგი.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალმა ხაბალოვმა მიმართა მუშებს მოწოდებით არ მიეღოთ მონაწილეობა დემონსტრაციებში, მოწოდება თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„ვინც ყრუ დარჩება ჩემი მიმართვისადმი, მე მოვაგონებ, რომ პეტროგრადი სამხედრო მდგომარეობაზეა გამოცხადებული და რომ ძალადობისა და ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ სამხედრო ძალა იქნება გამოყენებული".

თებერვლის პირველი ნახევრის განმავლობაში ბოლშევიკური პარტიის ც. კ. ბიუროსა და პეტერბურგის კომიტეტმა წინადადება მისცა „ობორონცებს" (კ. ჩხეიძესა და ა. კერენსკის სახით) „შეთანხმების მიღწევის შესახებ დემოკრატიის რიგებში" (როგორც მაშინ ამბობდენ). „ობორონცები" აცხადებდენ, რომ „საერთოდ ისინიც იზიარებდენ წინადადებას ძალების გაერთიანების შესახებ, მაგრამ"... და ისევ სათათბიროსათვის მხარის დაჭერისაკენ მოუწოდებდენ მუშებს.

15 (28) თებერვალს პეტერბურგში გაფიცული იყო 25.000 მუშა. გაიმართა დემონსტრაციები წითელ დროშებით და ლოზუნგებით: ძირს ომი. მოგვეცით პური! ბოლშევიკურმა პარტიამ ეს დღეები (14—15 თებერვალი) გამოიყენა იმისათვის, რომ ბრძოლა თვითმპყრობელობასთან ქუჩებში გამოეტანა.

რევოლიუციონური განწყობილება მოსკოვისა და პიტერის მუშებს შორის სასტიკ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა იმ განწყობილებასთან, რომელიც სუფევდა სახელმწიფო სათათბიროში, რომლის მხარის დაჭერისაკენ მოუწოდებდენ მუშებს „ობორონცები". ბურჟუაზიული პარტიები ილაშქრებდენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის აწარმოებდა იმპერიალისტურ ომს, არამედ იმიტომ, რომ მან ხეირიანად ვერ მოაწყო „ომი გამარჯვებამდე". გაილაშქრეს მეფის მთავრობის წინააღმდეგ „ობორონცებმაც" (ერთ-ერთი ლიდერის — ა. კერენსკის სახით), მაგრამ მათი გამოსვლა ცხადყოფდა, რომ მათი რევოლიუციონური ფრაზეოლოგია მუშათა მასების ზეგავლენით აიხსნება და, რომ ეს არა, ისინი წავიდოდენ შეთანხმებაზე თუ თვითმპყრობელობასთან არა, იმ კონსტიტუციონური მთავრობის მიმართ მაინც, რომლის შექმნას მოითხოვდა სახელმწიფო სათათბიროს „პროგრესიული ბლოკი" და რომელსაც უფრო გეგმიანი სახით უნდა ეწარმოებია „ომი ბოლომდე".

სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის განახლებასთან ერთად შესამჩნევი გახდა ბურჟუაზიული აზრის ამხედრება თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ბურჟუაზია ბრალს სდებდა იმაში, რომ მან ვერ მოახერხა ქვეყნის ორგანიზაცია ომის ამოცანებთან შეფარდებით.

ამავე დროს ხდებოდა პროლეტარული ძალების გადამწყვეტი მობილიზაცია თვითმპყრობელობისათვის სასიკვდილო ლახვარის ჩასაცემად.

(დასასრული იქნება).

ნ. ვ—ძე.

შიშველი მეფე და მარკ ტვენი

9 იანვარმა მორალურად დალუპა ცარიზმი არა მარტო რუსეთში.

მარკ ტვენმა ამის შემდეგ დაბეჭდა უაღრესად მოსწრებული მონოლოგი, რომლითაც ის ალაპარაკებს ნიკოლოზ მეორეს.

მარკ ტვენი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რევოლიუციონერი და თვით ბურჟუაზიულ საზოგადოების სათაყვანებელ პიროვნებას წარმოადგენდა, ამ თავის სატირაში დაბეჯითებით ამტკიცებს მეფის მკვლელობის მორალურ გამართლებას და თავისი მხატვრული გამჭრიახობით წინასწარმეტყველობს ნიკოლოზის და რომანოვების გვარეულობის მომავალ ბედს.

თავის მოთხრობას ამერიკელმა იუმორისტმა საფუძვლად დაუდო კარლ ეილის ცნობილი წიგნის „სარტორ რესარტუს" იდეა. ამ წიგნში კარლეილი, როგორც ცნობილია, მეტად ორიგინალურ იუმორისტულ ფორმაში, პროფესორ ტეიფელსდრეკის პირით გადმოგვცემს „ტანისამოსის ფილოსოფიას".

ამ ფილოსოფიიდან გამოდიოდა მარკ ტვენი, რომელმაც ეპიგრაფისათვის გამოიყენა ლონდონის გაზეთის „ტაიმსის" შენიშვნა:

„დილას ბანაობის შემდეგ მეფეს ჩვეულებად აქვს, სანამ ტანზე ჩაცმას შეუდგებოდეს, ერთი საათით ფიქრებს მიეცეს"

(მეფე სარკეში უცქერის თავის თავს):

„რას წარმოვადგენ მე შიშველი? გამხდარი, ულაზათო, გრძელი, ფარშავანგისებური ფეხებით, მე ვარ პასკვილი ადამიანის. თავი თითქოს სანთლიდან გაკეთებული, გაყვითლებული, სახე, რომელსაც იმდენივე მგრძნობიარობა აქვს, რამდენიც თითოეულ გოგრას, აშვერილი ყურები, დაკუთხული იდაყვები, ბრტყელი გული. შემზარი გვერდები... მართალი უნდა ითქვას, ყველაფერ ამაში არაფერი საიმპერატორო, არაფერი სათაყვანებელი, არაფერი ისეთი, რაც არ არის, რომ ეს იწვევდეს შიშსა და მოკრძალებას. და აი ბუნების ასეთ რაღაც არსების წინაშე მუხლს იდრეკს რუსეთის 140 მილიონიანი ხალხი? წარმოუდგენელია!

„ვინ უნდა სცეს თაყვანი ისეთ უმწეო ქმნილებას, როგორიც მე ვარ, ვის და ან რის წინაშე იხრიან ქედს ისინი? საიდუმლოთ რომ ვსთქვათ. ჩემზე უკეთ არავინ იცის რაშია ეს საქმე: ისინი თაყვანს სცემენ ჩემს ტანისამოსს

„უტანისამოსოდ მე იმდენად მოკლებული ვარ ავტორიტეტს, რამდენადაც ყველა შიშველი კაცი, მე ვერავინ გამოარჩევს რომელიმე ღვდლისა ან დალაქისაგან; მაგრამ მაშინ ვინღა არის მთელი რუსეთის ფაქტიური იმპერატორი? ჩემი მუნდირი და შარვალი. სხვა არაფერი.

ტეიფელსდრეკმა სთქვა: „რა იქნებოდა ადამიანი—აიღეთ, რომელიც გნებავთ—რომ მას ტანისამოსი არ ჰქონებოდა?" საკმარისია დაუფიქრდე ამ საკითხს და ჩემთვის ნათელი ხდება, რომ უტანისამოსოდ ადამიანი არარა იქნებოდა. კოსტიუმი არა თუ წარმოადგენს ადამიანის დამატებას, არამედ კოსტიუმია მთელი ადამიანი; უკოსტიუმოთ ის ნულია.

„ჩინები და ტიტულები—სხვა ფაბრიკაციაა და ისინიც კოსტიუმის ნაწილს შეადგენენ. ტიტულები და მანუფაქტურული საქონელი ფარავენ მათი მტარებლის არარაობას. ის გვგონებათ დიდი და მიუწვდომელი მაშინ, როცა არსებითად მასში არავითარი შინაარსი არ არის. სწორედ ეს ტიტულები და მანუფაქტურა აიძულებს მთელს ერს მუხლი მოიყაროს და გულწრფელად გაალმერთოს მეფე, რომელიც თავის სამეფო მანტიის და ტიტულის გარეშე ემგზავსებოდა სულ უკანასკნელს თავის ქვეშევრდომს და სამუდამოთ დაიკარგებოდა ჩვეულებრივ ხალხთა მასაში, რომლის ფასი კაპეიკია. ტანზე გახდილ მეფეს შიშველ ხალხში შესაძლო ვერავინ ყურადღება ვერ მიაპყრო, მასაც მოხვდებოდა ხვედრი მუჟალუგუნების, როგორც ყველა უპატენტო მომაკვდავს და ალბად ისიც დაიწყებდა კაცობრიობის სამსახურს და ორ შაურად სხვისი საქვაბის თრევას. მაგრამ სწორედ ამ კაცს მისი სამეფო მანტიისა და სამეფო ტიტულისათვის მხოლოდ და მარტო ამისათვის ალმერთებენ მისი ქვეშევრდომები. მას შეუძლია, როგორც მოეპრიანება განუკითხავად გადაასახლოს ისინი, შეავიწროვოს წაუსისიანოს ერთმანეთს, როგორც ის წაუსისიანებდა ერთმანეთს ვირთხებს, რომ დაბადების შემთხვევას მიეჩინა მისთვის პროფესია, გაცილებით უფრო შესაფერისი მის ბუნებრივ ნიჭისათვის, ვინემ იმპერატორობა.

„რა დიდი, ყველაფრის დამპყრობი ძალა აქვს იმას, რაც ადამიანს აცვია და აგრეთვე მის ტიტულს. უკანასკნელნი უნერგავენ მაყურებელს მოკრძალებას შიშსა და ცახცახს და ყოველივე ეს წინააღმდეგ იმისა, რომ ჩვენი საიმპერატორო ხელისუფლების უზურპატორული წარმოშობა მან ძალიან კარგად იცის: მან ხომ—ძალიან კარგად იცის, რომ თვითეული მეფის ძალაუფლება არის უკანონო, უკანონოთ შექმნილი და უკანონოთ დათმობილი, ანუ დაკისრებული ხალხის მიერ, რომელსაც ეს ბატონობა არასოდეს არ ეკუთვნოდა, ვინაიდან მონარქებს, თუ ოდესმე ირჩევდენ მათ, ირჩევდა მხოლოდ არისტოკრატია. ხალხი კი—არასოდეს.

„არ არსებობს, ძალა-უფლება მუნდირის და [illegible] ფორმის გარეშე. ისინი განაგებენ კაცობრიობას. წაართვით ერთიც და მეორეც დამკვიდრებულ ხელისუფალთ და არც ერთი ქვეყნის მართვა აღარ იქნება შესაძლებელი. შიშველი ხელისუფლები ყოველგვარ ავტორიტეტს მოკლებულნი იქნებოდენ. მათ ჩასთვლიდენ (და ისინი ნამდვილადაც იქნებოდენ) ჩვეულებრივ ხალხად, ყოვლად უმნიშვნელო სუბიექტად. პოლიციელი სამოქალაქო ტანისამოსში ერთი ჩვეულებრივი კაცია, მეტი არაფერი, მაგრამ იგივე არსება მუნდირში მთელი ათეული კაცია. ტანისამოსი და ტიტული,—აი ყველაზე უფრო საგრძნობი და გავლენიანი ძალა-უფლება დედა-მიწაზე; ისინი უნერგავენ კაცობრიობას ნებაყოფლობით და გულწრფელ პატივისცემას მოსამართლესადმი, გენერლისადმი, მიტროპოლიტისადმი, ელჩისადმი, უჭკუო გრაფისადმი, ხეპრე ჰერცოგისადმი, სულთანისადმი, მეფისადმი, იმპერატორისადმი. ყოველგვარი ტიტული ძალას მოკლებულია სათანადო კოსტიუმის გარეშე, რომელიც შექმნილია მის გასამაგრებლად.

„თვით შიშველ ველურებს შორისაც შიშველი მეფეც ატარებს რაიმე ჩვარს ან მორთულობას, რომელსაც ის წმინდათა წმინდათ აცხადებს და სხვას არავის აძლევს იმისი ტარების უფლებას.

(დუმილის შემდეგ).

„საკვირველი, გამოუცნობი გამოგონება კაცობრიობა. რუსეთის დამყაყებული მრავალმილიონიანი ხალხი ჩვენს მეფის ოჯახს ანებებდა მათ ძარცვას, ფეხქვეშ გათელვას. ისინი სცოცხლობდენ და კვდებოდენ ერთად-ერთი მიზნით და მოვალეობით—სამსახური გაეწიათ ამ ოჯახისათვის და მისი კეთილდღეობისათვის. ეს ხალხი ცხენების ჯოგს წარმოადგენს. დიახ, უეჭველად ეს ერი არის იმ ცხენების გროვა, რომლებიც ტანისამოსს ატარებენ და მართლმადიდებლობას ემსახურებიან. ცხენი, თუნდაც რომ ათი კაცის ძალაც შესწევდეს მას, ნებას აძლევს ერთ კაცს სცემოს მას, მოკლას სიმშილით, მრავალმილიონიანი რუსეთის ხალხი ერთ მუჭა ჯარისკაცებს მათი დაბეჩავების ნებას აძლევს—ხოლო ჯარისკაცები ხომ მათი საყვარელი შვილები და ძმებია.

„არის კიდევ ერთი რამ, მართლაც სასაცილო, თუ ჩაუფიქრდებით მას: მთელი ხალხი გულდამშვიდებით სარგებლობს მეფისა და ცარიზმის მიმართ იმავე ზნეობრიობის გავრცელებულ წესებით, რომელიც მიღებულია განათლებულ ქვეყნებში. მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ თავისუფალ ქვეყანაში ბოროტმოქმედთა განდევნა სხვანაირად შეუძლებელია, თუ არა სასამართლოს საშუალებით, თუ არა კანონის მიხედვით, მათაც წარმოუდგენიათ, რომ ასეთივე წესი გამოდგება რუსეთისათვისაც. სადაც კანონი მფარველობას უწევს მხოლოდ ჩვენს გვარეულობას, კანონები ეს მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. განათლებულ ქვეყნებში კანონები ზღუდავენ ყველას თავისუფლებას და ყველასათვის თანაბრად, რაც სავსებით სამართლიანია. მაგრამ რუსეთში კი ის კანონებიც, რომელიც არსებობენ, ყოველთვის შეიცავენ ერთ გამონაკლისს: ესაა ჩვენი სამეფო გვარეულობა. ჩვენ ისე ვიქცეოდით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, როგორც მოგვესურვებოდა. ჩვენი ხელობა იყო ბოროტმოქმედება. ჩვენი ჩვეულებრივი საკვები სისხლი, ხალხის სისხლი. ჩვენ კისერზე გვაწევს მრავალმილიონიან ხალხის ცოდვა, მაგრამ კეთილსინდისიერი მორალისტი მაინც ლაპარაკობს, რომ ჩვენი ძმის მოკვლა—ბოროტმოქმედებაა.

„მე არ უნდა ვლაპარაკობდე ამას (ყოველ შემთხვევაში გასაგონად), მაგრამ საიდუმლოდ როგორ არ უნდა ვსთქვა, რომ ყოველივე ეს გულუბრყვილობაა და სასაცილოა. თვით [illegible] არის: საიმპერატორო გვარეულობა კანონზე მაღლა სდგას: არ არსებობს კანონი, რომელიც მას გაუთანასწორდებოდა, შებოჭავდა მას და დაიცავდა მისგან ხალხს. მაშასადამე ჩვენ კანონს გარეშე ვართ, ხოლო კანონ გარეშე მდგომ ხალხის მოკვლა ყველას შეუძლია დაუსჯელად.

„ყველა ტახტი აღმართულია ძალადობით, მეორეს მხრივ, მხოლოდ ძალადობით ხდებოდა ტირანიის დამხობა. ჩემმა წინაპრებმა ძალადობით განამტკიცეს ჩვენი ტახტი. მკვლელობებით, ღალატით, წამებით, გადასახლებით და ციხეებით მათ შეინარჩუნეს ეს ტახტი თავის ხელში ოთხი საუკუნის განმავლობაში. *) და ამავე საშუალებით მიპყრია ის მეც, თვითეულ გამოცდილი რომანოვი თანახმა იქნება შეატრიალოს ეს მოქმედება და სთქვას: მხოლოდ ძალადობით შეიძლება რისიმე მიღწევა. მორალისტს ესმის, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ჩვენს ტახტს ეხლა პირველად ემუქრება სერიოზული საფრთხე; მაგრამ მას არ ესმის, რომ საქმის ასეთი მდგომარეობის მიზეზია ოთხი ძალდატანებითი საქციელი: ფინეთის კონსტიტუციის მოკვლა ჩემივე ხელით, რევოლიუციონერების მიერ ბობრიკოვისა და პლევეს მოკვლა და უდანაშაულო მუშების გაჟლეტა ჩემს მიერ იმ დღეს. სამაგიეროდ ის სისხლი, რომელიც ჩემს ძარღვებში სჩქეფს, სისხლი გადმოცემული შთამომავლობით, ტრადიციით მგრძნობიარე მკვლელობისადმი, სისხლი, რომელმაც მრავალ საუკუნეების სკოლა გაიარა პროფესიონალურ ჯალათების, ჩემი წინაპრების ძარღვებში,—ამ სისხლს ესმის, ის გრძნობს იმას, რაც მიუწვდომელია მორალისტისათვის. ამ ოთხმა მკვლელობამ გამოაღვიძა სიცოცხლე ხალხის გულის უძრავ და ბნელ სიღრმეში უფრო მეტად, ვინემ ეს შეეძლო რაიმე მორალურ [illegible]. ამ ოთხმა საქმემ გამოაღვიძა სიძულვილი და იმედები დიდი ხნით გაყინულ ხალხის გულში და ნელა, ჩუმად, მაგრამ აუცილებლად ეს გრძნობები შეიპარებიან თვითეულის გულში და დაიპყრობენ მას. დროთა განმავლობაში ისინი შეიპარებიან ჯარის კაცის გულშიაც... საშიში დღე... საბედისწერო დღე!.. დიახ, რაღაცა იქნება! რა ცოტა ესმის რეზონიორ მორალისტს მკვლელობათა მორალურ ძლიერებისა. დიახ, შედეგები მომავალში იქნება! რუსეთი დაჭიმულია, და მალე წარმოიშობა რაღაც ძლიერი პატრიოტიზმი. უბრალო უხეში და მრისხანე ენით რომ ვსთქვათ,—ნამდვილი პატრიოტიზმი; სიყვარული არა. მეფის საგვარეულოსადმი, არა ხალხის მიერ მოგონილ რამისადმი, არამედ სიყვარული თვით ხალხისადმი და მისდამი ერთგულება.

„...დიახ ეს სურათი, ეს არსება, რომელიც სარკეში მოსჩანს—ეს უმწეო არსება—წარმოადგენს უდიდეს ერის, უამრავ ხალხის მიერ აღიარებულ ღვთაებას და არავის არ ეცინება! და არავის არ უკვირს, არავინ არ ხედავს ამაში რაიმე უაზრობას. მართლაც, რა სისულელეა საერთოდ მთელი კაცობრიობა? იქნებ ის გამოიგონეს, როგორც მოეპრიანათ, მოცლილ დროს, უსაქმობის გამო. ანდა არის მასში რაიმე თუნდაც ბოტის ოდენა პატივისცემა თავისთავისადმი. მეც არ ვსცემ მას პატივს, არც მას და არც ჩემს თავს. არის მხოლოდ ერთად-ერთი ხსნა—ჩემი სამეფო ტანისამოსი: მუნდირი და მანტია, რომელიც აღადგენს პატივისცემას თავისთავისადმი, აღამაღლებს სულს! საუკეთესო საჩუქარი განგებისაგან და ერთად-ერთი მფარველი თავის თავის შეცნობისაგან. ტანისამოსი, რომელიც ატყუებს კაცს, უბრუნებს მას საკუთარი ღირსების შეგნებას. ღმერთო ჩემო, რა კეთილი და მოწყალეა, რა ძლიერი და დაუფასებელია ტანისამოსი! ჩემს თავზე რომ ვსთქვა, ის არარა კაცს მაქცევს ისეთ რამეთ, რომელიც ვარა. ის მიბრუნებს მე მთელი მსოფლიოს ნახევარს. ის მიბრუნებს მე მთელი მსოფლიოს პატივისცემას—და ჩემს საკუთარსაც—რაც უკვე შეირყა.

„აბა ჩამიცვათ ჩქარა!".

ამ მონოლოგში, რომელიც დაწერილია 1905 წელში, პროვოკატორულ კონსტიტუციამდე, სტოლიპინიშჩინამდე და სამხედრო-საველე იუსტიციამდე, რასპუტინამდე და სამინისტრო ოთურმამდე, საქმე რასაკვირველია იმაში კი არ არის, რომ შიშველი ნიკოლოზი ხედავს თავის ფიზიკურ სიჩლუნგეს, რომელსაც ის მიჰყავს მის განმანადგურებელ აზრებამდე.

საქმე შეეხება „ამ შიშველ მეფის" საერთო სიჩლუნგეს, გონებრივ, მორალურ, სულიერ სიჩლუნგეს, რომელიც შეეფერებოდა მთელი დაჭაყებული ცარიზმის სიჩლუნგეს.

ნიკოლოზი შეიძლებოდა აპოლონივით გამოკვეთილ ტანის პატრონი ყოფილიყო, ცარიზმი შეიძლებოდა თავისი ბრწყინვალებით განსაცვიფრებელი ყოფილიყო, მაგრამ კულტურულად და სოციალურად ის განწირული იყო,

---

*) მარკ ტვენი აქაც და შემდეგშიაც შეცდომით სწერს „ოთხ საუკუნეს" „სამის" მაგიერ.

ჟანგიანი ფელეტონი

გურიის მენშევიკურ პარტიის კომიტეტს

მოხსენება

თქვენ მიერ ჩვენზე შესასრულებლად მიხდომილ დირექტივების ცხოვრებაში გატარების შესახებ მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი:

1) ეკლესიაში წირვა - ლოცვის, ხალხის მოზიდვა შეუძლებელი შეიქნა ჩემდამი რწმუნებულ მრევლში, ვინაიდან ძნელია იმ ხალხის ხელახლა ღვთის მორწმუნეთ გარდაქმნა, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში ვუქადაგებდით სარწმუნოების მავნებლობას.

გარდა ამისა, ჩვენ მღვდელს, კირილე ქიქოძეს, რომელსაც კარგი ხმა - ჟამა ჰქონდა წინეთ, რომ შემოაკლდა ეხლა სინოყივრე, ძილში დაესიზმრა, ვითომ ძველებურათ მოჰდომოდა გაშლილ სუფრას თავში და მადიანათ შეექცეოდა ინდაურის კურტუმოს. ამ სიზმარში მალიან ჭამის დროს უეცრად გადასცდა კისერში ხელოვნურად ჩადგმული კბილები. დორჩობას გადაურჩა, მარა წირვის თავი აღარა აქვს. სხვა მღვდელი კი არსად მოიპოება ჩვენ კუთხეში.

2) საყდარში არავინ დაიარება სალოცავად, მარა შობა, კალანდა და ნათლისღება ჩვენმა ამხანაგებმა მაინც იდღესასწაულეს ძველი რიცხვით. ღვეძელი, ნასუქი, ბატ-ქათმები და ღორი იმათაც კი ჰქონდათ მომარაგებული, ვინც საბჭოთა ხელისუფლებამ სიღარიბის გამო გაანთავისუფლა გადასახადისა გან. მარსელიების და სხვა რევოლიუციონურ სიმღერების მაგიერ ჩვენებში გაისმოდა ალილოს გალობა. მათ ოჯახში მარქსის სურათის მაგიერ ჩიჩილაკი იყო კუთხეში წამოჭიმული...

3) საუცხოვოდ არის დაყენებული კონტრაბანდის შემოზიდვის საქმე. ჩვენი პარტიის აქტივი მართლაც, რომ დიდ აქტიობას იჩენს, ლორიგანის პუდრის, ჩულქების და კოვერკოტის მატერიის კონტრაბანდათ შემოზიდვის საქმეში. ამ მხრით დიდ დახმარებას გვიწევენ ბანდიტებიც. ამნაირათ ბანდიტებს, კონტრაბანდისტებსა და ჩვენ პარტიას შორის ფრონტი გაერთიანებულია.

4) შედარებით დამაკმაყოფილებლად არის ცხოვრებაში გატარებული თქვენი დირექტივების მეოთხე მუხლი: არავითარ საზოგადოებრივ სამუშაოზე არ გამოდიან ჩვენი ბიჭები, გზებისა და ხიდების აშენებას, რაც შეიძლება ვუშლით ხელს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ გზებზე და ხიდებზე გავლა ჩვენებსაც ისე უხდებათ, როგორც კომუნისტებს.

5) დამაკმაყოფილებელია აგრეთვე თქვენი დირექტივების მეხუთე მუხლის შესრულება: არც ერთი ჩვენი ამხანაგი არ კითხულობს ჟურნალ - გაზეთებს და ახალ ლიტერატურას. თქვენგან კი არაფერს ღებულობს. მათ ჩამორჩენის გზაზე დადგომა აშკარად ეტყობათ. ამიტომაც არის, რომ მათში ყოველნაირ ზღაპრებს და ჭორებს დიდი გასავალი აქვს. მასწავლებელიც კი, ფოკაი ცქვიტინძე ვერ დავაჯერე იმაში, რომ შობა - კალანდა და აღდგომას ევროპაში ახალი რიცხვით დღესასწაულობენ და არა ჩვენსავით ძველით. რამდენად გამოადგება ჩვენს პარტიას მისი მოწაფეები, ამას თქვენ თითონ მიხვდებით!

6) ვერაფერი სანუგეშო შემიძლია მოგახსენოთ თქვენ მიერ მოცემულ დირექტივების მეექვსე მუხლის ცხოვრებაში გატარებაზე, — სახელდობრ, საბჭოებში ჩვენი კანდიდატების გაყვანის შესახებ. ვისაც კი ვეტყოდი, რომ ხმა მიეცა ჩვენი წამოყენებული კანდიდატებისთვის საბჭოში, ყველა ასე მიპასუხებდა:

— თქვენ საბჭოების წინააღმდეგი ხართ და რატომ გაგყავთ იქ თქვენი კანდიდატები. საბჭოს მუშაობის ხელის შესაშლელათ თუ გინდათ გაიყვანოთ, ნურას უკაცრავად მე მინდა საბჭო მუშაობდეს ჩვენი თავის სასარგებლოდო.

ამის საპასუხოდ არაფერი მქონდა სათქმელი და ამიტომ არის, რომ ყოველგან ძირწყვეტით ჩაშავეს ჩვენი კანდიდატები.

7) მეშვიდე და უმთავრესი მუხლი თქვენი დირექტივებისა გატარებულია ჩემს მიერ ცხოვრებაში, ასე ვთქვათ, არც ავათ და არც კარგათ. ფულების ასაკრეფად, რომ მივედი გლეხთან, რომელიც ჩვენიანათ მეგულებოდა, ისეთი სიტყვებით გამომისტუმრა, რომ კინაღამ დაბადების დღე დამაწყევლია.

— ძამია, საბჭოთა ხელისუფლება მათავისუფლებს გადასახადიდან და თქვენ რომ მეგრავთ, რას გავს აგი. ჯერ მთავრობა არ გამხდარხართ, და რომ გახდეთ, მაშინ რაღა დღეს დამაყენებთ— მიპასუხა.

მაგიერში ჩარჩი-ვაჭრები, კონტრაბანდისტები, გამფლანგველები და სხვა ამ ჯურის ხალხი დიდი ხალისით იხდიან ზედმეტსაც კი, ვიდრე შეწერელია მათზე.

— თქვენ ოღონდ კომუნისტებიდან და საბჭოთა ხელისუფლებიდან გაგვათავისუფლეთ და ფულები კი ჩვენი საქმე იყოსო, — მაქეზებდნენ.

ამ გზით შეგროვილი თანხა გამოგიგზავნეთ გუნთიაშვილის ხელით,— მიიღებთ თუ არა, არ ვიცი...

მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ გამათავისუფლოდ გურიის კომიტეტის (მენშევიკების) რწმუნებულის მოვალეობიდან ბახვის თემში.

მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

გლეხკაცობის დასაცინავი და ჩარჩვაჭრების წასაქეზებელი ვისაც სურს, ის იყოს, მარა მე კი არ მინდა ვიყო ასეთი.

რწმუნებული სანდრო ნიკოლაშვილი.

დედანთან სწორეა: ს. თ—ია.

ბიუროკრატიზმი თუ აშკარა ბოროტმოქმედება?

როგორც საზოგადო მოვლენა, სოფლად დადებით მოვლენებთან ერთად ადგილი აქვს მთელ რიგ უარყოფით მომენტებს. უკანასკნელნი ზოგჯერ ჩრდილავენ საბჭოთა შემოქმედებითი და აღმშენებლობითი საქმიანობას.

აი, ერთი ასეთი ფაქტი. ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს—1919 წ.—არგვეთის თემის (შორაპნის მაზრა) მცხოვრები გლეხი დიომიდე ქველაძე იჯარის წესით იღებს ერთ ქცევა ადგილს ყ. თავად აბაშიძისაგან. მიწით სარგებლობისათვის მოიჯარადრე ხელშეკრულების ძალით ვალდებული იყო ეძლია მემამულესათვის მოსავლის ერთი მეოთხედი ნატურით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარით აღებული ადგილი წარმოადგენდა ბუჩქნარს, რომლის გასატეხათ და სახნავ-სათეს მდგომარეობაში მოსაყვანათ ქველაძემ დიდი შრომა გასწია.

მიუხედავათ ამისა 1921 წლამდე ქველაძე პირნათლად ასრულებდა თავის მძიმე ვალდებულებას მემამულის წინაშე.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გლეხი ქველაძე გებულობს, რომ მთავრობის დეკრეტის ძალით გაუქმებულია ყოველგვარი იჯარა. ეყრდნობა რა ამას, ის იმ დღიდან აღარ აძლევს იჯარას ყოფ. მიწის-მფლობელს აბაშიძეს. ბრაზ-მორეული აბაშიძე უკრძალავს ქველაძეს მომავალში მიწით სარგებლობას. დახმარებისათვის ქველაძე მიმართავს ადგილობრივ სამიწათ-მომქმედო კომისიას, რომელსაც გამოაქვს „სოლომონ ბრძენისებური“ კომპრომისული დადგენილება: ადგილის ერთი ნახევარი დაუტოვეს აბაშიძეს და მეორე ნახევარი კი მიუსაჯეს ქველაძეს.

უკანასკნელი ამით თითქმის კმაყოფილი დარჩა, შეურიგდა ამ გადაწყვეტილებას და, ყოველ შემთხვევაში, აღარ ფიქრობდა რაიმე საჩივარი აღეძრა.

თავადი აბაშიძე კი მიწკომის დადგენილებით როდი იყო კმაყოფილი და ეძებდა მოხერხებულ მომენტს „თავხედ“ ქველაძის ასალაგმავათ.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აბაშიძემ მართლაც იხელთა სამისო დრო და 1924 წელში ადგილობრივ საჩხერის სახალხო სასამართლოში შეიტანა საჩივარი, სადაც ის მოითხოვდა ადგილის უკანვე ჩაბარებას და წარსული წლების იჯარის ანაზღაურებას.

საქმის გარჩევის დროს მემამულის პრეტენზიებს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ვინმე პეჟიკო აბაშიძე. და ამ დროს კი გლეხი ქველაძე მოკლებული იყო ყოველგვარ იურიდიულ მფარველობას.

ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ სახალხო სასამართლომ, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა ინტერესები, შალვა მოდებაძის თავმჯდომარეობით სავსებით დააკმაყოფილა აბაშიძის მოთხოვნილება. მას მიუსაჯეს მიწა და აგრეთვე მისცეს უფლება გადაეხდევინებინა ქველაძისათვის წასრულ წლების იჯარა იძულებითი წესით.

და ეს ყოვლად აღმაშფოთებელი დადგენილება სასამართლოს მიერ იქნა აღიარებული როგორც საბოლოო, რითაც ქველაძეს ერთმეოდა აპელიაციის უფლება,

ამის შემდეგ სასამართლოს აღმასრულებელს, რომლის თანამდებობაზეც არის ნიკოლოზის დროის სასამართლოს ბოქაული (судебный пристав) ვინმე ვანიჩქა აბაშიძე, სასწრაფოთ მოყავს სისრულეში ზემო-აღნიშნული დადგენილება.

მაგრამ საიდან გადაუხადოს აბაშიძეს ქველაძემ რამოდენიმე წლების განმავლობაში დაგროვებული იჯარა? სასამართლოს აღმასრულებელი ამით თავს არ იწუხებს. მან აუწერა ქველაძეს სასიმინდე, საწნახელი და სხვა აბაშიძის დასაკმაყოფილებლათ. ხედავს რა ამ ძალმომრეობას დიომიდე ქველაძის მოხუცი მამა აღშფოთებული გაიძახის: „აქ უკანონობას აქვს ადგილი, თორემ მთავრობა არ წამართმევდა იმ ადგილს, რომელიც მანვე მომცა. და არც ღალას გადამახდევინებდა ბატონის სასარგებლოთო“. აქვე მდგომი აბაშიძე მოხუცს შეიჩერებს საშინელ მუქარის ქვეშ ვითომდა მთავრობის შეურაცყოფისათვის. სასწრაფოთ შეადგინეს ოქმი, მოაწერიეს მასზედ მოხუცს ხელი და თანაც დასძინეს, რომ ასეთ საქციელისთვის ის მთავრობის წინაშე აგებს პასუხს.

თავზარდაცემული გლეხი, იმის მოლოდინში რომ მას უსათუოდ დაიჭერენ და ციხეში ჩააგდებენ, გაიქცა ტყეში და იქ ერთი კვირის განმავლობაში იმალებოდა.

სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ, დიომიდე ქველაძემ მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს შ. მოდებაძეს თხოვნით, რათა მისთვის მიეცათ აპელაციის გადატანის უფლება.

ამაყმა და თვითნება მოდებაძემ ამაზე უარი უთხრა და თან დასძინა: „ჩემს ზევით სასამართლო არ არის“-ო.

მიუხედავათ ასეთი პასუხისა ქველაძე მაინც არ ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, მან გადასწყვიტა განაგრძოს ბრძოლა უკიდურეს შესაძლებლობამდის, ცოტა ხნის შემდეგ შეიტანა საჩივარი სამაზრო სამიწათ-მომქმედო კომისიაში. უკანასკნელმა საკითხი ქველაძის სასარგებლოთ გადასწყვიტა და მისი სისრულეში მოყვანა დააკისრა ადგილობრივ სათემო სამიწათ-მომქმედო კომისიას, მაგრამ ის უძლური გამოდგა ყოვლად-შემძლე მოსამართლე—მოდებაძის წინაშე როდესაც მოდებაძეს აჩვენეს სამზ. სამ.-მომქმედო კომის. დადგენილება, მან უპასუხა: „ეს ქაღალდი შუბლზე ეითარეთ“.

ამის შემდეგ საკითხი გადაეცა სამაზრო პროკურორს..

საქმემ რამოდენიმე ორგანო გაიარა და ხელმეორეთ პროკურორის ხელში გადავიდა უკანასკნელის დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ შ. მოდებაძე, როგორც იქნა, დათანხმდა განცხადების მიღებაზე, მაგრამ იმ პირობით, თუ ქველაძე თხოვნას შეადგენინებდა დამცველთა კოლეგიის რომელიმე წევრს. ქველაძემ განცხადება შეიტანა. მაგრამ მისი თხოვნისათვის მთელი ექვსი თვის განმავლობაში თავი არავის შეუწუხებია. ამ დროის განმავლობაში მოსამართლე მოდებაძე კიდევაც წამოსწიეს ზევით და დანიშნეს მოსამართლიდ სამაზრო ცენტრში ჭიათურაში. ახლად დანიშნული საჩხერის მოსამართლეც ვინმე ნანიტაშვილი არაფრით არ გამოდგა თავის წინამორბედზე ნაკლები. ნანიტაშვილის თავმჯდომარეობითაც სახალხო სასამართლომ ქველაძის თხოვნა სცნო უსაფუძვლოთ და ერთხელ და სამუდამოთ უარი უთხრა მას.

აქ კი ჩვენი მხნე და მტკიცე ქველაძე კარგავს ყოველგვარ იმედს, ეძლევა უიმედობას და მზად არის დაჰყაროს ბრძოლის იარაღი ყოვლად შემძლე თვითნებობის და ბიუროკრატიზმის წინაშე.

მაგრამ მას ამხნევებენ ნაცნობები და ურჩევენ კვლავაც განაგრძოს ბრძოლა იმ იმედით, რომ სიმართლე მის მხარეზეა. ქველაძემ საქმე გაასაჩივრა დასავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლოს პროკურორთან. უკანასკნელი ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღებით შეხვდა, გამოითხოვა საქმეები საჩხერის სასამართლოდან და შეპირდა ქველაძეს, რომ ის აღძრავს შუამდგომლობას უზენაეს სასამართლოს წინაშე უკანონო განაჩენის დარღვევის შესახებ. მაგრამ რა შედეგი მოიტანა პროკურორის ამ საქმეში ჩარევამ ჯერ ჩვენ არ ვიცით.

მეორეს მხრივ, ორი თუ სამი კვირის წინ ქველაძის საქმე სრულიად შემთხვევით წამოიჭრა სამაზრო პარტიულ კომიტეტის წინაშე.

უკანასკნელმა, გაეცნო რა საქმის ვითარებას, მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნულ თვითნებობის და ბოროტმოქმედების აღსაკვეთელათ.

ამ საქმეში დამნაშავეებმა მიიღეს საკადრისი სასჯელი.

სამაზრო აღმასკომის მიწათ-მოქმედების განყოფილებას კი დაევალა დაუყოვნებლივ დაუბრუნოს სადაო ადგილი გლეხ ქველაძეს. აი ქველაძის „მოკლე“ ისტორია.

დიომიდე ქველაძის საქმე უკვე ამოწურულათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მარტო ამით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. თუმცა ეს საქმე მოგვარდა, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზები ამა თუ იმ სახით ალბათ ცოცხლობენ და ვინ იცის რამდენ ხანს არ იცოცხლებენ თუ მათ წინააღმდეგ არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები. ქველაძის საქმიდან აშკარათ გამოსჭვივის: ბიუროკრატიზმი, აღვირ-ახსნილი თვითნებობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, საბჭოთა კანონმდებლობის და ოქტომბრის მონაპოვარის ძირითადი პრინციპების აშკარა დარღვევა და სხვა.

ქველაძის საქმის სანიმუშო მაგალითი ფართოთ უნდა გამოვიყენოთ სასამართლოს აპარატის გაწმენდა-გაჯანსაღების საქმეში და იმ აღვირ-ახსნილ „ჩვენი დროის რაინდების“ ასალაგმავათ, რომელთათვის ოქტომბრის რევოლუცია ჯერ კიდევ შეუმჩნეველი დარჩა.

ალ. ბოზოხიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აბანო მუშებისათვის

ფოთი, 10 მარტი. „საქართველოს მარგანეცმა“ დაამთავრა ახალი აბანოს აგება მუშებისათვის. (ადს).

აჭარისტანი
მეთამბაქოება

ბათუმი, 10 მარტი. აჭარისტანის წარმოკავშირმა შეიძინა ოსმალური თამბაქოს საუკეთესო ხარისხის თესლი (ტრაპეზუნდი, პლატანა, სამსუნი და სხ.) სწარმოებს მზადება დასარგავი სეზონისათვის. (ადს).

ბიდონის ქარხნის გაუმჯობესება

ბათუმი, 10 მარტი. ნავთის სინდიკატის ბიდონის ქარხანაში დადგმულ იქნა ახალი დაზგები ბიდონების დასამზადებლად, რაიც საგრძნობლად ადიდებს ნაყოფიერებას და ამცირებს მასალების ხარჯებს (ადს).

ახალი ამბულატორია

ბათუმი, 10 მარტი. აჭარისტანის წითელი ნახევარმთვარის კომიტეტმა სოფელ ხიხაძირში მოაწყო ახალი ამბულატორია და სანიტარო-ეპიდემიური პუნქტი, სადაც გაიგზავნა ექიმი ფერშალი, ბებია ქალი და აგრეთვე სათანადო მოწყობილობა (ადს).

აფხაზეთი
საკურორტო აღმშენებლობა

სოხუმი, 10 მარტი. აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს გამგის ცნობით, აფხაზეთის საკურორტო აღმშენებლობისათვის საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 250.000 მან. აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს კოლეგიას განზრახვა აქვს ეს თანხა დაიხარჯოს სააღმშენებლო მუშაობისა, რემონტისა და ხიდების აღდგენისათვის (ადს).

მისალმება საქართველოს ცაკს

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

ახალციხიდან

ახალციხის საბჭოთა მეხუთე სამაზრო ყრილობა ჯამს უკეთებს რა გასული დროის განმავლობაში მთელს მაზრაში ჩატარებულ მუშაობას სოფლის მეურნეობის აღსადგენად და ჩვენი მაზრის ჩამორჩენილი მუშათა მასების ეკონომიური კეთილდღეობის და კულტურული დონის ასამაღლებლად, თქვენი სახით მხურვალედ ესალმება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და წითელი მესხეთის მშრომელი მასსების სახელით უცხადებს მუშათა და გლეხთა მთავრობას, რომ მომავალშიაც მტკიცედ იმუშავებს თქვენი დირექტივების თანახმად და კომპარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად, ჩვენი მაზრის მშრომელი მასსების გაერთიანება კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო უფლებას გვაძლევს ჩვენ გაუცხადოთ ჩვენს მთავრობას, რომ ვერ შეგვაშინებს ბურჟუაზიული სახელმწიფოების ვერავითარი მუქარა და ჩვენ მზათა ვართ პირველ დაძახებისთანავე დავიცვათ აღმოსავლეთის კარები იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ)

ყრილობის პრეზიდიუმი.

ოზურგეთიდან

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღის, რვა მარტის, აღსანიშნავად ოზურგეთის მუშა და გლეხ ქალთა საზეიმო სხდომა გიძღვნით მხურვალე სალამს მუშათა კლასისთვის თავდადებულ მებრძოლს და მხნე შეუდრეკელ რევოლიუციონერს. ფიცსა ვსდებთ, რომ ვიბრძოლებთ ჩვენს კომპარტიასთან ერთად სოციალისტური წყობილების გამტკიცებისათვის.

პრეზიდიუმი.

ზუგდიდიდან

ზუგდიდის საბჭოთა მეხუთე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის მუშების და გლეხების ინტერესების გამომხატველს მის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენი ქვეყანა მიაღწევს სრულ გამარჯვებას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

შეუწყნარებელი დაუდევრობა

(მარტვილი, სენაკის მაზრა)

აქ არსებული ექვს საწოლიანი საავადმყოფო ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებებს. ამიტომ 1925 წლის დასაწყისში ექიმ გობეჩიას ინიციატივით განზრახულ იქნა ახალი საავადმყოფოს აგება. რაიონში შემავალ თემებმა საერთო კრებაზე გამოიტანეს დადგენილება თვითდაბეგვრის გზით აეგოთ ხსენებული შენობა. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაგვითმო ამ დიდ საქმისათვის 200 ძირი წიწვიანი ჯიშის ხე ახლობელ ტყეებიდან. 500—600 ცალ კვანძამდე იქნა დამუშავებული და ჩამოტანილი სოფლად, საიდანაც ურმით შესაძლებელი იყო მოტანა საჭირო ადგილზე. ექ. გობეჩია იქნა გადაყვანილი და ეს საქმეც მიეცა დავიწყებას. ზოგიერთ გულშემატკივრებმა თავის სურვილით ურმებით ჩამოიტანეს 200 ცალი კვანძი. როგორც ჩამოტანილი, ისე დარჩენილი კვანძები მოფანტულია მინდვრათ და ამ ორი წლის წვიმამ, თოვლმა გააფუჭა და უვარგისი გახადა სძინავს სააღმშენებლო კომისიას, სძინავს ადგილობრივ ხელისუფლებასაც. ამავე კომისიის მიერ იქნა წამოწყებული სახერხი მანქანა რისთვისაც სამაზ. ხელისუფლებამ გადასდო ათასი მანეთი, მაგრამ მის მოთავეებსაც საშველი არ დაადგა.

როდემდე გასტანს ასეთი გულგრილობა სოფლის მესვეურების მხრივ?

დაღონებული.

წერილებიდან

ს. ჩხენიში, (ქუთ. მაზ.)

— **სახალხო ფულებით მევახშეობენ.** აქ განზრახული იყო სახალხო სახლის აგება. წარმოდგენები გაიმართა, სალამოები მოეწყო და შემოსული ფული სააღმშენებლო ბიუროს გადაეცა. სახლის აგება კუთხური ქიშპობის გამო ჯერ არ მოხერხდა. შეგროვილი ფული კი ბიუროს წევრებს, როგორც ისინი ამბობენ, დაურიგეს სესხებით გლეხებზე. საერთო კრებაზე ვერც ამის ანგარიში წარმოადგინეს მათ. ვინ უნდა მიაქციოს სააღმშენებლო ბიუროს ბოროტმოქმედებას ყურადღება?

ეკ. მელქაძე.

ს. ეხერი, (სენ. მ.)

— **ოჯახს ანადგურებენ.** აქაურ მცხოვრებლებს: ნესტორ მალზარაძეს და მიკიტან ალექსანდრე ცომაიას აქვთ გახსნილი ბანქოს სათამაშო, სადაც გლეხები უკანასკნელ კაპეიკებს სტოვებენ. ორმა გლეხმა: შოთა გუგუშვილმა და ივანე კუპრეიშვილმა კარტში ხარებიც კი წააგეს. ასე ანადგურებენ მეურნეობას კარტის თამაშობით.

მნახველი.

სართიჭალა, (გარე-კახ.)

— **მწარიაშვილს წამწარდება.** ვაჟარ გიორგი მწარიაშვილს მოუკვდა ძროხა. მწარიაშვილმა აიღო ბეითალ მამამთავრიშვილისაგან მოწმობა თითქოს მას ძროხის ხორცით არ უსარგებლია და ამის შესაფერისად სათანადო დახმარებაც მიიღო სალაროდან. ნამდვილად კი მწარიაშვილმა მკვდარი ძროხის ხორცით ისარგებლა და ამით შეცდომაში შეიყვანა ხელისუფლება.

ხაშელი.

ზუგდიდი

უმოქმედო კლუბი

ზუგდიდში არსებობს კლუბი მუშათა კლუბის სახელწოდებით. კლუბს ყავს მრავალი წევრი და ის უკანასკნელი გამოიხატება იმაში რომ წევრმა თავის დროზე შეიტანოს საწევრო გადასახადი და ჯიბით ატაროს წიგნაკი.

კლუბის საწევრო წიგნაკში სწერია: „ჩაეწერე რომელიმე წრეში“. მაგრამ უბედურება ისაა, რომ კლუბთან რაიმე წრის არსებობაზე არავინ ზრუნავს, ეს მაშინ, როდესაც საკმაო ძალების თავის მოყრა შეიძლება კლუბთან საწრეო მუშაობაში ჩასაბმელად.

გალენი.

მონისტრის რაიონი (სამხრ. ოსეთი)

— **ჩამორჩენილი კუთხე.** ჩვენი კუთხე, სადაც მოსახლეობს 2.500 კომლამდე, წინად დუშეთის მაზრას ეკუთვნოდა. 1923 წლის დასაწყისში კი ჩვენ შევუერთეს სამხრეთ-ოსეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ არც დუშეთის მაზრაში და არც ეხლა, ჩვენ რაიონს კულტურული წინსვლა არ ეტყობა. არა გვაქვს სკოლები, არა გვაქვს საკითხველო. ამდენი სული მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ საზრდოს.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ.

ზაქ. ჩიტიშვილი.

წერილები

ამხ. მარიამ ორახელაშვილი ზუგდიდში.

თებერვლის პირველ რიცხვებში გვეწვია განათლების სახ. კომისრის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილი. სახ. კომისრის მოადგილეს თან ახლდენ სასკოლო განყოფილების გამგე, სოფლის ახალგაზრდობის სკოლის გამგე და ინსტრუქტორები ამხ. გოგუაძე, გურგენიძე და ჯაფარიძე. მათ დაათვალიერეს ქალაქის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაზრის ყველა ცხრაწლედები, ოთხივე სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და რამოდენიმე შვიდწლედი და ოთხწლედი. სოფლებიდან დაბრუნებისას ქალაქში მოეწყო საუბარი, რომელსაც დაესწრო ქალაქის და მის მახლობელ სკოლების მასწავლებლობა და საბჭოთა მუშაკები. საუბარში სტუმრებმა გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი.

აღსანიშნავია აგრეთვე ამხ. კომისრის მოადგილის მიერ ნივთიერი დახმარების აღმოჩენა. განათლების განყოფილებას გადაეცა 1300 მანეთი ფულად, 10 სასკოლო დაფა და სამი ყუთი სასწავლო მასალა და ხელსაწყოები უღარიბეს სკოლებზე გასანაწილებლად.

ცხადია, უკანასკნელ გარემოებასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს მაზრის ჩამორჩენილ კუთხეებისათვის, რადგანაც ასეთ წახალისებას შეუძლია წააქეზოს გლეხობა და გაუღვივოს მათ თვითშემოქმედების უნარი სასკოლო აღმშენებლობისაკენ.

ზუგდიდის სამაღმასკომი, დიდათ აფასებს რა ყოველივე ზემოხსენებულს, ულრმეს მადლობას უცხადებს ამხ. მარიამ ორახელაშვილს გაწეულ ხელმძღვანელობისა და ნივთიერ დახმარებისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ ამიერიდან ხელმძღვანელობის საქმეს განსაკუთრებითი ყურადღებით მოეპყრობა განათლების სახ. კომისარიატი და გააძლიერებს ცოცხალ კავშირს ზუგდიდის მაზრისა და კერძოთ მის მივარდნილ კუთხეებთან.

ა. ბერია.

ლექსოს ვაჟკაცობა.

(მეტეხი, გორის მაზრა).

ლექსო პატარქალაშვილი ყოჩაღ ბიჭად არის ცნობილი ჩვენს სოფელში. ყოჩაღობა რა დასაძრახისი იქნებოდა, რომ ლექსო მას სოფლის ასაწიოკებლად არ იყენებდეს.

განსაკუთრებით ცნობილია პატარქალაშვილი ქალებზე ნადირობაში. მას კიდევაც ესახელება ასეთი ხელობა. რა არის—სოფელში ხმა გავარდება: „შეხეთ, ჩვენი ლექსო რა ყარაჩოღელი ბიჭია“-ო.

პირველად ლექსომ საქმე კლუბიდან დაიწყო. აქ ხულიგნურ გამოსვლისათვის მან ყველაზე მოხერხებული ადგილი ნახა როგორც დაგეშილი მეძებარი, ისე გადავარდა ქალებში პატარქალაშვილი კლუბში შემოსვლისთანავე. შეიქნა ერთი ხმაურობა და უბედურობა. შედეგათ ამას ის მოჰყვა, რომ მრავალ ქალებმა ხელი აიღეს კლუბში სიარულზე.

როცა ამის გამო ლექსოს კლუბში შეუმცირდა სანადირო ასპარეზი, მან თავისი მოქმედების ცენტრი გლეხთა კოხებში გადაიტანა.

პირველად ბოგველ ნიკას სახლობას დაესხა თავს. ქალი სახლში მარტო იყო, სხვა რომ ვერაფერი გაეხერხა, მორთო ცივი ხმით კივილი. მთელი კუთხე ფეხზე დადგა. შიშველ-ტიტველნი გამოცვივდნენ სახლებიდან მეზობლები. უკვე შუაღამეზე გადასული იყო. პირშეცხვენილი ლექსო კუდამოძუებული გამოაგდეს სახლიდან.

მაგრამ ამან მაინც არ გასჭრა. თავიდანვე გაწუწკებულმა ლექსომ თავისი არ მოიშალა. შეურჩია მოხერხებული დრო ლაზარე ასლამაზაშვილის ოჯახს და ყაჩაღურად თავს დაესხა ამ ოჯახის ქალიშვილს, როცა მშობლები სახლში არ იყვნენ. თუმცა ქალი მარტო იყო, მაგრამ იმდენი ყოჩაღობა მაინც გამოიჩინა, რომ პატარქალაშვილი პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმრა სახლიდან. ლექსომ მხოლოდ ისღა მოასწრო, რომ ამ თავდასხმის დროს მაგიდის ყუთში შენახული 95 მანეთი გაიყოლია ხელის ჭუჭყათ.

ასეთია ლექსო პატარქალაშვილის საქმენი საგმირონი. ამგვარი ვაჟკაცობით ის თავს არ მოაწყენს მეტეხლებს, თუ ერთხელ და სამუდამოთ არ მოაშორეს ამ კუთხეს ეს ნაძირალა ადამიანი.

ბე—ნა.

მუშათა ცხოვრება

ტაუზში მომხდარ უბედური შემთხვევის გამო

1926 წელმა ცოტა არ იყოს რკინის გზელები დაგვაფიქრა. დაგვაფიქრა იმიტომ, რომ გაგვიხშირდა უბედური შემთხვევები. არაა ქვეყანაზე რკინის გზა, რომ იქ დროგამოშვებით არ ხდებოდეს მარცხი. მაგრამ როცა უბედ. შემთხვევები გახშირდება, მაშინ ყველა ჩაუფიქრდება ამ არასასიამოვნო მოვლენის გახშირების მიზეზს.

შარშანდელმა შემთხვევებმაც გამოიწვია დიდი კამათი და ახმაურება. მიღებულ იქნა საჭირო ზომები და აი მესამე თვეა მიდის, რომ შედარებით საქმე კარგად მიდიოდა, რომ სად. ტაუზის შემთხვევას არ დაერღვია რკინის გზაზე მყუდროთ მუშაობის მსვლელობა.

გავეცნოთ მოკლედ ამ შემთხვევას. სადგ. ტაუზის მდებარეობა შემდეგია. თბილისის მხრიდან ის მდებარეობს აღმართზე, ხოლო განჯის მხრიდან დაღმართზე. ორივე მხრიდან სადგურს აქვს ნიშანსვეტი. ნიშანსვეტს მემანქანე უნდა მიუახლოვდეს ისეთი სიჩქარით, რომ თუ ის დაკეტილია, მან უცბად უნდა გააჩეროს მატარებელი. ყოველ შემთხვევისათვის არსებობს რკინის გზაზე წესი: 15 წუთით ადრე მატარებლის შემოსვლამდე, მიუხედავად იმისა რომ ნიშანსვეტი დაკეტილია, სადგურზე უნდა შეწყდეს ყოველგვარი სამანევრო მუშაობა და ლიანდაგის ისრები უნდა იდგეს ისე, რომ თუ მემანქანე შემოვიდა სადგურზე, თუმცა უკანონოთ, ის მიიღონ თავისუფალ ლიანდაგზე. როგორ მოიქცა სადგ. ტაუზი? მასთან მოახლოვებულია დიდი და გრძელი მატარებელი, რომელიც მოდის თავდაღმართში და რომლის გაჩერება ნიშანსვეტთან ძნელია, სადგურს მაინც გაყავს სადგურზე მყოფი მატარებელი ამ მომავალ მატარებლის შესახვედრად; და ის სადგურის მორიგეს შეცდომისა—უსწრებს მომავალი მემანქანის შეცდომა და ხელში გვრჩება დიდი ზარალი და მოძრაობის შეჩერება.

რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევებში დამნაშავენი დაისჯებიან. მაგრამ დავსვათ საკითხი, თუ რაა ასეთი შემთხვევების მიზეზი.

პირველი მიზეზი აშკარაა: დაეცა შეგნება კვალიფიკაცია რკინის გზის მოხელეების.

მეორე მიზეზი გახლავთ სადგურებზე შტატის შემოკლება.

ამ სტრიქონების დამწერმა ტაუზში გაიარა სწორედ უბედურების ღამეს, სულ რამოდენიმე საათის წინ. მე ვიცნობ ამ სადგურების მუშაობას. მე ვნახე იმ ღამეს სადგ. დილიარში როგორ წვალობდა ერთი მორიგე ერთი მეისრის დახმარებით. სამი-ოთხი მატარებელია სადგურზე; ზოგზე უნდა ახსნან ვაგონები, ზოგს უნდა მიუბან. ზოგიდან გადმოტვირთო ბარგი, ზოგსაც დაუდო და სხვ. იქ მეისრე უნდა გააგზავნო ნიშანსვეტთან და რა ვიცი კიდევ რამდენი საქმე ქონდა საწყალოს.

ყველა ეს უნდა გააკეთოს ერთმა კაცმა. ზოგი გამოცდილი, ყოჩაღი ამას ახერხებს, მაგრამ ყველა ყოჩაღები არა ვართ და ასე გვიფუჭდება საქმე. ასე შტატის შემცირება ყოვლად დაუშვებელია, დანაშაულობაა; კიდევ სხვა მიზეზებიც ბევრია.

ძველი მემანქანე.

კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი“

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მე-15-ტე ნომერი, „ნიშანსვეტის“ სახელწოდებით. ხსენებულ გაზეთის ეს ნომერი ერთ საუკეთესო ნომრად უნდა ჩაითვალოს. შიგ მოთავსებულ წერილების უმრავლესობა ეხება წარმოებისა და ყოფა - ცხოვრების საკითხებს. მოწინავე წერილი ეხება საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავს. მოთავსებულია აგრეთვე წერილი, რომელიც ეხება სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მიღწევებს 6 წლის განმავლობაში.

ამავე ნომერში მოთავსებულია კედლის გაზეთის წარსული ნომრის მიუდგომლად შეფასება აღსანიშნავია, როგორც ნაკლი, ისე მიღწევა. ამხ მუშკორები ეხებიან აგრეთვე მუშა - მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხს და სხვ. ხსენებულ გაზეთში მოთავსებულია ხუთი კარიკატურა და ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. ვაქარაძის სურათი მის ენერგიულ მუშაობის გამო.

გაზეთი, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე გამოდის 2 ეკზემპლიარად.

ადგილობრივი.

კოლოფების ქარხანაში

8 მარტი კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალმა“ არაჩვეულებრივი ზეიმით გადაიხადა.

დარბაზი გაივსო ხალხით, სადაც დროგამოშვებით გაისმის პატარა ბავშვების ტირილი, რომლებიც მოყვანილი ყავდათ დედებს „ოქტომბრინზე“ მოსანათლავად.

კრება გახსნა ამავე ქარხნის ქალთა ორგანიზატორმა. იწყება მისალმებანი სხვადასხვა ორგანიზაციიდან.

ამის შემდეგ მოხსენებით გამოდის ამხ. არლოვი, რომელიც ეხება ქალთა მოძრაობას ყველა ქვეყნებში.

მერე ხდება სამი მუშა-ქალის გადარიცხვა პარტიაში.

შემდეგ იწყება რევოლიუციონური ნათლობა. ნათლიებს გამოყავს სცენაზე სათითაოდ ბავშვები და ფიცს სდებენ დამსწრეების წინაშე, რომ ცემა-ტყებას საზღვარი აღარ ექნება. ბავშვებს აღზრდიან კომუნისტურად და მომზადებულს ჩააბარებენ კომპარტიას. ბავშვებს ურიგდებათ სათანადო საჩუქრები. მონათლეს ათი ბავშვი.

ამის შემდეგ არჩეულ იქნენ შრომის გმირებად შემდეგი მუშა ქალები: ტაბახაძე თამარა, წარმოებაში მუშაობს 14 წელი: ატოიანი ანა, წარმოებაშია 14 წელი; გელიტაშვილი ანა, წარმოებაში მუშაობს 19 წელი; მამუკაშვილი ალექსანდრა წარმოებაში მუშაობს 17 წ. და ბერიძე სოფიო წარმოებაშია 17 წელი.

შრომის გმირებს იქავე დაურიგდათ ჯილდო—ქიმერიის ფეროვანი შალები. დარბაზი დიდის ოვაციებით ხვდება მათ და სიმებიანი ორკესტრიც შრომის შვილებს მხიარული ჰანგით აჯილდოვებს.

ბოლოს იდგმება პიესა „პროლეტარი ქალი“. ამით გათავდა ზეიმი.

მუშკორი ვანო.

ზედმეტი დატვირთვა

სადგ. მელაანის უფროსი ყოველდღე ტეხნიკურ დარგში მორიგეობს 6 საათს. გარდა ამისა ასრულებს კომერციულ ოპერაციებს და როგორც ადმინისტრატორი მოვალეა მუდამ სადგურში იყოს. მასთან აქვს დაკისრებული მოლარეობა, რის გამოც მას უხდება ყოველ სახალხო მატარებელზე ღამე და დღე გამოსვლა. ყოველივე ამ დავალებებისათვის ის ღებულობს 5 პროც. დატვირთვას. ეს ერთი სადგური მაგალითისათვის მოვიყვანე, დანარჩენი სადგურებიც ამ მდგომარეობაში არიან.

ნუ თუ ამ მდგომარეობას არ მიაქცევს ყურადღებას ინსპექტორი.

ვლ. ნავრუზაშვილი.

დაპირებული შეასრულეთ

სამი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით გადაუხადა იუბილე მუშა მწერალ გიგო ხეჩუაშვილს, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო არამც თუ მარტო მუშათა კლასმა, არამედ ბევრ სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებამაც, და აგრეთვე ქალაქის აღმასკომმაც. ჩვენ ბევრი რამე დაგვპირდით ამხ. ხეჩუაშვილს, მაგრამ ჩვენი დაპირება დარჩა ქაღაზე გამოკიდებული და ცხოვრებაში ვერ გავატარეთ. ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენ მუშებს ეპატიებათ, რადგანაც შესაძლებლობა ეკონომიურ პირობებმა ხელი ვერ შეუწყო, მაგრამ ვერ ეპატიება ქალაქის აღმასკომს, რომ დაპირებული იმანაც ვერ შეასრულა.

იუბილიარს საჯაროთ დაპირდენ ბატარეინის ქუჩას უნდა დარქმეოდა ხეჩუაშვილის ქუჩა, მაგრამ ეს ქუჩა ისევ ბატარეინის ქუჩის სახელს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომის მცირე პრეზიდიუმს დადგენილება ამის შესახებ ძლისაც არსებობს. ამავე ქუჩაზე მუშაობს ამხ. ხეჩუაშვილი და როცა მისი სტამბის მომუშავეები გამოდიან და ხვდებიან, მაშინათვე მიმართავენ გიგოს და ეტყვიან: კაცო, რა იქნა დაპირება, ეს ქუჩა რატომ შენ სახელს არ ატარებს?

იმედია, რომ ახალი საბჭო მოაგონებს ქალაქის კეთილ მომწყობ კომისიას, რათა მან ეს დაპირება სისრულეში მოიყვანოს და ბატარეის ქუჩის სახელი შესცვალოს გიგო ხეჩუაშვილის სახელით.

ალექს. ბ—შვილი.

ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბის მუშაობა

ორთაჭალის მუშათა კლუბი დიდ დახმარებას უწევს მუშებს. მუშათა კლუბს ყავს 160 წევრი. შედარებით წარსულ წელთან 1927 წელს, კლუბის წევრთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა.

კლუბში არსებობს შემდეგი წრეები: დრამწრე, ქართულ და რუსულ ენაზე, მომღერალთა გუნდი, მუსიკალური წრე, ახალგაზრდათა წრე, ქრა-კრების სკოლა, პიონერთა წრე.

სამი თვის განმავლობაში კლუბში დაიდგა 55 წარმოდგენა, კინო, კონცერტი და კინო-ლექცია.

კლუბის წევრები უფასოდ ესწრებიან წარმოდგენებს.

ვუსურვებ მუშათა კლუბს წარმატებით მუშაობას.

მუშა ხალუქვაძე.

ქალთა დღის აღნიშვნა

7 მარტს, ამხ. ს. ორჯონ. სახ. რკ. გზ. კლუბში ქალთა დღის აღსანიშნავად დანიშნულ იყო საზეიმო სალამო.

საზეიმო კრების გახსნის შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ყოველი მისალმების დამთავრების შემდეგ ორკესტრი ასრულებდა „ინტერნაციონალს“. მისალმებების შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. შავერდოვა, მან გასაგები ენით გააცნო კრებას საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის მნიშვნელობა.

შემდეგ გაიმართა რუსულ და ქართულ ენაზე წარმოდგენები. და მოხდა გუნდის ცოცხალი გაზეთების გამოსვლა, და დასასრულს სიმფონიური ორკესტრის.

გ. ოფუზავა.

მუშათა წერილებიდან
მუშათა კლუბი მოისუსტებს

ზუგდიდის მუშათა კლუბი არაა კარგად დაყენებული. ვინ გინდა, რომ კლუბში არ ადგენდეს წარმოდგენას. საკმარისია მოვიდეს ვინმე და თავის თავს უწოდოს პოეტი, რომ მისთვის კარები ღიაა. ამ მდგომარეობას სამაზრო პროფბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს.

ქ. რ—ტი.

ეს ჩვეულება უნდა მოისპოს

წინედ, როდესაც მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირს მიიღებდენ სალაროდან, უხერხულ მდგომარეობაში იყვენ ჩაყარდნილი. ერთ ადგილიდან ჯამაგირს იღებდენ, ოც ადგილას არიგებდენ. ეხლა ახალ ჩვეულებას მიჰყვეს ხელი. მოკვდა რომელიმე თანამშრომელი რომელიმე წარმოებაში, მაშინ წარმოების გამგე ადგენს, რომ მუშა მოსამსახურეებმა მოჰყაროდეს ფული მიცვალებულის სასარგებლოდ. მიტოვებული ჭირისუფალი კი დაზღვევის სალ. იღებს დახმარებას. ეს ჩვეულება უნდა მოისპოს.

ვინ იცის.

მუშათა ქრონიკა
ტყავ-ტრესტის ქარხანაში

— **კომისიის არჩევა.** ტყავ-ტრესტის ქარხკომის სხდომაზე არჩეულ იქნენ შემდ. საკონფ. კომისიის წევრებად შემდეგი ამხანაგები: ოსიპოვი, გიორქოვი და ტურულოვი.

— **დავალიანების ლიკვიდაცია.** იმავე ქარხკომმა დაავალა დამხმარე სალაროს საჩქაროდ მოახდინოს იმ დავალიანების აკრეფა, რომელიც არ შემოუტანიათ სალაროს წევრებს.

— **სხდომის დანიშვნა.** ქარხკომის სხდომამ დაადგინა მუშაობის გაცხოველების მიზნით, კვირაში ერთხელ ორშაბათობით მოხდეს ქარხკომის სხდომა.

— **დავალება.** ქარხკომმა დაავალა ქარხკომის ყველა კომისიის წევრებს, რომ თვეში ერთხელ ქარხკომის სხდომაზე გააკეთონ მოხსენება თავიანთ მუშაობის შესახებ.

— **სიების გამოკვრა.** იგივე ქარხკომმა დაადგინა გამოკრულ იქნეს დაფაზე იმ მუშა-მოსამსახურეების სია, რომლებიც არ იხდიან დროზე საწევრო გადასახადს.

— **ქარხნის დირექტორის მოწვევა.** ქარხკომმა დაადგინა საერთო კრებაზე მოწვეულ იქნეს ქარხ. დირექტორი და მუშკოოპის რწმუნებული, რომელნიც გააცნობენ მუშებს ტრესტისა და მუშკოოპის მუშაობას.

ამზადისი 18 მარტისათვის

რემედასის ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 17 მარტს მთელ საქართველოში უნდა ჩატარდეს „რემედასის დღე“, რომელიც გამოყენებულ იქნება, როგორც წინასწარი სამზადისის დღე 18 მარტის დღესასწაულის ჩასატარებლად.

17 მარტს უნდა შეიკრიბონ რემედასის უჯრედები და გაარჩიონ პარიზის კომუნისა და რემედასის დღესასწაულების ერთად ჩატარების გეგმა. 17 მარტის კრებებზე გასაკეთებელ მოხსენებებისათვის სათანადო თეზისები უკვე დაეგზავნათ ადგილებს.

რემედასის ცკამ ამავე დროს მოსთხოვა ადგილებს სასწრაფოთ წესით ჩააბარონ ცენტრალურ კომიტეტს 18 მარტის ჩატარების ანგარიშები.

ფასების დაკლება

სატრანსპორტო კოოპერაციაში 4 მარტისათვის ფასები დაკლებულია 5½ პროცენტით.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციაში,—განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში „ზაკტპ“-ს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. აკიმოვმა,—ფასების დაკლების გასატარებლად აღებულია მტკიცე ხაზი. ყოველგვარი დირექტივა უმაღლეს ორგანოებისა ფასების დაკლების შესახებ ტარდება დაუყოვნებლივ და გადაუხრელად.

4 მარტისათვის ჩვენ უკვე ჩავატარეთ ფასების დაკლება უმთავრეს მოთხოვნილებების საქონელზე 5½ პროცენტით და ეხლა ვიღებთ ზომებს ფასების უფრო შესამცირებლად.

ამისათვის ამჟამად მიმდინარეობს მთელი ჩვენი ქსელის გადასინჯვა.

რაც შეეხება შინავაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ საზღვრით ზედნადებ ხარჯების გატარებას საფეიქრო ნაწარმოებზე, იგი ბაქოში და თბილისში უკვე ტარდება, რაც შეეხება ერევანს, იქ ჯერ არ შედგომიან მის გატარებას და შეუდგებიან ამ დღეებში.

ფასების დაკლება საერთოდ გატარებულია ყოველგვარ საქონელზე, მაგრამ საბოლოო ცნობები შეგროვებული არ გვაქვს და მას მივიღებთ ამ დღეებში. კერძოთ, ფართლეულზე საშუალოდ ფასების დაკლება 5 პროცენტს აღემატება.

სასამართლო

ფოთელ პროვოკატორების საქმე უზენაეს სასამართლოში.

როგორც ვსწერდით, დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ფოთელ პროვოკატორებს: ვასილ ლოლუას, ილია შაპიროს, ხარიტო ყვანიას, ნესტორ ქორქიას და ნიკოლოზ პრაჭაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა მსჯავრდადებულებს შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გუშინ მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

ბოროტმოქმედება შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირში

(ედიბერიძის და ქურდოვანიძის საქმე)

მეორე სხდომა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს დარბაზში, დიდძალი საზოგადოების თანდასწრებით, შესდგა სასამართლოს მორიგი სხდომა.

პროკურორი აბაკელია შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ბრალდებულები დაკითხულ იქნენ ცალ-ცალკე.

სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ედიბერიძე. მან 2 საათი ილაპარაკა.

ედიბერიძემ სრულიად დამშვიდებით მოუთხრო სასამართლოს, თუ როგორ პირობებში ჩაიდინა მან ბოროტმოქმედება.

ბრალდებული აცხადებს, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა მან ფული გადააყოლა თანამშრომლებს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ის პირველ ხანებში მოვალეობას კეთილსინდისიერათ ასრულებდა.

შემდეგში დანაკლისი თანხა მან ვერ დაფარა და ამ გარემოებამ აიძულა ის შეედგინა ყალბი საბუთები.

ბრალდებული აღნიშნავს, რომ 1925 წ. აგვისტოში, ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა ბუღალტერ ქურდოვანიძის დაჟინებითი მოთხოვნით. ედიბერიძე ბრალდებას თავზე იხვევს ქურდოვანიძეს.

ედიბერიძე თავს სცნობს დამნაშავედ დაახლოებით 1500 მანეთის მითვისებასა და გაფლანგვაში.

უკეთებს რა ვრცელ ანალიზს, მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ბრალდებული ამბობს, რომ ის და ქურდოვანიძე საკავშირო ფულების მითვისებას აწარმოებდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმებით: იტაცებდნენ საბუთებს, ორდერებში შეჰქონდათ შემოსული თანხის ნაკლები რაოდენობა და სხვა.

ედიბერიძის სიტყვით, ქურდოვანიძემ მიითვისა დაახლოებით 2.000 მანეთამდე.

ედიბერიძემ კავშირში მუშაობის დროს იყიდა სახლი, რომელშიაც მისცა 2.000 მანეთი.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა საშუალებიდან იყიდა სახლი—მან განაცხადა, რომ 500 მანეთი აიღო ძველი სახლის გაყიდვით. დაახლოებით 1000 მანეთამდე კავშირის ფული მოიხმარა, ხოლო დანარჩენი თანხა კი ისესხა.

გამოირკვა, რომ ედიბერიძე კარგათ სცხოვრობდა. თვეში ის ღებულობდა 187 მანეთამდე.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული ქურდოვანიძე.

ქურდოვანიძის ჩვენების მიცემის დროს აღელვება ეტყობა.

ბრალდებული თავის ჩვენებას იწყებს ედიბერიძის დახასიათებით და ამბობს, რომ ედიბერიძე სამსახურში „დიქტატორობას“ იჩენდა.

ქურდოვანიძე თავს არ ცნობს დამნაშავედ და აცხადებს, რომ ბოროტმოქმედება ჩადენილია ედიბერიძის მიერ.

ედიბერიძე მას განზრახ სდებს ბრალს. ამ გარემოებას ის ხსნის მით, რომ კავშირში მუშაობის დროს მასა და ედიბერიძეს შორის ცუდი განწყობილება არსებობდა.

შემდეგ ბრალდებული ლაპარაკობს, რომ სამსახურში ყოფნის დროს ედიბერიძე შეჰპირდა მას „იმ საქმიდან განთავისუფლება“-ს იმ შემთხვევაში, თუ მას მისცემდა ფულს.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

ზაჰესის გამძარცველთა საქმე.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. რახიაის თავმჯდომარეობით გაირჩა გიორგი გიჟიმყრელის და თომა სონღულაშვილის საქმე.

გიჟიმყრელი წინეთ მსახურობდა ზაჰესში. ერთ დღეს მან სონღულაშვილის დახმარებით, ღამით გასტეხა ზაჰესის მუშათა კომიტეტის ოთახი და მოიპარა 2.031 მანეთის ნივთები. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც მუშათა კომიტეტის ოთახში შენიშნეს სისხლის წვეთები.

სისხლის წვეთებით იყო აგრეთვე მორწყული გიჟიმყრელის ოთახში შესასვლელი გზა.

გიჟიმყრელი დააპატიმრეს. ის გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა მეორე ბოროტმოქმედი, რომელიც აღმოჩნდა თომა სონღულაშვილი.

სასამართლომ გიჟიმყრელი და სონღულაშვილი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა 2-ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს.

სამოქალაქო ძიება დაკმაყოფილებულია 2.031 მანეთის რაოდენობით.

მკვლელობა.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით დაიწყო მოქ. პიპინოვის საქმის გარჩევა.

გასული წლის ნოემბერში პიპინოვმა ყორისის ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლა მოქალაქე კოხტიევი.

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა შურისძიების ნიადაგზე.

პიპინოვი და კოხტიევი წინედ სავაჭრო საქმეებს აწარმოებდენ ერთად. სავაჭრო მაღაზიის ლიკვიდაციის შემდეგ კოხტიევმა პიპინოვს არ გაუსწორა ანგარიშები. ამ ნიადაგზე მათ შორის ცუდი განწყობილება ჩამოვარდა.

ბრალს სდებს პროკურორი ლ. ჯანჯღავა, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრები: დოლუხანოვი და დიდებულიძე.

სამოქალაქო მოსარჩლის ინტერესებს იცავს ამირაგოვი.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული პიპინოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა უცაბედათ.

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება ესწრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატასტროფა აჭარის წყლის ჰიდრო-ელსადგურზე

დაიღუპა სამუშაოთა უფროსი ინჟ. კალაშნიკოვი, ინჟ. სტალნოვი და რამდენიმე მუშა

სოფ. მახუნცეთთან, სადაც შენდება აჭარის - წყალის ჰიდრო-ელსადგური, მდ. აჭარისწყალი მიმდინარეობს ვიწრო ხეობაში, აქ მდინარეზე გაკეთებულია ჯებირი. აქედან გაყვანილია 220 საჟენის სიგრძე გვირაბი, გენერატორულ სადგურთან მდებარე აუზისათვის წყალის მისაწოდებლად. ამ გვირაბის გარდა გაყვანილია კიდევ ორი გვირაბი, მათ შორის ერთ წყალსადენ აუზის გასარეცხად; ამ გვირაბს ეწოდება „საფსკერო“ გვირაბი.

„საფსკერო“ გვირაბი უნდა დამთავრებულიყო ამ თვის დამლევს რისთვისაც გვირაბი გაფართოებული იყო საკმაო ზომამდე; გასაფართოებელი იყო კიდევ სამი საჟენის სივრცე და სწარმოებდა მუშაობა.

9 მარტს დილის 9 ნახევარ საათზე მუშაობის დროს გვირაბის თაღი გაიბზარა. ამ მოვლენის გამოსაკვლევად იქ შევიდენ სამუშაოთა უფროსი ინჟ. კალაშნიკოვი და მორიგე ინჟ. სტალნოვი რამოდენიმე მუშის თანხლებით.

მოულოდნელად თაღი ჩამოინგრა და მოიყოლია ქვეშ ორთავე ინჟენერი და ორი თუ სამი მუშა. ყველანი დაიღუპენ.

გვირაბი საგრძნობლად არ დაზიანებულა. დაუყოვნებლივ შეუდგენ გვირაბის გაწმენდას და დაღუპულთა გვამების ამოღებას.

დაწვრილებითი ცნობები

ბათუმი, 10 მარტი. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება შემდეგ დაწვრილებით ცნობებს აჭარის წყალის ჰიდრო-სადგურზე მომხდარ კატასტროფის შესახებ:

როგორც კი იქნა მიღებული ცნობა კატასტროფის შესახებ, უბედურების ადგილზე ბათომიდან დაუყოვნებლივ გაემგზავრენ მთავრობის წარმომადგენლები, სადგურის ამგებ კომიტეტის თავმჯდომარე და შრომის სახალხო კომისარიატის, პროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ათეულის უფროსმა კიტიევმა, რომელიც ზვავის ქვეშ მოჰყვა, მაგრამ გადარჩა, კატასტროფის შესახებ განაცხადა: 9 მარტს დილის 10 საათზე ქვედა „საფსკერო“ გვირაბის შესავალში, მუშაობის გეგმის თანახმად აფეთქებული იქნა კლდე. აფეთქებული ნაწილი ჩამოინგრა. მუშაობის წესების თანახმად, ჩვენ დაველოდეთ ნახევარი საათი და შედეგების გამოსარკვევად ინჟენერი კალაშნიკოვი, ინჟ. სტალნოვი, მე და ორი მუშა შევედით გვირაბში. გვირაბში შესვლისას ზევიდან ჩამოინგრა ქვები. შემდეგ ერთბაშად ჩამოინგრა მოზრდილი კლდე, რომელმაც ქვეშ მოიტანა ორივე ინჟენერი და მუშები. ათეულის უფროსს კიტაევს, რომელმაც შემთხვევით მოასწრო გადახტომა ჩამოვარდნილმა ქვამ მოგლიჯა ერთი ხელი.

ჩამოინგრეული ნაწილის გათხრა საშიში იყო, რადგან მოსალოდნელი იყო ახალი ზვავის ჩამოწოლა. ინჟენერ კალაშნიკოვის გვამი გამოტანილია გვირაბიდან. გათხრა გრძელდება. გვირაბის შესავალის გასაწმენდავად სწარმოებს მუშაობა. ფიქრობენ რომ ყველანი, ვინც მოჰყვა ზვავის ქვეშ, დაღუპული იქნებიან.

10 მარტს 15 საათამდი გვამები ამოღებული ვერ იქნა ზვავმა დაანგრია ხიდი ქედის გზაზე. გვირაბი არ დაზიანებულა. სპეციალური კომისია აწარმოებს კატასტროფის მიზეზების გამორკვევას. მუშაობა სადგურზე გრძელდება.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

აჭარის - წყალის ჰიდრო-ელექტრო - სადგურის გვირაბის აღმოსავლეთ ნაწილში ზვავის ჩამოწოლის მიზეზების გამოსარკვევად სპეციალური ტეხნიკური კომისიის დანიშვნის შესახებ.

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ქვედა გვირაბის აღმოსავლეთ ნაწილში 1927 წ. მარტის 9-ს ზვავის ჩამოწოლის მიზეზებისა და იმ გარემოების გამოსარკვევად, არის ვინმე დამნაშავე ამ კატასტროფისა და აჭარის-წყალის ჰიდრო - ელექტრო - სადგურის მუშაობის ხელმძღვანელის ინჟ. კალაშნიკოვისა და სხვების დაღუპვისა,—დანიშნულ იქნეს სპეციალური ტეხნიკური კომისია ინჟ. ა. ჯღორჯაძის თავმჯდომარეობით და ინჟ. კარელინისა და ინჟ. შახბუდალოვის შედგენილობით.

აღნიშნული კომისია დღესვე, 1927 წ. მარტის 10-ს, უნდა გაემგზავროს კატასტროფის ადგილას.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი.
ალ. სალარიძე.

1927 წ. მარტის 10
თბილისი—სასახლე.

ინჟენერ ტეხნიკოსთა ყრილობა

მეექვსე დღე

ყრილობის მუშაობის მეექვსე დღეს სხდომა არ შემდგარა; მუშაობდენ სხვადასხვა საკითხების შესახებ არჩეული კომისიები. სალამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი წინადღით მოსმენილი მოხსენებების გარშემო.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

ყრილობის სალამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა.

— ამხანაგებო, მე დავიგვიანე ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო და საშუალება არ მქონდა თავის დროზე გამოვცხადებულიყავი. თქვენს ყრილობაზე და მეთქვა ის, რაც დღეს დაგვიანებით უნდა გითხრათ;—დაიწყო ამხ. ელიავამ.

შემდეგ ამხ. შალვა ელიავა გადავიდა ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციის საჭიროების დახასიათებაზე და აღნიშნა, რომ ეს რეკონსტრუქცია ხდება უცხოეთის ყველა ქვეყნებში. ინგლისის მეშახტეების გაფიცვა და სხვა ასეთი ხასიათის კონფლიქტები მუშებთან, გამოწვეულია მრეწველობის ჩამორჩენილობით. რუსეთის რევოლიუციაც სხვათაშორის იმით აიხსნება, რომ ქვეყნის ეკონომიური ინტერესები მწვავედ დაუპირისპირდნენ რუსეთში მაშინ არსებულ პოლიტიკურ სისტემას.

ამიტომ ამხ. ელიავას აზრით ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციის საკითხი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ უდიდეს მნიშვნელოვან საკითხად. თუ იმპერიალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია გადადის მრეწველობის გადახალისებაზე, იქ ეს პროცესი ატარებს თანდათანობითი ევოლიუციონურ ხასიათს, ხოლო ჩვენში ეს ევოლიუციონური ხასიათი უნდა უარვყოთ და აღნიშნული მუშაობა ჩავატაროთ რევოლიუციონური წესით, დაჩქარებითი ხასიათის წესით.

ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქცია, ორატორის თქმით, არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიული ამავე ხასიათის საქმიანობიდან. ჩვენ გამოვდივართ მუშათა კლასის ინტერესებიდან ხოლო ბურჟუაზია გამოდის საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისიდან. შემდეგ ამხ. ელიავა აღნიშნავს, რომ ყრილობაზე დასმული საკითხებიც სწორედ ამას ადასტურებენ. ჩვენი მრეწველობის გადახალისების საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მუშებისთვის შესაფერი ბინების მოწყობას, ტრანსპორტის გაუმჯობესებას და მთელ რიგ სხვა საკითხებს, რაც ყრილობას აღნიშნული აქვს თავის დღის წესრიგში.

დასასრულ ამხ. შ. ელიავა, აღნიშნავს, რომ ამ მეტად დიდი ამოცანის გადაჭრა შეუძლებელი გახდება, თუ შესაფერ მაღალ კვალიფიციურ ტეხნიკურ პერსონალსა და მუშების მასებს შორის არ დამკვიდრდა მტკიცე თანამშრომლობითი ურთიერთობა და ამხანაგური განწყობილება.

— მე მწამს, რომ ჩვენ თქვენთან ერთად შევსძლებთ ყველა ჩვენს წინ მდგარ ამოცანათა სათანადოთ გადაჭრას და ქვეყნის გარეშე საფრთხეთაგან დაცვასთან ერთად არაფერს დავიშურებთ პროლეტარული სამშობლოს ასაღორძინებლად—დაასრულა ამხ. ელიავამ თავისი სიტყვა.

ყრილობამ „ვაშას“ ძახილით და ოვაციებით გააცილა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

შემდეგ ყრილობაზე კვლავ გაგრძელებულ იქნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ორატორმა.

ა.-კ. ფინკონტროლის მუშაკთა თათბირი

10 მარტს გაიხსნა ამიერ-კავკასიის საფინანსო საკონტროლო მუშაკთა თათბირი. თათბირი მოწვეულია საფინანსო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად ტარდება.

თათბირი გახსნა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. მუსეიბოვმა, რომელიც თათბირს მიესალმა ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს და ფინსახკომის სახელით.

თათბირმა მოისმინა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის ფინკონტროლის წარმომადგენლის ამხ. ლანდეს მოხსენება ფინანსიური კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო ამ საკითხის ისტორიას და დოკუმენტალური რევიზიიდან ფაქტიურ რევიზიაზე გადასვლის მიზეზებს.

შემდეგ მოხსენებას (დებულება სახელმწიფო ფინანსიურ კონტროლის შესახებ) წაიკითხავს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის ფინკონტროლის უფროსი ამხ. არიუტიუნოვი.

თათბირის უმთავრესი მიზანია მისცეს ინსტრუქციები ფინკონტროლის რესპუბლიკანურ მუშაკებს.

ქრონიკა

12 მარტი დასასვენებელი დღეა

საქ. შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით, შაბათი 12 მარტი, თვითმპყრობელობის დამხობის 10 წლის თავი, გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ. წინა დღით 11 მარტს წარმოება-დაწესებულებებში სამუშაო დღე 6 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

სტუდენტების მდგომარეობის გამოკვლევა

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილების თანახმად, სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად სწარმოებს სტუდენტების აღრიცხვა. აღრიცხვაში ვალდებულია გატარდეს ყველა სტუდენტი. აღრიცხვის მიზანია გამოარკვიოს სტუდენტების მდგომარეობა. ანკეტა შესდგება 40 კითხვისაგან, რომლის შევსება საშუალებას იძლევა გამორკვეული იქნეს სტუდენტების მდგომარეობა.

ტყავის მრეწველობა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ტყავის მრეწველობისთვის გამოსადეგ ხეების ჯიშების გამოკვლევას. უმთავრესად გამოკვლეული იქნება შემდეგი ჯიშები: წყავი, თხილი, შინდი და თრიმლი, რომელთა ქერქი იხმარება ტყავის მრეწველობაში. კომისარიატი დაწვრილებით შეისწავლის იმ რაიონებს, სადაც მოიპოება აღნიშნული ჯიშები, რის შემდეგაც იწარმოებს მათი დამზადება.

„შ. მ. ო. ტრანსპორტზე“

თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ფაკულტეტებზე შეტანილია, როგორც საგანი „შ. მ. ო. ტრანსპორტზე“.

ლექციების კითხვა დავალებული აქვს ინჟ. ტერ-ოვაკიმოვს.

განათლების კომისარიატში

◆ **სომხური და თურქული ენების სწავლება.** პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მასწავლებელთა კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა აღნიშნულ ინსტიტუტში შემოღებული იქნას სომხური და თურქული ენების სწავლება.

◆ **ჯარში გაწვეულ მასწავლებელთათვის.** ხელფასის მისაცემად განსახკომმა კომისართა საბჭოსაგან გამოითხოვა 14,625 მ.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ** სამრეწველო ეკონომიურ განათლების დამხმარე კომიტეტში თავის წარმომადგენლად დანიშნა პროფ. შ. ნუცუბიძე.

◆ **პოლიტმინიმუმის ჩატარება** ყველა ფაკულტეტებზე, სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ მიანდო პროფ. კ. კეკელიძეს და კ. სულაქველიძეს.

◆ **აგრონომიულ ფაკულტეტის** მესამე და მეოთხე კურსზე ლექციების წასაკითხად გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტის გამგეობამ მოიწვია აგრონომი როლოვი.

◆ **მასწავლებელთა ხელფასის** დავალიანების დასაფარავად განსახკომი აარსებს სპეციალურ ფონდს.

მიწათმოქმედების კომისარიატში

◆ **თესლეულობა.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა ზემო სვანეთში გაგზავნა ბოსტნეულის სხვადასხვა ჯიშის თესლეული.

◆ **ვაზის სანერგეებიდან** წელს მევენახე უღარიბეს გლეხებს ნისიათ მიეცემათ დამყნილი ვაზის ნერგები.

კრებები და მოხსენებები

◆ შაბათს 12 მარტს საღამოს 8 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ახალ დარბაზში (რუსთაველის გამზირი № 17)) შესდგება ქალაქ თბილისის ექიმთა და კბილის ექიმთა საერთო კრება.

დღის წესრიგში სდგას მოხსენება სრულიად საკავშირო ექიმთა მეოთხე ყრილობის მუშაობის შესახებ. დასწრება სავალდებულოა.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებული არიან შემდეგი პირები: საწარმოო კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: სოფიო ფოცხვერაშვილი, ნინო უშვერიძე, გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ვარშან კოჩაკოვი, ვასილი ცამალაშვილი, ელენე დანჩენკო, კონსტანტინე კუზინოვი, არუთინ ხარატოვი, დიმიტრი ონისკევიჩ, თედორე ივანოვი, ლაზარე ივანე, დიმიტრი გურგენიძე, გამოძახებულია ორი მებაღე: ვაგი კაზარიანი, ნოე ჟვანია.

ამასთანავე, ვინაიდან მაზრებში და განსაკუთრებით ქუთაისის მაზრაში, შემჩნეულია ექიმების ნაკლებობა, შრომის ბირჟაში შეუძლიათ გამოცხადდენ მსურველ ექიმებს შემდეგ ადგილებზე წასასვლელად: ქუთაისის მაზრაში 1) შეკარში (პუნქტი დაშორებულია ქუთაისიდან 45 ვერსით) ჯამაგირი 140 მანეთი, 2) რუხი (ქუთაისიდან 15 ვერსი) ჯამაგირი 150 მანეთი, 3) უბუთი (40 ვერსით ქუთაისიდან) 140 მანეთი, 4) დვალიშვილების თემი (38 ვერ. ქუთ.) 140 მ. 5) გორდი (დაშორებულია 45 ვერსით) ჯამაგირი 140 მ. 6) ცხუნკური (20 ვერსით ქუთაისიდან) 140 მ. 7) ოფურჩეთი (დაშორებულია 12 ვერსით) ჯამაგირი 140 მანეთი, 8) გუბი (16 ვერსით) 100 მანეთი, 9) პატრიკეთი (დაშორებულია 14 ვერსით) 100 მანეთ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება შრომის ბირჟის საექიმო სექციაში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მიგაი და ხტეპანოვა** დღეს იმღერებენ ოპერა „სნეგუროჩკა“-ში.

◆ **მუშათა** თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ნორდ-ექსპრესის უცნობი ქალი“.

◆ **რუსთაველის** თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** პარასკევს კავშირის წევრთათვის გაიმართება კინო-სურათის ჩვენება.

◆ **ავლაბრის მუსიკ. სასწავლებელში** შაბათს, 12 მარტს, დღის 12 საათზე, გაიმართება მოწაფეთა მეორე ღია კონცერტი.

მუშათა ცენტრალური კლუბი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ პირობებში უნდა გადაეცეს მელითონეთა და გემო-კვების კავშირს მუშათა ცენტრალური კლუბი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მუშათა ცენტრ. კლუბს აძლევს 12.000 მან. დოტაციას წელიწადში და გარდა ამისა 5.000 მან. ამ კლუბის რემონტისათვის.

გემო-კვების და მელითონეთა კავშირის ც. გამგეობ. თავის მხრით ხარჯავენ კლუბის შესანახად 10.000 მან. წელიწადში და გარდა ამისა 10.000 მანეთს რემონტისათვის.

დანარჩენი თანხა რემონტისათვის 5.000 მან. გამოთხოვილია აღმასკომიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევები

◆ ბოქლომის გატეხის საშუალებით ყორღანოვის ქუჩა № 13 გაქურდეს გრიგოლ წულაძის ბინა. წაიღეს 117 მ. ნივთები.

◆ წითელ არმიელთა კლუბში არსებულ ჯაკაცპანიანცის საპარიკმახეროდან მოიპარეს 154 მან. ნივთები.

◆ ა. კ. ფინანსთა კომისარიატში 9 მარტს ნინა ლუცენკოს მოპარეს პორტფელი ფულით და სხვადასხვა საბუთებით.

◆ **დაჭრა.** 9 მრტს სადგურის ქუჩაზე ალექსანდრე პაპასკირიამ ხანჯლით მძიმედ დასჭრა საუწყებო დარგის უფროსი მილიციელი სიმონ ზერიძე; დამნაშავე შეპყრობილია.

◆ **უცაბედი მკვლელობა.** 9 მარტს საგარეჯოს სამილიციო რაიონში მწყემსმა არჩილ ნარეკლიშვილმა უცაბედათ თოფით მოკლა გიგა ნარეკლიშვილი.

◆ სოფ. ნორიოში გაქურდეს უფროს ტყისმცველის ვარლამ კოროშენიძის ბინა.

◆ **ქურდი ქალი.** 9 მარტს ყვირილის ქუჩა № 12 ლევანდოვსკის ბინიდან ნინა ციზმარაშვილმა მოიპარა ფული და სხვადასხვა ნივთები და მიიმალა.

◆ ამავე დღეს ველიამინოვის ქუჩა № 13 გაქურდეს გლაფირა კრონშტეინის ბინა. წაიღეს 100 მ. ნივთები.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 9 მარტს გრიბოედოვის ქუჩა № 5 გაქურდეს ბიქტორ ბეკენის ბინა.

მსხვილი ქურდობა

გუშინ საღამოს მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს **ელისაბედ გეგეჭკორის** ბინა (ლერმონტოვის ქ., № 29); წაიღეს დაახლოვებით 600.000 მანეთის ნივთები.

რკინისგზეზე

ნავთის პროდუქტების ექსპორტის გადიდება.

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო ს. მ. ე. საბჭოს და ნავთის სინდიკატს გზათა მიმოსვლის კომისარიატისათვის წარუდგენიათ ახალი მოთხოვნილება საექსპორტო ნავთის გადაზიდვაზე.

თანახმად ამ მოთხოვნილებისა, მიმდინარე საოპერაციო წელში სინდიკატს განზრახვა აქვს ყოველ დღე-ღამის განმავლობაში გაიტანოს 330—390 ცისტერნამდე ნავთის პროდუქტები. მომავალ წელს კი ეს ნორმა გადიდებულ უნდა იქნეს 450 ცისტერნამდე.

ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობას მიიღოს ზომები გზების გატარებითი უნარიანობის გასადიდებლად.

ტილო.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობა იძენს 75.200 მეტრ ტილოს. ტილო საჭიროა ნავთსადენის მილებზე შემოსახვევად. ტილოს მთელი რაოდენობის შეძენა დაჯდება 45.120 მანეთად.

„ბავშვების ცელქობა".

გუშინ ბოსლევ-რკვიას ხაზზე ლიანდაგს ასცდა 6 დატვირთული და 9 ცარიელი რონოდა. მიზეზი ამ შემთხვევისა არის ბავშვების ცელქობა, რომელთაც ლიანდაგზე დაეწყოთ ქვები.

ბ რ ძ ო ლ ა

ვენერიულ სნეულებასთან

ჯანმრთელობის კომისარიატმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვენერიულ სნეულების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს ბორჩალოს მაზრაში, სადაც ვენერიული სნეულება საგრძნობლათაა გავრცელებული და მოსახლეობა სათანადოთ ვერ ებრძვის მას კულტურული ჩამორჩენილობის გამო. კომისარიატი ბორჩალოს მაზრაში აგზავნის ვენერელოგიურ სექციის გამგეს აქ. ბურიძეს, რომელსაც დავალებული აქვს საჭირო ხელმძღვანელობა გაუწიოს ჯანმრთელობის ადგილობრივ დაწესებულებებს და განსაკუთრებით ვენერიულ დისპანსერს, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ გაიხსნა ბორჩალოს მაზრაში. საერთოდ ჯანმრთელობის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს წელს განსაკუთრებ. ზომები მიიღოს ვენერიულ სნეულებების წინააღმდეგ მთელ რესპუბლიკაში.

რემედასში

5 თვის სამუშაო გეგმა.

რემედასის პრეზიდიუმმა შეიმუშავა რემედასის უჯრედებისათვის და კომიტეტებისათვის ხუთი თვის სამუშაო გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის სამუშაონი, რომელიც უნდა ჩატარდეს 1-ლი თებერვლიდან 1-ლ ივლისამდე.

კომისიების დაარსება.

რემედასის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა საორგანიზაციო, სააგიტაციო და საფინანსო კომისიები. კომისიების დაარსების მიზანია მუშაობის გამოცოცხლება რემედასის ყველა ორგანოებში.

ბიულეტენის გამოცემა.

ახლო ხანში დაიწყებს გამოსვლას რემედასის ბიულეტენი. ცეკასთან დაარსდა სპეციალური სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დავალებული აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას.

ცეკას გაფართოვება.

რემედასის ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმში მიღებულია ახკომკავშირის ცეკას, პროფსაბჭოს, ს. კ. პ. ცეკასთან არსებულ ქალთა განყოფილების და ქართ. დივიზ. პოლიტგანყოფილების წარმომადგენლები.

ხორცის ბაზარზე

უკანასკნელ ხანებში თბილისის ხორცის ბაზარზე ადგილი აქვს ხორცზე ფასების აწევას. კერძო სავაჭროებში გირვანქა ძროხის ხორცის ფასი აღწევს 40 კაპეიკს, ხოლო კოოპერატივებში 30 კაპეიკია. ფასების აწევა ხორცზე აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადგილობრივი საქონელი სიმჭლევის გამო გამოუსადეგარია საკლავად და ამასთანავე ნაკლები რაოდენობითაც შემოდის ბაზარზე.

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსის" გამსაღებელი პუნქტი იღებს ზომებს ხორცის ბაზარზე კრიზისის შესანელებლად, მას აქვს დადებული ხელშეკრულება ჩრდილოეთ-კავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, საიდანაც გამსაღებელი პუნქტი სისტემატიურად მიიღებს საკლავ საქონელს.

კინო

ნაბიჯი უკან ანუ „თავადის ასული მერი"

როცა „თავადის ასული მერი"-ს უყურებ, ძალაუნებურად ეკითხები შენს თავს: როგორია მიდგომა და გაგება ლერმონტოვის გმირის რეჟისორის მიერ. არის ამ მიდგომაში რაიმე თანამედროვე, ჩვენი დროისა და ეპოქის დამახასიათებელი? რეჟისორი არ სდევს „ჟამთა სვლას". „ბავშვობისას მოგვითხრობს რეჟისორი, როცა ყველანი გატაცებით ვკითხულობდით ლერმონტოვს, პეჩორინი იხატებოდა როგორც მეფისტოფელი, ან ბაირონი, ან კიდევ ისეთი, რომელიც თავის გარეგნობით ლერმონტოვს მოგვაგონებდა". როგორც სჩანს, რეჟისორს იმ თავითვე, ბავშვობისასაც მდიდარი ფანტაზია ახასიათებდა თუ კი მას ლერმონტოვი გარეგნობით მეფისტოფელის მსგავსად ესახებოდა. ეს ბავშვური სუმბური როგორც სჩანს მას ეხლაც არ გამოსვლია თავიდგან. რაც შეეხება პეჩორინის შინაგან ბუნებას და ხასიათს, მას ის, მისივე თქმით აუღია „ერთ განსაზღვრულ სახეობაში". ამ „განსაზღვრულ სახეობით" კი ჩვენ წინ სდგება არა ლერმონტოვის მიერ მოსახული პორტრეტი, რომელშიც მისივე თქმით თავმოყრილია ნაკლულევანებანი მთელი თაობის მთელ მის განვითარებაში, სახე „უდროობის გმირის", „ზედმეტი ადამიანის", „მკვდარი გულისა და გამშრალი გრძნობების, მოწყენილ ადამიანის", არამედ მართლაც მოსაწყენარი, ტრივიალური ფიგურა წვრილფეხა „ლაველასი"-ს, რომელიც იმის ფიქრით, რომ მეორე დღეს ვერას შეხვდება, სიხარულისაგან ცქმუტავს და ტუჩებს ილოკავს. მთელი მოთხრობიდან, რომელიც ავტორის აზრით უნდა ყოფილიყო მთელი ეპოქის და თაობის ცხოვრების სარკე, რეჟისორს შერჩენია მისი ბულვარულ რომანტიული ინტრიგა, ლერმონტოვის გმირის ტექსტის ასეთ პრიმიტიულ გაგების პირობებში ზედმეტია ლაპარაკი მისადმი კრიტიკულ მიდგომაზე, რაიმე სოციალურ ალღოზე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და თაობათა ანალიზზე, დანარჩენი პერსონაჟიც ამ საერთო ბულვარულ-რომანტიულ სულისკვეთებაში არის შერჩეული (გამოიყოფა მხოლოდ თაყაიშვილი და ბელეცკაია). ბნელი, დანისლული კადრები მოსაწყენარად მისდევენ ერთმანეთს, სურათს „აცოცხლებს" მხოლოდ არაორაზროვანი, „მგრძნობიარე" სცენა პეჩორინის და ვერას პაიმანისა. როგორც მხატვრულის, ისე იდეოლოგიურის თვალსაზრისით ეს ფილმი დიდი ნაბიჯია უკან სახკინმრეწ[illegible]ში.

შხეფი.

ბიბლიოგრაფია

ხარიტა. რომანი ლევ გუმილევსკის.

(სახელგამი. 1926 წ. თარგმანი ხოც. ალზრდის მთავ. სალ.-სამხ. სექციის რედაქციით)

ეს რომანი გვიხატავს უპატრონო ღარიბ დაძმის თავგადასავალს და მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იპოვეს ამ ბავშვებმა „კარლ მარქსის" საოცნებო ქალაქი.

ბავშვები გარბიან ვოლგის მხარიდან საშინელ შიმშილობის დროს. თავიანთი ხეტიალის დროს ისინი სასარგებლო საქმესაც აკეთებენ. მათი შემწეობით რამოდენიმე საზიზღარი ბოროტმოქმედება აშკარავდება. ბოლოს შემთხვევით წააწყდებიან შიმშილობის დროს დაკარგულ თავიანთ მამას და ბრუნდებიან შინ კმაყოფილნი და ახალ სოციალისტურ ცხოვრებისათვის მომზადებულნი. ის, რის საძებრადაც წავიდენ პატარა ქალი ხარიტა და მისი ძმა, ე. ი. ფანტასტიური „კარლ მარქსის" ქალაქი მართლაც აღმოაჩინეს. სახლში დაბრუნებისას ცდილობდენ თავიანთ სოფლებშიაც აეშენებიათ ასეთი „ქალაქი", ე. ი. შემოეღოთ მანქანები, ტრაქტორები, გლეხთა არტელები, კომუნები და სხვ.

აი მოკლედ ის, რასაც აგვიწერს რომანი. ფაბულა კარგია და მოთხრობის მთავარი კვანძი მოხერხებულად იშლება ყოველ წვრილმანებში. მშვენივრადაა გადმოცემული ახალი ყოფაცხოვრება როგორც ქალაქის, ისე სოფლის, მეტი სისწორით არის ასახული რევოლუციისაგან „გარიყული" ტიპები, რომლებიც ხვდება ამ ბავშვებს თავიანთ ბრძოლის გზაზე. თვით ბავშვების თავგადასავალი და მათ მიერ უცნაური ქალაქის ძებნა არ არის ინტერესს მოკლებული. გულწრფელობით და მხატვრული სისწორით იძლევა ავტორი ზოგიერთ შესანიშნავ მომენტებს. უპატრონო ბავშვთა ფსიქოლოგიაც მისი ერთგვარი თავისებურობით საკმაოდ გადმოცემულია. რაც შეეხება იდეოლოგიურ მხარეს, ესეც რომანში სათანადოთაა დაცული. უბრალო გასაგები ენაც და მიმზიდველი ფორმა მისაწვდომი და დამაინტერესებელია არა მარტო მკითხველ ბავშვთათვის, არამედ დიდებისათვისაც.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ღირსებათა, უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლიც, რომელსაც შეუძლია მოზარდ ბავშვებზე თავისებური უარყოფითი გავლენა იქონიოს. რომანი ზოგან იძლევა, თითქოს მეტი ეფექტისათვის, ერთმანეთში გადახლართულ საშინელ შემთხვევათა გროვას, საიდანაც ყოველთვის ბედნიერად და უვნებლად გამოდიან ყმაწვილი გმირები. განსაკუთრებით გადაჭარბებულია ეს „თავგადასავლური" მოვლენები პატარა ქალის ხარიტას ცხოვრებაში, რასაც, ცოტა არ იყოს, ე. წ. „приключенчество"-ს მსგავსი მიდრეკილება ემჩნევა.

ყველაზე უფრო ეს ლიტერატურული სენი იტაცებს ყმაწვილებს და შესაფერ გამოძახილსაც პოულობს მათში. ინტრიგებით და სხოცარი შემთხვევებით აღსავსე თავგადასავლით საზრდოობს თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნების განებივრებული მკითხველის ფანტაზია. ჩვენს პირობებში მათი მიბაძვა და ასეთი ტენდენციების გადმოტანა ჩვენს ხელოვნებაში, არ არის დასაშვები. გარდა ამისა, როცა ავტორი უპატრონო მოხეტიალე ბავშვების ყოფაცხოვრებას ეხება, თითქოს აღტაცებით მოგვითხრობს ძათი ცუღლუტობის შესახებ, როგორც, მაგალითად, რონოდების ქვეშ ყუთებში მოგზაურობა, თავშესაფარიდან გაქცევა, ძარცვა-გლეჯა და სხვა.

აქ საჭირო იყო სულ სხვაგვარი მიდგომა, მაგრამ ალბათ ავტორი აქაც „თავგადასავლურმა" ენტუზიაზმა გაიტაცა. ამ მხრივ წიგნი ჰკარგავს რამდენიმედ იმ აღმზრდელობითი მნიშვნელობას, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ბავშვთა ლიტერატურაში. საერთოთ ჩვენ ღარიბნი ვართ ორიგინალური ქართული საბავშვო ლიტერატურით, რასაც განსაკუთრებულ სიმწვავით გრძნობენ ჩვენი ახალი სკოლები. ამიტომ, სახელგამის ცდას, რომელიც მიმართულია რუსულ თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის გადმოქართულებისაკენ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ.

პლებეის ქალი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის ქირის შესახებ

ხაანგარიშო წიგნაკი № 128-ს.

პასუხი

ბინის ქირად თითოეულ კვადრატ. მეტრზე, თანახმად ახალი საბინაო ტარიფის მუხ. 5-ისა, 1926 წ. პირველ ნოემბრიდან გადაიხდით მხოლოდ თქვენი ძირითადი ხელფასის (81 მან. და 68 კ.) მიხედვით—რვა კაპეიკს.

რკინის გზის პროფკავშირის წევრს

(წიგ. № 15—716)

პასუხი

ბინის ქირას გადაიხდით მხოლოდ თქვენი ძირითადი ხელფასის მიხედვით და საცხოვრებელ ფართობის თითოეული კვადრატიულ მეტრზე, თვიურად გადაგხდებათ, როგორც თვიურად 49 მან. და 45 კაპ. მიმღებს, თერთმეტი კაპეიკი (11 კაპ.)

მკვდარი ბავშვის მშობელ დედას დამზღვევ სალაროდან მიეცემა თუ არა ბავშვის მოსავლელი ერთდროული დახმარება

ჩაქვის მცხ. დაზღვეულს ის. ულენტს.

პასუხი

მკვდარი ბავშვის მშობელ დედას დამზღვევ სალაროდან მიეცემა ბავშვის მოსავლელი ერთდროული დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მკვდრად დადებული ბავშვი უკვე მეცხრე თვისაა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვეულს მიეცემა მხოლოდ ბავშვის დასამარხი დახმარება.

პენსიის დანიშვნის შესახებ

ამხ. გიორგი ხურციძეს

პასუხი

ქვრივ-ობლებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ საქართველოს სოციალურ ურუნველყოფის სახ. კომისარიატს, რომელსაც უნდა წარუდგინოს სათანადო საბუთები და ცნობები იმის შესახებ, თუ როდის, სად და რა მიზეზით მოკლულ იქნა თქვენი ძმა, რამდენი წელი მუშაობდა იგი, რა თანამდებობაზე, რამდენს იღებდა თვიურ ხელფასს, ვინ ითვლებოდა მის კმაყოფაზე მის სიკვდილამდე; ამ უკანასკნელის მატერიალური მდგომარეობა და სხვ. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადასტურებული.

ყოფილ მემამულეს აქვს თუ არა უფლება მისცეს მიწა იჯარით

სოფ. მუხურის მცხ. ბერაიას

პასუხი

თანახმად მიწის კოდექს. მუხ. 26-ისა (კარი 2) მიწის იჯარით გაცემის უფლება ყოფ. მემამულეზე არ ვრცელდება. იგი მიწას იჯარით ვეღარ გასცემს.

სოფ. ქარდანახის მცხ. კოლია ნაცვლიშვილს

პასუხი

თქვენი საადგილ-მამულო უფლებათა აღსადგენად გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო კოლეგიას, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ისა.

კავშირის წევრს (წიგ. № 97819) გიორგი სოლ. ქვირკველიას

პასუხი

ვინაიდან თქვენ იყავით დაპატიმრებული ადმინისტრატიული წესით, რაშიც არავითარი ბრალი თქვენს ადმინისტრაციას არ მიუძღვის და თქვენ წინააღმდეგ ბრალდება წამოაყენა სამხედრო უწყებამ და არა თქვენ ადმინისტრაციამ. ამისათვის შესაძლებელია თქვენი ადმინისტრაცია შემფასკომთან შეთანხმებით სრულიად განთავისუფლებულ იქნეს გაცდენილ დროის განმავლობაში თქვენთვის ხელფასის მიცემიდან (იხ. ა. კ. შრომის სახკომატის შრ. კან. კოდექს. მუხ. 47-ის აბზ. „ე"-ს 1925 წ. 16 იანვრის განმარტების მეოთხე მუხლის მეორე აბზაცი).

საშვებულებო კომპენსაციის შესახებ

ამხ. სერაპიონ ბერაზიშვილს

პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვებიდან სჩანს, წარსულ წელ სთქვენ გიმსახურიათ 5 ნახ. თვის განმავლობაში და გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციოდ მიგიღიათ ნახევარი თვის ხელფასი. აქედან ცხადია, რომ თქვენთან სწორადაა ანგარიში გასწორებული. (იხ. შრომის კანონთა კოდ. მუხ. 114 და 91).

სწავლის ფულის გადახდის შესახებ

შრომის ინვალიდს № 611.

პასუხი

სწავლის ფულის გადახდიდან განთავისუფლების შესახებ მიმართეთ სათანადო შუამდგომლობით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 21

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 203-1 მუხ. მე-2 ნაწ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხ. რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 202. განზრახი განადგურება ან დაზიანება სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თუ კერძო პირის ქონებისა მათ შორის ელექტრო-გამტარისა, კავშირგაბმულობის საშუალებისა და სხვ., გამოიწვევს—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

იგივე მოქმედება უკეთუ იგი რამდენჯერმე ჩადენილი ან უკეთუ მას შედეგად მოჰყვა წარმოების შეჩერება თუ შეწყვეტა, ან სახელმწიფოსათვის სხვა რამ მძიმე ზიანის მიყენება; გამოიწვევს—თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

2

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 203-1 მუხ. მე-2 ნაწილ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 203-1 ნაწ. 2: უკეთუ ელექტროგამტარის გაუფრთხილებლობით დაზიანებას შედეგად მოჰყვა მისი შეჩერება ან მოქმედების შეწყვეტა და დაზიანება გამოწვეული იყო გამაფრთხილებელი წესების შეგნებული შეუსრულებლობით,—სოციალურ დაცვის ღონისძიება შეიძლება აწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე ვადით არა უმეტეს ერთის წლისა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმას. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახალ. კომისართ. საბ: თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქარ. საბჭოთა ცენტრ. აღმასრ: კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერ. 21.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ.) შესდგება მასწავლებელთა უჯრედის (მეოთხე რაიონის) საერთო კრება.

სავალდებულოა უჯრედის ყველა წევრების დასწრება აღნიშნულ დროისათვის.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოლიტეხნიკური ფაკ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს თავის წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, 11 მარტს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამავე ფაკულტეტის უჯრედის სხდომა. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახ. უნივერსიტ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს ბიურო-კოლექტივის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 11 მარტს, დილის 11 საათზე, მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. აგრეთვე საჭიროა პარტიაში გადასარიცხად და კომკავშირში მისაღებ ამხ. გამოცხადება აღნიშნულ დროზე შემდეგი ამხ.: გაბელაია კონსტანტინე, რუსაძე ანდრო, კაპანაძე გრიგოლ და კიკვაძე პოლიკარპე.

დღეს, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია სოც.-ეკონ. ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება წევრთათვის აუცილებელია. აგრეთვე უნდა გამოცხადდეს შემდეგი ამხანაგები: ერქომაიშვილი აკაკი, ფოცხიშვილი თამარა, მგელაძე ს., ცქვიტინიძე შალვა, ქართველიშვილი ვარლამ, გუგუშვილი ივანე, სუპატაშვილი ერასტი, გიორგაძე შალვა, ლაზარეიშვილი აბრამ და კვანტალიანი ვლადიმერი.

დღეს, 11 მარტს, საღამოს 8 საათზე, მოწვეულია სახ. უნ. სოც.-ეკ. ფაკ. არს. ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა დაუგვიანებლად სავალდებულოა.

ს.კ.პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო პარტკომში შემოტანილი აქვთ განცხადება ქვემოთ სიაში აღნიშნულ პირთ—კ.პ. ჩარიცხვის შესახებ, რისთვისაც ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს და იმ პირთ, ვისაც აქვთ რაიმე უარყოფითი მათი პარტიაში ჩარიცხვის შესახებ—წერილობით ან სიტყვიერად აცნობონ სააღრიცხვო ქვე-განყოფილებაში

სია იმ პირთა, რომლების ანკეტები გაირჩევა 1-ლ აპრილს.

1. კუხიანიძე გუგული მინას ასული, 2. შანიძე ნიკო გიორგის ძე, 3. ლაღიძე მიხეილ სპირიდონის ძე, 4. მუშკუდიანი შალვა სამსონის ძე, 5. გაგოშიძე კონსტანტინე ლუკას ძე, 6. ლორია დიმიტრი ნიკოს ძე, 7. საბლია გრიგორი ვასილის ძე, 8. ლორთქიფანიძე ლიდა ალექსანდრეს ასული, 9. მიქელაძე გრიგორი მიხეილის ძე, 10. თევზაძე ნიკოლოზ ბეჟანის ძე, 11. კლიავინ თედორე რომანის ძე, 12) რობაქიძე დავით ნესტორის ძე. 13) გოგიშვილი აკაკი მიხეილის ძე, 14. ოდილავაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, 15. ლორთქიფანიძე ვლადიმერ ევგენის ძე, 16. კობახიძე ბაბუცა ბავრატ. ას., 17) გაბრიაძე ალექსანდრე ლევანის ძე 18) ცირეკიძე ლადიკო ივანეს ძე, 19) ბაზუხადია რომანოზ სიმონის ძე, 20. სანაძე შალვა ბართლომეს ძე, 21. ნანიკაშვილი თეიმურაზ პორფირეს ძე, 22. კახაძე სევერიანე ივანეს ძე, 23. გაბედავა ალექსანდრე ისიდორეს ძე. 24. ლარჩავა სიმსონ პავლეს ძე, 25. ტყეშელაშვილი ტიმოთე დავითის ძე, 26. დახუნდარიძე გალაქტიონ ონისიმეს ძე, 27. ფორჩხიძე გერასიმე ფილიპეს ძე, 28. ცირეკიძე ვლადიმერ ესაიას ძე, 29. მსხილაძე ნესტორ სტეფანეს ძე, 30. ტულაშვილი ალექსი პეტრეს ძე, 31. დაშნიანი ივანე სოლომონის ძე, 32. ცეცხლაძე გერასიმე პავლეს ძე, 33. ღვინერია ნინა ზურაბის ასული, 34. ფოცხვერია ალექსანდრე ანდრიას ძე, 35. პაპავა ვლადიმერ ისიდორეს ძე, 36. მაჩიტაძე სიმონ ლუკას ძე, 37. ადამია ლავრენტი ალექსის ძე, 38. სხვედიანი ერმალოზ პავლეს ძე, 39. პაპავა სერგო გაბრიელის ძე, 40. მიმინოშვილი შალვა ნიკოს ძე, 41. გულდიდავა ნიკოლ. თომას ძე, 42. მესხიშვილი ალექსანდრე ლეონტის ძე, 43. ლაიძე მიხეილ გიორგის ძე. 44. ახობაძე ნინო ვასილის ასული, 45. ბახტაძე დავით სერაპიონის ძე, 46. ციბაძე ქსენია ექვთიმეს ასული, 47. ბუმბუკეიშვილი გალაქტიონ ფილიპეს ძე, 48. წაქაძე გრიგოლ ეზაკიას ძე, 49. გეწაძე დავით ანტონის ძე, 50. კაპანაძე გიორგი გედევანის ძე,

---

9 მარტს სოფელ მუჯირეთში ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სოფიო ალმასხანის ასული ჩიქვილაძისა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს შვილები: ანნა, ზოტიკე, სიმონ, გრიშა და სერაპიონ; რძლები: ელენტი, ბარბალე, მარიამი და ნიოლინა; შვილიშვილები: იულია, ელენა, სერაფიმა, მარგალიტა, თამარი, შალვა, სერგი, პეტრე და მიხეილ ჩიქვილაძეები, ირაკლი მოთაძე და სიძე ვარლამ ვერულაშვილი, დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 მარტს, სოფელ სკანდის მთავარ ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე. (ე)

ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს თანამშრომლები გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ ქ. ქუთაისში ა. წ. 9 მარტს, [illegible] დაიცვალა

ეფროსინე ზურაბის ასული კუჭაიძისა

2033

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ბიქტორ, დავით, ავდოტია და გრიგოლი, რძლები ანა, ფედოსია და ანტონინა, და დები მაკრინე და ეპრაქსია აუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 9 მარტს, უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ეფროსინე ზურაბის ასული კუჭაიძისა

გამოსვენება მოხდება 13 მარტს, ქალ. ქუთაისში ახალ-გელათის ქ. სახლი № 3 და დასაფლავება მწვანე-ყვავილის მთავარ-ანგელოზის სასაფლაოზე. ნ. 799 2—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დავითი, შვილები ვახტანგი და ლადო, რძლები: ბარბარე და ქანიკო, შვილიშვილები: ზიზიკო და ლამარა იუწყებიან, რომ 8 მარტს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

ელისაბედ გიორგის ასული გუდიაშვილისა

პანაშვიდი პარასკევს 11 მარტს, 6 საათზე რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში. გამოსვენება იქიდანვე შაბათს, 12 მარტს, 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2018

ღრმათ დამწუხრებულნი მაზლის ცოლები: ელენე და ნადია, მაზლისწულები: გიორგი, გიგუცა, ვანო, ნიკო, მიხეილი ოჯახითურთ, იოსები და ოლღა გუდიაშვილები, მული ნინო და სიძე ნიკოლოზ ავალიშვილები ოჯახითურთ, ძაზლისწულები: ზინა ბაევისა, თამარ ახმეტელისა, სოფიო ზვერინცევისა და მარიამ ცუცქირიძისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 8 მარტს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ელისაბედ გიორგის ასული გუდიაშვილისა

პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე, რკინისგზის საავადმყოფოს სამლოცველოში. გამოსვენება შაბათს, 12 მარტს, დღის 4 საათზე, რკინისგზის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 2026

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ახდრო ლევანის-ძე, რძალი ცაცუ რაქდების ასული, ძმისშვილები: კირილე მეუღლით (ლიუბა), მიშა და გრიგორი აფაქიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ

მიხეილ (მიხა) ლევანის-ძე აფაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე დანიშნულია 20 მარტს, 4 საათზე. სოფელ ფახულანში, (ზუგდიდის მაზრა). 2095

თავზარდაცემულნი და დამწუხრებულნი და ტერეზა სპირდონის ასული, ძმა შერმანდ სპირიდონის-ძე, რძლები: დარიკო კონსტანტინეს ასული და თამარ ზოსიმეს ასული, ძმისშვილები: დავითი, ბარნაბ, ელენა, ალექსანდრა და მარიამი, ძმისშვილისშვილები: ოთარი და მედიკო ნიკოლაიშვილები—ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 9 მარტს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველი ორის და, მეორენის მული და დანარჩენის დაუვიწყარი გამზრდელი მამიდა

ელისაბედ სპირდონის ასული ნიკოლაიშვილი

გასვენება სოფელ საჭილაოში, 13 მარტს. ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა ილორის სასაფლაოზე. 2029

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 12 მარტს ან. გლებოვის **ზაგმუკ** (ყეენობა ბაბილონში)

ისტორიული დრამა 5 მოქმ. 6 სურათ. თარგ. ს. შანშიაშვილის

მუსიკა: **იონა ტუსკიასი.** დადგმა: **ალ. ახმეტელის**

დეკორაციები და კოსტიუმ. მხატვარ ირ. გამრეკელის

კვირას, 13 მარტს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით

დადგმა: **ალ. ახმეტელის.** მხატვარი: **მ. შავიშვილი.**

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი **ალ. ახმეტელი.**

3—1 ნ. 797

ცირკი

ძმ. ტანტების

ტელ. 16—67

წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!

1—2 ნ. 786

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

დღეს, 11 მარტს

პაროდიულ დადგმების, განსაკუთრებული, საინტერესო სანახობანი მეოთხეთ ლეო ტანტის პაროდია

„შეთქმულება დედოფლის შეთქმულებაზე"

მონაწილეობს მთელი დასი. რასპუტინის როლში ლ. ტანტი.

გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი

პარასკევს, 11 მე-40 დღე

ერტნერ—ბულ | ვანდეიკ—კოზირიოვი

კრილოვი—იაუნზე | ბორისოვი—სუტიაგინი

ადმ. ხელმძღვანელი **მ. ი. ტადე.**

აპოლლო ტელ. 7—61.

არფასტო ტელ. № 19—22.

სოლეი ტელ. 20—44.

დარბაზი ტელ. 14—03.

0—9 ნ. 748

დღეს და ყოველდღიურათ

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

„თავადის ასული მერი"

ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის" ციკლიდან

დადგმა ვ. ვ. ბარსკის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი.

უკანასკნელად თბილისში, საინტერესო კინო-რომანი

„კაბირია" 2 სერიად 10 ნაწილად. მთავარ როლში მაცისტი. 2 სერია ერთად

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 15 მარტს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 ამალლების ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვალენტინ მურომცევის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, ხალიჩებს და სხვ. შეფასებულს 260 მანეთად, შავი ქვის წარმოების სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან ნოემბრის 1926 წ. თარიღით, № 5682 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2021

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს რომ ის 16 მარტს 1927 წ. დღის 1 ს. გოგოლის ქ. № 56, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ზაქარია თოიძის მოძრავი ქონებას: შკაფებს, მაგიდებს, სკამებს, კამოდს, ლამფებს, კრაოტებს, ფარდაგებს, სარკეებს, კედლის საათს, ფარდებს, შევიოტის ტანისამოსს, ჭურჭლეულობას, ვედროებს, საანგარიშოებს და სხ. შეფასებულს 639 მან., დასაკმაყოფილებლად რექტიფიკატორის და სხვებისას. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2032

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

დაინტერესებულ პირთ

შეუძლიათ სისვებით შეითვისონ 2—3 თვის სისტემატიური მუშაობით სრული კურსი (თეორია და პრაქტიკა)

ბუღალტერიისა: საქარხნო, სავაჭრო ან საბიუჯეტო დარგები

მეკადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე სურვილისამებრ—კერძოთ ან ჯგუფში. პირობების გაგება შეიძლება ი. ცირგილაძესთან საღ. 6—8 საათამდე—რუსთაველის გამზ. № 18 მესამე სართული—ტელეფონი № 5—40. ნ. 802 10—1

ს.ს.ს.რ.კ. სახვაჭრკომის ბრძანებით № 363, 1927 წლის 31 იანვრის თარიღით,

დაწესებულია დაღაღვა საზღვარ გარეთელ ფოტოგრაფიულ გასრების

(пленки) და აგრეთვე საღებავების ორიგინალურ ხვეულებებში წონით 1 კილოგრამამდე, რომლებიც იბაჟებიან საბაჟოს ტარიფის (ძველი) 135 მუხლით.

ამის გამო. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი და პირნი, რომელთაც აქვთ საზღვარ გარეთელი ფოტოგრაფიული გასრები და საღებავები (ორიგინალურ ხვეულებებში) ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, წარადგინონ მახლობელ საბაჟოში ხსენებული გასრები და საღებავები დასადაღავათ სათანადო განცხადებასთან ერთად, რომელსაც უნდა ახლდეს საბუთები ამ საქონლის საზღვარ გარეთიდან შემოტანის და მასზე ბაჟის გადახდის შესახებ.

აღნიშნულ ვადის შემდგომ, თუ აღმოჩნდა საზღვარ გარეთელი ფოტოგრაფიული გასრები და საღებავები უდაღოთ (უბანდეროლოთ), ასეთები იქნებიან კონფისკაცი ქმნილი, როგორც კონტრაბანდა.

მთავარ საბაჟო სამმართველოს ა.-კ. განყოფილება.

ნ. 791 3—1

1927 წ. 17 მარტს, დღის 12 საათზე მე-7 უბნის სალიანდაგო დარგის ანგარაში სად. ნავთლუღში

დანიშნულია

შეჯიბრება სამი თვის ვადით იჯარით გაცემა ხრამის კარიერის ხრეშის შემზადება და რონოდებზე დატვირთვა 500 წესვრცივი საჟ. დახურული კონვერტები ფასის განცხადებით უნდა იქნას გადმოგზავნილი ფოსტით ან ჩაგდებული სპეციალურად გაკეთებულ ყუთში მოთავსებული უბნის ანგარიში. ნ. 804

წიგნების გამომცემელი და გამავრც. ქართველთა საზოგადოების

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს ხსენებული საზოგადოების კრედიტორების საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისის დღეიდან ერთი თვის განმავლობაში ე. ი. ა. წ. 10 აპრილამდე, რომლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება. (კომინტერნის ქ. (სასახლის), № 5.

2016 სალიკვიდაციო კომისია.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მომარაგების უფროსის **სამმართველო**

აცხადებს, რომ ამა წლის 20 მარტს, დღის 12 საათზე სამხედრო-საალმშენებლო განყოფილების შენობაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა, 10) დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარის ნაწილებისა და სამმართველოებისათვის 1927 | 28 საოპერაციო წელში შეშის მიწოდებაზე 9.000 კუბ. საჟ. რაოდენობით: აქედან საქართველოში უნდა დამზადდეს და ჩაბარდის—5150 კუბ. საჟ. აზერბეიჯანში—1925 კუბ. საჟ. და სომხეთში—1925 კუბ. საჟ.

შეშის ყველა აღნიშნული რაოდენობის მიწოდება შეიძლება როგორც ცალკე რესპუბლიკებისა და გარნიზონების მიხედვით მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

განცხადებებში ზეპირ ვაჭრობაზე აღნიშნულ უნდა იქნას:

1. ჩვეულებრივი ჯიშის შეშის ღირებულება ერთი კუბ. საჟ. ფრანკო-ყაზარმით და დატვირთვის ადგილის (რკინის გზის სადგურის) აღნიშვნით სარკინისგზო ფრახტის ღირებულების გარეშე, რომელსაც ცალკე გადაიხდის სამხედრო უწყება.

2. ჩვეულებრივი ჯიშის შეშის ღირებულება 1 კუბ. საჟ. ფრანკო-ვაგონით დატვირთვის სადგურზე; დატვირთვის ადგილის აღნიშვნით.

3. დამზადების დანარჩენი პირობები: შეშის ჯიში, რაოდენობა და სხ.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა სამხედრო-საალმშენებლო განყოფილებაში დაბეჭდილ კონვერტებში წარწერით: „საჯარო ვაჭრობისათვის კავკასიის წითელდროშოვან არმიისათვის შეშის მიწოდებაზე 1927 | 28 წელში" უნდა წარმოადგინონ:

1. საჯარო ვაჭრობაში მონაწილის პირადობის მოწმობა;

2. ქვითარი საკავშირო სახელმწიფო ბანკში შეტანილ ბესი 10 პროც. რაოდენობით მიწოდების საერთო ღირებულებიდან;

3. ხელწერილი ხელშეკრულების დადებაზე იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული იქნება შეძლეული ფასი.

სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები. თავისუფლდებიან ბეს შეტანისაგან.

დაწესებულებათა სახელით ვაჭრობაში მონაწილე პირებს თან უნდა ჰქონდეთ დაწესებულების რწმუნება ვაჭრობაში მონაწილეობაზე.

ზეპირ ვაჭრობაში მონაწილენი ვალდებული არიან შეასრულონ ყველა ზემოჩამოთვლილი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნებიან დაშვებული ვაჭრობაზე.

დამზადების საერთო პირობებთან გაცნობა შეიძლება სამსახურის საათებში: თბილისში სამხედრო-საალმშენებლო განყოფილებაში და საუბნო ინჟინერების კანტორებში ქალ. ბათომსა, ქუთაისსა, ბაქოსა, განჯასა, ერევანსა და ლენინაკანში.

კავ. წით.-დრ. არმიის მომარაგების უფროსის სამართველოს სამხედრო-საალმშენებლო განყოფილების უფროსი—სამხ. ინჟ. **კონოვალოვი** ნ. 798

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 14 მარტს 1927 წ. დღის 3 საათზე სახლში № 29 ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნიკოლოზ რონიშვილის მოძრავ ქონებას სხვადასხვა ფირმის ღვინის 146 ბოთლს და სხვადასხვა სასადილოს ჭურჭლეულობას, შეფასებულს 86 მანეთად, სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს 20 იან. 1927 წლ. № 260 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2031

გურჯაანის და ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლადო ხირსელი

ამით აცხადებს, რომ ის 1927 წ. 16 მარტს დილის 10 საათზე, სოფ. ახალ-სოფელში, (თელავის მაზრა), **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის გიორგი დავითის-ძე დავითაშვილის მოძრავ ქონებას, რომელიც შეიცავს: 1) რვა საპალნე ღვინის ჭურჭელი, ე. ი. ქვევრი 3 ცალ შეფას. 60 მ., 2) ხელის საკერავი მანქანა № 42007810 შეფასებული 25 მ., 3) ფარდაგი 4 ცალ. 3 ახალი და ერთი ძველი სიგრძე 4 არშინი დასიგანე 2 არშინი შეფას. 50 მ., 4) მაგიდა ერთი, სიგრძე 2 არშ., სიგანე 1 არშ. შეფას. 5 მ., 5) 1 ცარიელი 60 ვედრ. ღვინის ბოჩკა შეფას. 10 მ. სულ 150 მ. ველის-ციხის „სამეფო" შრომის კომუნის წევრების (225 მ.) ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად გურჯაანის სახალხო სასამართლოსგან 1926 წ. 9 დეკემბერს თარიღით 1657 გაცემული ბრძანებისა. საჯარო ვაჭრობა შესდგება იქვე გიორგი დავითაშვილის სახლთან. ნ. 801

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მისელის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible] მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონდი").

გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე. ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისში

ექ. დ. ა. ჩიჩილაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას

მიღება დილის 8—12 საათამდე ჭავაძის ქუჩა სახ. № 9.

13—1 ქუ. 1764

ა. ვ. მიქაბერიძე.

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

დაიკარგა საქ. ხის დამუშ. 3 | კავ. წიგნაკი № 3343, სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 172 და სხვადასხვა საბუთები ზაქარია იორდანესძე არევაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 800

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ნაალია თედოს ასული ონანაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა ქალ. თბილისის ლომბარდის ქვითარი № 9131 ვარლამ ფრუიძის სახელზე, ჩ. გ. 2028

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 463 პარმენ კოტრიკაძეს სახელზე, ჩ. გ. 2020

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი № 1434 სამსონ გუნდასიანის სახელზე, ჩ. გ. 2027

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 727,727 ბიქტორ ასალოსძე მეგრელაძის სახელზე, ჩ. გ. 2024

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი № 401 ანტონ ნიკოლოზისძე გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2023

დაიკარგა სამხ. პირადი წიგნაკი მოცემული სენაკის მაზრის სამხ. მაგიდის მიერ. აქსენტი კონსტანტინეს ძე ზაქარიას სახელზე, ჩ. გ. 2022

დაიკარგა ოზურგეთის ორგანიზაციის მიერ გაცემული ლ. კ. კ.-ს მან. № 1989 და სოფელ ზემხეთის 7 წლედის დამთავრების მოწ. № 86, კირიონ ივანეს ძე თევზაძის სახელზე, ჩ. გ. 2034

დაიკარგა მხედავეთა კავშირის წიგნაკი № 173116, პირადობის მოწმობა № 23469 ანტონ კირეულიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2030

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.